

178 / 3
1981

ISSN 0132-5981

საქართველოს
საბჭოთავო
კულტურის
მინისტროს
გამომცემლობა

საქართველოს საბჭოთავო კულტურის მინისტროს



1981

ს ა გ ქ ი მ მ ა ს ა მ ა რ მ ა ლ ი

№ 4

ივლისი
აგვისტო

1981 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

გეორგიევსკის ტრაქტატის მეორეაე წლურთავისათვის

- ლ. ალექსიძე — რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულების საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა 3
- ჭ. ლეონიძე — შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი 16
- აღ. უდენტი — დანაშაულის მიზეზისა და პირობის ცნების საკითხისათვის 26
- კ. ხაჭუეძია — დანაშაულის მოტივი სისხლისსამართლებრივი ჯერარსობის მიხედვით 35
- კ. ხარმანია — სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის ეფექტიანობისათვის 45
- რ. შველიძე — გამოკითხვისა და დავირების სოციოლოგიური მეთოდის გამოყენება სისხლის სამართალში 55
- რ. გვეტაძე — ერთიანი საკავშირო „სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის სასამართლო-სამედიცინო განსაზღვრის წესები“ 61

ნარკვევნი

- გ. ბერძენიშვილი — როცა საქმე გიყვარს 65
- ო. გამყრელიძე — მასწავლებლის გახსენება 69
- ინფორმაცია 73
- ზორის სერგის ძე ნიკიფოროვი 78
- ცნობები ავტორთა შესახებ 80

СОДЕРЖАНИЕ



К 200-ой ГОДОВЩИНЕ ГЕОРГИЕВСКОГО ТРАКТАТА

Л. Алексидзе — Международное правовое значение русско-грузинского договора 1783 года	3
Дж. Леонидзе — Некоторые правовые аспекты бригадной формы организации труда	16
Ал. Жгенти — К вопросу о понятии причин и условия преступления	26
Г. Начкебия — Мотив преступления с точки зрения уголовно-правового должностования	35
К. Нармания — К эффективности координации деятельности правоохранительных органов	45
Р. Швелидзе — Использование социологического метода опроса и наблюдения в уголовном праве	55
Р. Гветадзе — Единые союзные «Правила судебно-медицинского определения тяжести телесного повреждения»	61

ОЧЕРК

Г. Бердзенишвили — Когда любишь дело	65
О. Гамквелидзе — Память об учителе	69

ИНФОРМАЦИЯ

Борис Сергеевич Никифоров	78
Сведения об авторах	80



სარედაქციო კოლეგია:

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელაძე, ვ. ქვარაზია, ა. შუშუნაშვილი,
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1981 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლდუნაძის კრ. 108. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა ასაწყობად 3.IX.81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.X.81 წ.
ფორმატი 70×108¹/₁₆ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.5

შეკვ. № 2265

ტირაჟი 15.000

შე 08614

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



რუსეთ-საქართველო 1783 წლის ხელშეკრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მნიშვნელობა

პროფ. ლ. ალექსიძე

17/35

ორი წლის შემდეგ ქართველი და რუსი ხალხები ზემით აღნიშნავენ საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში ყველაზე თვალსაჩინო და ქართველი ერის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის — გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის მე-200 წლისთავს.

ეს აქტი იყო ლოგიკური დაგვირგვინება იმ დიპლომატიური და საერთაშორისო-სამართლებრივი კავშირისა, რომელიც ჯერ კიდევ 1483 წელს დაიწყო და საუკუნეების მანძილზე სულ უფრო მტკიცდებოდა.¹ ამ ორი ერთმორწმუნე ხალხის დაახლოება ქართველი ხალხის ისტორიის ბუნებრივი ნაყოფი იყო. მაჰმადიანურ ირანთან და თურქეთთან ბრძოლას არ შეიძლება არ მიეყვანა „საქართველოების“ მეფენი დიდ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან არა მარტო კონტაქტების აუცილებლობამდე, არამედ აეძულებინა კიდევ ყველა ღონე ეხმარათ „მესამე რომის“ მხრივ სამხედრო დახმარების მიღებისათვის. ფეოდალურ სინამდვილეში კი პატარა სახელმწიფოს შეეძლო დიდი სახელმწიფოსაგან სტაბილური დახმარების მიღება მხოლოდ თავისი სუვერენული უფლებების შეზღუდვის ხარჯზე.

საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა უაღრესად საინტერესო და ყურადსაღებია როგორც ჩვენი ხალხების ისტორიისათვის, ისე მსოფლიო დიპლომატიის ისტორიის თვალსაზრისითაც, რადგან საქართველოსა და რუსეთს შორის საფუძველი ჩაეყარა მეტად თავისებურ და იმ დროისათვის პროგრესულ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტებს, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებოდა საქართველო-ირანისა და საქართველო-თურქეთის იურიდიული და ფაქტობრივი ურთიერთობისაგან.

1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში ხელმოწერილი „მეგობრობის ხელშეკრულების“ შემუშავების სტადიები და ის ისტორიული ფონი, რომელზეც ერეკლე მეფესა და იმპერატორს შორის წარმოებდა დიპლომატიური მოლაპარაკება და მიმოწერა, ბითქმის ამომწურავად არის გაშუქებული ქართველი ისტორიკოსების მიერ². მთავარი, რაც განაპირობებდა რუსეთისა და

¹ Л. Алексидзе. Древнейший документ грузино-русских дипломатических отношений. См. «Советский ежегодник международного права, 1961», М., 1962; იხ. აგრეთვე „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 1, თბ., 1975, გვ. 292.
² ვრცელი ბიბლიოგრაფია იხილე „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ (რედ. მ. დუმბაძე), ტ. IV, თბ., 1977, გვ. 50-56. (წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა), გვ. 685-693 (ქართულ-ქახეთისა და რუსეთის ურთიერთობის განახლება 80-იანი წლების დასაწყისში. 1783 წ. ხელშეკრულება).

ქართლ-კახეთის მჭიდრო კავშირის დამყარებას 1780-იანი წლების დასაწყისში, იყო, ერთი მხრივ, რუსეთის წადილი — აელაგმა თურქეთის და ირანის ბატონობა ამიერკავკასიაში და ქრისტიანულ სახელმწიფოებზე დაყრდნობით ამ მხარეში თავისი ბატონობა განემტკიცებინა, ხოლო, მეორე მხრივ, ერეკლე მეორის ოცნება — რუსეთზე დაყრდნობით ბოლო მოელო მაჰმადიანი მტაცებლებისათვის, დაებრუნებინა საქართველოს მიტაცებული მიწები, აელაგმა შინაური მტრები, შეენარჩუნებინა შთამომავლობისათვის მეფის ტახტი და ქვეყანა ახალი უფრო პროგრესული ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გზით წაეყვანა. რუსეთთან საქართველოს ბედის დაკავშირებით ერეკლე იმედოვნებდა, რომ თავის ქვეყანას სამუდამოდ ააცილებდა თავიდან ჩამორჩენილ თურქეთ-ირანის აგრესიას და რუსეთის მეშვეობით უზრუნველყოფდა განვითარებას ევროპული გზით³.

ამ მიზნის განსახორციელებლად მეფე ერეკლე საგარეო და საშინაო საქმეებში სამეფოს სუვერენიტეტის მნიშვნელოვან შეზღუდვაზე მიდიოდა, რაც ნათლად ჩანს იმპერატორის კარზე 1771 წელს გაგზავნილ „სათხოვარი პუნქტებიდან“. ამასვე მოწმობს ერეკლეს 1782 წლის დამატებითი სათხოვარი პუნქტები, რომელიც მან გ. პოტიომკინის რჩევით გაუგზავნა იმპერატორს მფარველობის ხელშეკრულების დადების მიზნით⁴. მაგრამ რუსეთის იმპერია მზად არ იყო ასეთი მჭიდრო კავშირისათვის, რადგანაც ეს მას უფრო ღრმად ჩააბამდა ამიერკავკასიის ხალხთა სამხედრო დაცვაში, ვიდრე „საჭირო იყო“. შემუშავდა კომპრომისული ტექსტი, რომელიც ერეკლე მეორემ მოიწონა. 1783 წლის 24 ივლისს გ. პოტიომკინის, ი. მუხრან ბატონისა და გ. ჭავჭავაძის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1784 წლის იანვარში სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ⁵.

ტრაქტატი⁶ შედგებოდა პრემიუმის, 13 ძირითადი და 4 საიდუმლო „სეპარატული“ არტიკულისაგან, მას დართული ჰქონდა ტექსტი იმ ფიცისა, რომელიც მეფე ერეკლეს უნდა მიეღო ხელშეკრულების შესამე არტიკულის ანუ მუხლის მიხედვით; მოგვიანებით შედგენილი იყო დამატებითი მუხლი, რომელიც მეფის ტახტზე ასვლის ცერემონიალს ეხებოდა.

ტრაქტატით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი საკმაოდ ვრცლად და დეტალურად არის გაუქმებული ქართველი, რუსი და საზღვარგარეთელი ისტორიკოსების მიერ. ამიტომ ამ საკითხებს აღარ შევეხებით. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს გავარკვიოთ იმ სამართლებრივი სტატუსის ბუნება, რომელსაც ქართლ-კახეთის სამეფო იძენდა გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით. როგორც ბოლო ხანს გამოცემული ლიტერატურიდან ჩანს, სწორედ ეს იყო და არის 1783 წლის ტრაქტატის ყველაზე სადავო საკითხი. ტერმინები, რომლებსაც ხმარობენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციისათვის, შემდეგია: „მეგობრული“ ხელშეკრულება კავშირისა და მფარველობის შესახებ“ (ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, ვ. დონ-

³ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1965, გვ. 229.

⁴ А. Цагарели. Грамоты..., т. I, стр 329—333; т. II, вып. I, стр. 90—92.

⁵ Там же, т. II, вып. 2, стр. 24—28.

⁶ იხ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, თბ., 1970, I, გვ. 189-237. ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 195-234.

დუა, გ. პაიჭაძე)⁷, „პროტექტორატი“ (მ. ხელთუფლიშვილი, ნ. კორკუნიანი, ბ. ნოლდე)⁸, „პროტექტორატი-სიუზერენიტეტი“ (ფ. ლისტი)⁹, „პროტექტორატი და ვასალიტეტი“ (ზ. ავალოვი)¹⁰, „პროტექტორატი ვასალიტეტის ფორმაში“ (ო. ნიპოლდი, თ. მარკოვა)¹¹. ის სტატუსი, რომელშიც ქართლ-კახეთი აღმოჩნდა, ტრაქტატის ძალით განისაზღვრება როგორც „სუვერენული, მაგრამ დამოკიდებული“ (ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, თ. ნიპოლდი, ლე ფიურრი), „არასუვერენული“, „დამოკიდებული“ (მ. ხელთუფლიშვილი, ზ. ავალოვი, ნ. კორკუნიანი, ბ. ნოლდე, მ. მუსხელი და სხვ.).

მანამ ამ ტერმინოლოგიურ და არსებით სხვადასხვაობას უშუალოდ შევხებოდე, განვიხილოთ 1783 წლის ხელშეკრულების შესაბამისი დებულებანი. პრეამბულის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართლ-კახეთი მიიღებოდა «в Монаршее покровительство Ея Величества (ეკატერინე II. დ. ა.)... с признанием верховной власти Всероссийских Императоров», რაც ლოგიკური შედეგი იყო იმ მფარველობისა, რომელიც «Всероссийскими Самодержцами Царям Грузинским...». ნაბობი იყო და რომელმაც «произвело ту зависимость последних от первых, которая на иначе оказывается из самого Российско Императорского Титула». აქვე აღნიშნულია, რომ იღება «дружественный договор», რომლის ძალით მეფე ერეკლე აღიარებს «верховную власть и покровительство Ея Императорского Величества», ორივე მხარის უფლება-მოვალეობების ზუსტი განსაზღვრით.

პრეამბულის ტონი ეჭვს არ იწვევს იმაში, რომ იღება ხელშეკრულება, რომელიც საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობის ტრადიციულ ფარგლებს არ სცილდებოდა. აქ აშკარად შეიმჩნევა იმპერიის დიპლომატიურ ლექსიკონში მომხდარი ცვლილებანი: „ქვეშევრდომობა“ XVIII საუკუნეში აღარ არის ის, რაც XII-XVII საუკუნეებში, როდესაც რუსეთისადმი ყოველი დამოკიდებულება განიხილებოდა როგორც ქვეშევრდომობა“. პრეამბულა აღიარებს, რომ საქართველო არასდროს არ ყოფილა რუსეთის „ქვეშევრდომი“, არამედ მხოლოდ „დამოკიდებული“ იყო მასზე. მეტის პრეტენზია არც იმპერატორის ტიტულს ჰქონია. ამავე დროს ტრაქტატით გათვალისწინებულ ურთიერთობას ეწოდება «Верховная Власть и покровительство» აღსანიშნავია, რომ მხარეებს კარგად ესმოდათ ქართლ-კახეთის არსებული იურიდიული სტატუსი ანუ სამეფოს ვასალური დამოკიდებულება ირანის შაჰზე.

⁷ ი. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თბ., 1919, გვ. 78-79. ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XVIII საუკუნეში. „საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბ., 1965, ტ. II, ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობით ტრაქტატი. თბ., 1960, გვ. 129. გ. პაიჭაძე. 1783 წლის ხელშეკრულება (წიგნი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“). ტ. IV, 1973, გვ. 692; ა. ხურგულაძე. საქართველოს შეერთება ტრუსეთთან. თბ., 1977, გვ. 33.

⁸ М. Хелтуплишвили. Вступление Грузии в состав Российской империи. Кутаиси, 1901, стр. 88—89; Н. Коркунов. Русское государственное право, т. I, СПб. 1909, стр. 206—207; Б. Нольде. Очерки русского государственного права, СПб. 911, стр. 281; Le Far. La Géorgie et le droit public. Juillet-Aût. 1932. Paris. p. 438.

⁹ F. List. Die Völkerrechtliche Stellung der Republik Georgien. Wien, 1918, s. 1-2.

¹⁰ З. Авалов. Присоединение Грузии к России, СПб. 1906, стр. 141.

¹¹ О. Nippold. La Géorgie du point de vue du droit international. Pern. 1920, p. 18-19, 27; О. Маркова. Присоединение Грузии к России в 1801 году — «Историк марксист», 1940, № 3, стр. 68; **ეე же**, Россия. Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966, стр. 164—175.

უნდა გვახსოვდეს, რომ ფორმალურად მეფე ერეკლე ირანის ვასალი იყო, თუმცა ფაქტობრივად სრულად დამოუკიდებელი, მაგრამ, ვიმეორებ, იურიდიულად იგი მაინც ირანის ვასალად რჩებოდა. სწორედ ამ მდგომარეობის გაუქმებას განამტკიცებდა ტრაქტატის პირველი მუხლი, რომლის ძალით მეფე ერეკლე «отрекается от всякого вассальства, или под каким бы то титулом ни было от всякой зависимости от Персии или иной державы» და აღიარებდა იმპერიის უზენაეს ხელისუფლებასა და მფარველობას. აშკარაა, რომ მეფე ერეკლე უარყოფდა ძალით ნაკისრ ვასალურ-სიუზერენულ დამოკიდებულებას ირანზე და ნებაყოფლობით კისრულობდა რუსეთის იმპერიის უზენაესობას. რა ფორმით უნდა გამოვლენილიყო ეს მფარველობა? ტრაქტატის შინაარსი უტყუარად გვიჩვენებს ამას — ვასალიტეტის ფორმით. ერეკლე პირიდან რუსეთს «верность и готовность пособствовать пользе Государства во всяком случае, где от него то требуется будет» (მუხლი პირველი); ქართლ-კახეთის მეფეს უნდა მიეღო ერთგულების ფიცი, რის შემდეგ მას გადაეცემოდა საინვესტიტურო ნიშნები (იხ. დამატებითი მუხლი და ფიცის ტექსტი). ჩვენ ვეთანხმებით ზ. ავალოვს იმაში, რომ საინვესტიტურო ნიშნებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა¹². მართლაცადა, არ შეიძლება გავაიგიოთ იმპერატორთა ინვესტიტურა და ის ინვესტიტურა, რომელსაც უგზავნიდნენ შაჰები და სულთანები მათი და მხოლოდ მათი წყალობით ტახტზე ასულ ვასალებს, მათ შორის, „საქართველობის ვალიებსაც“. რუსეთის იმპერიის ინვესტიტურა მართლაც მოჩვენებითი ხასიათისა იყო, რადგანაც ქართლ-კახეთის მეფეები აღიოდნენ ტახტზე „ღმერთის წყალობით“. ამავე დროს ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ფიცისა და ინვესტიტურის პროცედურას პროფილაქტიკური ხასიათი ჰქონდა: ქართლ-კახეთის ტახტზე ასული მეფე უნდა ყოფილიყო «надежен», ვაითუ ახალი, ნაკურთხი მეფე უარყოფდა რუსეთთან კავშირს — ხელშეკრულების ძალით რუსეთს არ ჰქონდა უფლება გაელაშქრა „უზრჩი“ მეფის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში რუსეთს შეეძლო მხოლოდ ხელშეკრულების გაუქმება და საქართველოსათვის ზურგის შექცევა, რადგანაც საქართველო-რუსეთის ტრაქტატის საფუძველი პროტექტეს ნებაყოფლობითი დაქვემდებარება იყო და არა დამონება, ძალდატანება. ამიტომ საქართველოს ტახტის პრეტენდენტს ჯერ უნდა მიეცა ერთგულების ფიცი, მიეღო იმპერატორისაგან დამტკიცების სიგელი და ინვესტიტურა, და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მიემართ: ტახტზე ასვლის ცერემონიის ქართული წესისათვის. მეფედ გახდომამდე რუსეთისათვის ერთგულების ფიცის მიღება გარანტია უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ტახტის პრეტენდენტი შემდგომშიც იმპერიის ერთგული დარჩებოდა. ასეთი ვალდებულება ქართველ მეფეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მოელი ისტორიის მანძილზე პირველად ეკისრებოდა.

რაც შეეხება „სამხედრო სამსახურს“, რომელსაც საქართველო კისრულობდა, იგი დიდად არ განსხვავდებოდა იმ „სამსახურისაგან“, რასაც XVI — XVII საუკუნეებში დადებული საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებები ითვალისწინებდა; სმაგვიროდ იზღუდებოდა სუვერენული უფლებები საგარეო პოლიტიკის სხვა დარგებში — დიპლომატიური ურთიერთობის თავისუფალი წარმოება, ოპის დამოუკიდებლად გამოცხადება და ზავის დადება, ქართლ-კა-

¹² З. Авалов. Цит. соч., стр. 138.

ტეთის მეფე მოვალე იყო მჭიდრო კონტაქტი ჰქონოდა რუსეთის მოხელეებთან და «без предварительного соглашения с главным пограничным Начальником и Министром Ея Императорского Величества, при ней аккредит уемым, не иметь сношения с окрестными Владетелями. А когда от них приедут посланцы или присланы будут письма, оныя принимая, советовать с главным пограничным Начальником и Министром... о возвращении таковых посланцев и о надлежащей их Владетелям отповеди» (მუხლი მეოთხე).


ასეთი ვალდებულებაც უცნობი იყო XVI–XVII საუკუნის ხელშეკრულებებისათვის, რომელნიც ქართველი მეფეებისაგან მოითხოვდა მხოლოდ იმას, რომ გაეთვალისწინებინათ რუსეთის ინტერესები¹³. ამჯერად კი ქართლ-კახეთის ყოველი ნაბიჯი საგარეო პოლიტიკაში რუსეთის წარმომადგენლებთან შეთანხმების საგანი უნდა გამხდარიყო. ამ თვალსაზრისით საქართველო „დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს“ სტატუსის მქონე სახელმწიფოდან „დაქვემდებარებულ“, „სუვერენიტეტ შეზღუდულ“ სახელმწიფოდ იქცა. მხოლოდ შინაგანი საქმეების მართვა რჩებოდა ხელშეუხებელი. აქვე აღსანიშნავია, რომ ქართლ-კახეთის სამეფო არ კარგავდა საგარეო-პოლიტიკურ ქედობუწარსიანობას, მეფე რჩებოდა საგარეო-პოლიტიკური პრეროგატივების განმგებელი და აღმსრულებელი, მაგრამ ამ ფუნქციების განხორციელების თავისუფლება იმპერიის თანხმობას დაექვემდებარა. ამ მხრივ საინტერესოა ხელშეკრულების მეტყუთე მუხლი, რომლის თანახმად, მხარეები ერთმანეთს უგზავნიდნენ მინისტრებს ანუ რეზიდენტებს «чтоб удобнее иметь всякое нужное сношение и соглашение с Российским императорским двором». იმპერიის რეზიდენტს არ უნდა ეკისრა მოვალეობა «быть наставником царским, и не писать бы предложить, когда должно ему доложить; долг и звание его не простирается далее услуг царю и весьма почтительных представлений»¹⁴. მაგრამ მინისტრს მეტად თავისებური სტატუსი ჰქონდა — იგი ორი ბატალიონის მეთაურია, რომელთა შეყვანას საქართველოში „სეპარატული არტიკულები“ ითვალისწინებდა. ამგვარად მინისტრ-რეზიდენტის წმინდა დიპლომატიურ ფუნქციებზე ლაპარაკი შეუძლებელია. იგი სამხედრო-დიპლომატიური ფუნქციების მქონე პირია. დამახასიათებელია საქართველოს მიერ წარგზავნილი რეზიდენტის სტატუსიც. აი, რას ამბობდა 1784 წლის 18 სექტემბერს დამტკიცებული «обряд, по которому допущен быть долженствует на аудиенцию к Ея Императорскому Величеству и к их Императорским Высочествам, прибывший Карталинского Царя министр его... князь Чавчавадзе»; სხვა მინისტრებისაგან განსხვავებით იგი ა) от коленопреклонения увольняется, так как то делается и с прочими депутатами провинций, скипитру Российскому подвластных»¹⁵.

ბ) აუდიენციის დროს საქართველოს მინისტრი სხვა მინისტრებისაგან განსხვავებით მოვალე იყო «по примеру прочих Российских целовать руку Его Высочества»: გ) მონარქის გამოსვლის დროს მინისტრი მის წელს უნდა მოხვეოდა «не вместе с другими министрами, но в кавалерградской комнате, у дверей, где обыкновенно Российских представляют».

¹³ გავიხსენოთ რომ 1559-1590 წლებში რუსეთის ელჩები ატყობინებდნენ კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს, რომ «Послов он может досылать куда и как угодно» (С. Белоу-ров. Сношения России с Кавказом, М., 1889, стр. 205—206).

¹⁴ П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. Пб, 1869, т. II, стр. 122.

¹⁵ Грамоты, II, вып. 2, стр. 47—51.



ამგვარად, რუსეთის დიპლომატიურ ცერემონიალში შეიმჩნევა თავისებურება ერთი მხრივ, საქართველოს მინისტრი სუვერენის წარმომადგენელია, რადგანაც მხოლოდ სუვერენებს ჰქონდათ უფლება გამოეგზავნათ მინისტრები, მეორე მხრივ, იგი „Российский“ არის. ეს ცერემონიალი კარგად გამოხატავს გეორგიევსკის ტრაქტატის მიერ დაწესებულ სტატუსს: ქართლ-კახეთი რუსეთისადმი დაქვემდებარებული სახელმწიფოა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს შეზღუდული საგარეო-პოლიტიკური ქმედობაუნარიანობა. ეს დაქვემდებარება, თუმცა იგი ზღუდავდა ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენულ უფლებებს. არ ნიშნავდა საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლას. აღსანიშნავია, რომ მეთერთმეტე მუხლით იმპერიის ფარგლებში ქართლ-კახეთის ვაჭრებს ისეთივე უფლებები ენიჭება, „რომლითაც მკვიდრნი რუსეთისანი ჰსარგებლობენ“. ეს ქართლ-კახეთის მეფის მხრივ სათანადო ვალდებულებების შესრულებასაც გულისხმობს. — «Взаимно же царь обещает постановить с главным Начальником, пограничным, или с Министром Ея Величества о всемерном облегчении купечества российского в торге их в областях его, или в проезде их для торгу в другое место; ибо без такового точного постановления и условие о выгодах его купечества места иметь не может».

ამგვარად, ერეკლე მეორე არა მარტო ინარჩუნებდა შინაგან მართვადმგებლობაში სრულ დამოუკიდებლობას, არამედ რუსეთის იმპერიის მოქალაქეებიც კი ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე უცხოელების რეჟიმით სარგებლობდნენ. ასეთი ურთიერთობა არ შეიძლებოდა არსებულიყო იმპერიის ცენტრსა და პერიფერიულ, თუნდაც ვასალურ-სიუზერენულ დაქვემდებარებაში მყოფ პოლიტიკურ ერთეულს შორის. იმდროინდელ ევროპაში გაბატონებული საერთაშორისო სამართლის მიხედვით მკვეთრად განასხვავებდნენ მფარველობასა და სიუზერენიტეტს¹⁶. ცნობილი ფრანგი იურისტი ჟან ბოდენი ჯერ კიდევ XVI საუკუნეში იმბობდა, რომ „მფარველობა“ უნდა გაიმიჯნოს იმ „მფარველობისაგან“, რომელიც ხელმწიფეს და ქვეშევრდომებს, სიუზერენსა და ვასალს შორის არსებობსო, რადგანაც პროტეჟე, ვასალისგან განსხვავებით, თვითონ არის მისი მიწა-წყლის უზენაესი მფლობელი და მფარველობის ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში იბრუნებს თავის სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას; ვასალი კი, თუნდაც ყოფილი სუვერენი, რომელმაც მოიპოვა მფარველობა თავისი მიწა-წყლის დათმობის შედეგად, ფლობს ქვეყანას სიუზერენის წყალობით და ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში კარგავდა როგორც პოლიტიკურ უფლებებს, ასევე თვით ქვეყანას, რომელსაც სიუზერენი ეპატრონებოდა უშუალოდ¹⁷.

ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართლის კლასიკოსები, კერძოდ ჰუგო გროციუსი, განასხვავებდნენ სრულიად დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოებს და სახელმწიფოებს, რომელნიც ძლიერთან არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების ძალით მოვალენი იყვნენ დასაბრუნება გეგნიათ მეორე მხარის

¹⁶ Эмер де Ваттель. Право народов, Кн. IV, глава VI, § 73; Барон К. Мартенс. Дипломатия или руководство к познанию внешних государственных сношений (перевод С. Доброклонского), М., 1828, с. 17—18, 21.

¹⁷ Jean Bodin. Les six livres de la republique. Paris.

„ხელისუფლებისა და სიდიადისათვის“¹⁸. ასეთივე პოზიციაზე დგას ემერ დე ვატელი, რომლის ნაშრომი „ხალხთა სამართალი“ (1758 წ.), ყველა ევროპული სახელმწიფოს დიპლომატიების სამაგიდო წიგნი იყო. ვატელის აზრით, თუ სუსტი სახელმწიფო შედევდა, რომ არც ხარკი, არც ჯარის გამოგზავნა, არც მფარველის ყველა ომში მონაწილეობა (რაც არ იწვევდა უზენაესი ხელისუფლების პრეროგატივების სერიოზულ შეზღუდვას) არ იყო საკმარისი, მას შეეძლო დაედო „დაქვემდებარების ხელშეკრულება“, ე. ი. დაქვემდებარებოდა მფარველს „ზუსტად აღნუსხულ პირობებზე“ — საგარეო სუვერენიტეტის შეზღუდვით დაწყებული და ინკორპორაციით დამთავრებული. აქვე ავტორი აღნიშნავდა, რომ „დაქვემდებარება“ არ ნიშნავს სხვა სახელმწიფოს წევრად გახდომას. „ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ ხალხს, რომელიც დაექვემდებარა მეორეს, და არა ისეთს რომელიც შეუერთდა მეორე სახელმწიფოს იმისათვის, რომ მის ნაწილად გამხდარიყო. ასეთი ხალხი ქვეშევრდომის მდგომარეობაში იმყოფება“¹⁹.

ამგვარად ემერ დე ვატელის სიტყვებით რომ ვთქვათ, 1783 წლის აქტი იყო „ხელშეკრულება დაქვემდებარების შესახებ“. რამდენად ზუსტად იცავდა რუსეთის იმპერატორის კარი იმ დიპლომატიურ ტერმინოლოგიას, რომელიც ევროპულ საერთაშორისო სამართლისათვის იყო დამახასიათებელი, ჩანს ეკატერინე II მიერ გ. პოტიომკინისათვის მიცემულ „უკაზში“ შუშის ხანის იმპერატორის რუსეთის მფარველობაში მიღების თაობაზე: «Кажется, можно взять за руководство то, что сделано с царем Ираклием... заключить с ним договор о подчинении его российскому императорскому престолу...»²⁰.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ტერმინი „პროტექტორატი“ საერთოდ არ იმპარებოდა, იგი XIX საუკუნის საგარეო პოლიტიკის შედეგია²¹. პროტექტორატი ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ ევროპის პატარა სახელმწიფოებისა და აფრიკის და აზიის ქვეყნების მიმართ ძალით მოხვეული ხელშეკრულებათა, რომელიც მთლიანად აუქმებდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ქმედება-უნარიანობას (სამხედრო სამსახურის უარყოფის ჩათვლით) და მნიშვნელოვნად ზღუდავდა მის შინა-სახელმწიფოებრივ კომპეტენციას. აქ მინისტრი-რეზიდენტი იურიდიულად ქვეყნის განმგებელია, ხოლო პროტექტორს საგარეო პოლიტიკის წარმოება მთლიანად პროტექტორის კომპეტენციაში გადადიოდა. ამგვარი ხელშეკრულება საერთოდ არ შეიძლება შეეფარდოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. 1783 წლის ხელშეკრულება მხოლოდ „წინარე სახეობაა“ XIX—XX საუკუნეების პროტექტორატებისა და განსხვავდება მათგან არა მარტო ფორმით, არამედ შინაარსითაც. მეტად სადავოა ივ. სურგულაძის აზრი იმის შესახებ, რომ „უფრო პართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ 1783 წლის ხელშეკრულება აწესებდა ვასალიტეტს... ვასალიტეტსა და პროტექტორატს შორის „ვაქტობ-რივი განსხვავება თანდათანობით იშლება“ («Международное право» под ред. В. Н. Дудневского и С. Б. Крылова, 1947, стр. 127)

¹⁸ **Гуго Гроций**. О праве войны и мира (перевод с латинского, издания 1646 г.) М., 1957, книга I, глава III, § XX, XXIII.

¹⁹ **Эмер де Ваттель**. Цит. соч., кн. 1, гл. 1; кн. 2, гл. XII.

²⁰ «Сборник Русского Императорского Исторического общества», т. 27 стр. 256.

²¹ ამ მხრივ ვატელის რუსული თარგმანი არაზუსტია — „მფარველობა“ (protection) რატომაც ითარგმნება „протекторам“, რაც ამახინჩებს ფრანგული ტერმინის არსს.

ორთავე — ვასალიტეტ²² და პროტექტორატი ცნობილია ფეოდალიზმის დროს, პირველი უფრო ძველი ინსტიტუტია. ამასთანავე ვასალიტეტი ძლიერ დამახასიათებელია ფეოდალური ეპოქისათვის. ყველა ამის გამო 1783 წლის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ვასალური სახელმწიფოს სტატუსი უნდა გვეკონდეს მხედველობაში²². ჯერ ერთი, „პროტექტორატი“ არ იყო ცნობილი ფეოდალიზმის დროს — იგი ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართლის შენაძენია. ავტორი აიგივებს „მფარველობას“ და „პროტექტორატს“, რაც მცდარია. საბუთად 1947 წლის სახელმძღვანელოს მითითება აქ უადგილოდ მიგვაჩნია²³.

სწორედ ამით აიხსნება ი. სულგულაძის მიერ „მფარველობას“ და „ვასალიტეტ-სიზერენიტეტს“ შორის ზღვარის წაშლა, რაც ყოველად მიუღებელია. დამოკიდებულების ამ ორ ფორმას შორის მკვეთრი, პრინციპული სხვაობა არსებობდა, რასაც იმდროინდელი პოლიტიკოსები და თეორეტიკოსები ხაზს უსვამდნენ: პროტექტეს და ვასალის მფლობელობაში მყოფი ქვეყნის მიწა-წყლის მიმართ უზენაესი მესაკუთრეობა და განმგებლობა სხვადასხვა საწყისებს ეყრდნობოდა.

ავტორები, რომლებიც გეორგიევსკის ტრაქტატის ანალიზის დროს იყენებენ კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ეპოქებისათვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიას, არ შეიძლება შეცდომას არ უშვებდნენ. რადგანაც ფეოდალურ, უფრო სწორად აბსოლუტიზმის (ე. ი. ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი) პერიოდთან აქვთ საქმე. ამიტომაც ის, რაც ზ. ავალოვს შეუძლებლად მოაჩნია (პროტექტორატის და ვასალიტეტის შერწყმა), რუსეთ-საქართველოს ტრაქტატში სავსებით ბუნებრივად გამოიყურება. უფრო „იოლად“ გამოვიდოდა ჩიხიდან ნ. კორკუჩოვიც, რომელიც შეუძლებლად მიიჩნევდა პროტექტეს მიერ პროტექტორისათვის აქტიური სამხედრო დახმარების გაწევას.

ტერმინები „მფარველობითი კავშირი“, „კავშირი და მფარველობა“ (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე) არ ეწინააღმდეგება ტრაქტატში არსებულ ტერმინებს, მაგრამ უგულვებელყოფს ტრაქტატის იურიდიულ ბუნებას. დიახ, ეს „კავშირია“, დიახ, ეს „მეგობრული კავშირია“. ეს აგრეთვე „მფარველობითი კავშირია“, მაგრამ ეპოქის თვალსაზრისით ეს ტერმინები სავსებით შეესაბამებოდა ერთი სახელმწიფოსადმი მეორის დაქვემდებარებას, მისი სუვერენიტეტის შეზღუდვას.

ალსანიშნავია, რომ გ. პაიჭაძე, იზიარებს რა ჩვენს აზრს იმის შესახებ, რომ

²² ივ. სულგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან. თბ., 1965 წ., გვ. 290.

²³ ამ სახელმძღვანელოს ავტორები იხილავენ 1947 წელს არსებულ „დამოკიდებულების თანამედროვე ფორმებს“; „პროტექტორატის დროს ერთი სახელმწიფო — პროტექტორატი — განაგებს სხვა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, ეს უკანასკნელი კი... სპეციალური ხელშეკრულებით ექვემდებარება პროტექტორატს თავის საგარეო ურთიერთობაში და როგორც წესი ნიიღებს რა მრჩეველს ან ხელმძღვანელს („რეზიდენტს“) შინაგანი საქმეების წარმოებისათვის, ანარჩუნებს ამ დარგში მეტად მცირე, მოჩვენებით დამოკიდებულებას (გვ. 124). რაც შეეხება ვასალიტეტს, ავტორები წერდნენ შემდეგს: „თანამედროვე საერთაშორისო დამოკიდებულების სხვა ცნობილ ფორმად, რომელიც ფეოდალიზმის ეპოქიდან მოდის, გვევლინება ვასალიტეტი. პროტექტორატისაგან განსხვავებით, ვასალიტეტის დროს მიმართავენ დაქვემდებარების აღმნიშვნელ სხვადასხვა ფორმებს, მაგ., ხარკის მიცემა, ვასალური სახელმწიფოს მეთაურის დანიშნულება „სიუზერენის“ მიერ და ა. შ. ფაქტიურად ეს სხვაობა სულ უფრო და უფრო ქრება“ (გვ. 126-127). განა ამ ზემოხსენებული დებულებების შეფარდება 1783 წლის ხელშეკრულებისათვის შეიძლება მოგვცეს სწორი დასკვნა?!

1783 წლის ხელშეკრულების იურიდიული ბუნება უნდა განიხილებოდეს იმდროინდელი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ამავე დროს არ ცდილობს შეცვალოს ქართველ ისტორიკოსთა მიერ მოცემული კვალიფიკაცია: „ქართლ-კახეთის სახელმწიფო ამ ტრაქტატის პირობით ხდებოდა „სუვერენული, მაგრამ დამოკიდებული“²⁴ ამტკიცებს ავტორი. რასაკვირველია, ის ავტორები, რომელნიც ამტკიცებდნენ, თითქოს 1783 წლის აქტით ქართლ-კახეთი იქცეოდა „არასუვერენულ სახელმწიფოდ“ (მ. ხელთუფლიშვილი, ზ. ავალოვი, ნ. კორკუნიანი, ბ. ნელდე), აშკარა შეცდომას უშვებდნენ და მათი დებულება ეწინააღმდეგება იმდროინდელ იურიდიულ სინამდვილეს. მაგრამ არც ის იქნებოდა სწორი, მეორე უკიდურესობაში გადავარდეთ და ვამტკიცოთ, თითქოს ქართლ-კახეთი „ხდებოდა სუვერენული, მაგრამ დამოკიდებული“. სხვათა შორის, თუ ჩვენ მივიღებთ ტერმინს „პროტექტორატი“, რომელსაც მ. დუმბაძე ხმარობს იგივე ნაშრომში²⁵, მხოლოდ იმ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ, რომ საქართველო ხდებოდა „არასუვერენული“, „ნახევრად სუვერენული“ სახელმწიფო, რომელიც დამოკიდებული იყო როგორც საგარეო, ისე საშინაო საქმეებში. რამ განაპირობა ერთი და იგივე ნაშრომში ასეთი დაპირისპირებული კვალიფიკაციების არსებობა?

ფაქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტერმინი „სუვერენული, მაგრამ დამოკიდებული“ მხოლოდ ქართლ-კახეთს და რუსეთს შორის 1783 წლამდე დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სტატუსს შეიძლება შეეფარდოს. 1783 წლის ხელშეკრულებით კი ქართლ-კახეთის სამეფო არა მარტო ფორმით ვასალურ სახელმწიფოდ იქცეოდა, არამედ, სხვა სუვერენული ვასალებისგან განსხვავებით, კარგავდა საგარეო პოლიტიკურ ქმედობაუნარიანობის თავისუფლებას, რაც სუვერენიტეტის სერიოზულ შეზღუდვას მოასწავებდა. მიუხედავად ამისა, ქართლ-კახეთი არც „ნახევარსუვერენული“ ერთეულად იქცეოდა — იგი სამართლის თვალსაზრისით დამოკიდებული, სუვერენიტეტშეზღუდული ხდებოდა.

ქართლ-კახეთის სტატუსი XVIII საუკუნისათვის იყო ტიპური მფარველობა — კავშირი, რომლის ძალით სუსტ სახელმწიფოსთან მყარდებოდა სუბორდინაციის, დაქვემდებარების ურთიერთობა, რაც მხოლოდ ზღუდავდა პროტექტეს საგარეო-პოლიტიკურ ქმედობაუნარიანობას და არა აუქმებდა მას, ე. ი. ტოვებდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად არა მარტო გარე სამყაროს მიმართ, არამედ თვით რუსეთის იმპერიის მიმართაც.

რუსეთ-საქართველოს საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის მთელ მანძილზე 1783 წელს ორივე მხარემ პირველად გადადგა ნაბიჯი, უფრო მჭიდრო დაახლოებისაკენ პროტექტეს სუვერენული უფლებების შეზღუდვის ხარჯზე. თუ 1587 წლიდან 1783 წლამდე ქართლი და კახეთი რუსეთთან მხოლოდ ისეთ „მფარველობის ხელშეკრულებას“ დებდნენ, რომელიც მათ საშინაო და საგარეო სფეროში სრულ დამოუკიდებლობას უტოვებდა, გეორგიევსკის ტრაქტატი ახალ მოვლენას — საქართველოს რუსეთისადმი დაქვემდებარებას — მოასწავებდა.

²⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 692.

²⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 55 (წყაროები და ლიტერატურა ქართულ და ევროპულ ენებზე — მ. დუმბაძე, გ. გუჩუა, ბ. გიორგაძე) იხ. აგრეთვე ა. სურგულაძე, საქართველოს შეერთება რუსეთთან, გვ. 33.

ამგვარად, ჩვენს მეცნიერებაში არსებული აზრი, თითქოს წინათ დადებული ხელშეკრულებები „საქართველოებს“, „ქვეშევრდომებად“, „ვასალებად“ აქცევდა, ხოლო გეორგიევსკის ტრაქტატი სჯერდებოდა „სამოკავშირეო ვალდებულებებს“, არ შეეფერება სინამდვილეს. პირიქით, 1783 წლის ტრაქტატი ქართლ-კახეთს ფორმით ვასალურ სახელმწიფოდ აქცევდა და აკისრებდა მას იმ ვალდებულებებს, რომელთა მსგავსსაც არ შეიცავდა რუსეთ-საქართველოს არც ერთი ხელშეკრულება.

ეს იყო სრულიად ბუნებრივი მოვლენა: ერთი მხრივ, იგი ცხადყოფდა რუსეთის ძლევამოსილების ზრდას და კავკასიის მიმართ სულ უფრო და უფრო დაუჩინებელი ინტერესის გამოვლენას, ხოლო მეორე მხრივ, ქართლ-კახეთის საზღვრის მზარდ დაკნინებას, საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობის საწყისების შერყევას არ შეიძლება არ ემოქმედა რუსეთ-საქართველოს კავშირის საერთაშორისო-სამართლებრივ ფორმაზე; თუ წინათ რუსეთი (მოსკოვის სახელმწიფო) უარს ამბობდა ქართლის და კახეთის მფარველობაში მიღებაზე დაქვემდებარების ფორმით, რაც კავკასიის სიშორითა და ირანსა და თურქეთთან ურთიერთობით იყო განპირობებული, ახლა უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში პოზიციების განმტკიცებით, ირანსა და თურქეთის მიმართ შემტევი პოლიტიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით რუსეთის ტახტი თვითონ ცდილობს დაუახლოვდეს „საქართველოებს“. ამ პროცესს შეეფერება რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებათა ტერმინოლოგია: თუ XVI-XVII საუკუნეებში „საქართველოების“ სტატუსი (კახეთი 1587—1605 წ. ქართლ-კახეთი 1639—1652 წწ.) განისაზღვრება როგორც «Во обороне» 1783 წლის ტრაქტატის ტერმინოლოგია «Верховная власть и покровительство», იმის გამო, რომ XVI—XVIII საუკუნეებში რუსულ დიპლომატიას ჯერ არ ჰქონდა გამომუშავებული ზუსტი ტერმინოლოგიური განსხვავება „დაქვემდებარებისა“ და წმინდა „მფარველობით“ ურთიერთობას შორის, მეფის კარი ყველაფერს „ქვეშევრდომობას“ უწოდებდა. პეტრე პირველიდან მოყოლებული კი ამ განსხვავებას ძალზე ზუსტად იცავენ.

ამრიგად, 1783 წლის ტრაქტატი თავისი დროისათვის ტიპური „დაქვემდებარების ხელშეკრულება“ იყო, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო ცნობდა რუსეთის იმპერატორის უზენაეს ხელისუფლებას, ზუსტად აღნიშნული პირობების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ, თუმცა ხელშეკრულება იღებოდა «на вечные времена; но ежели что-либо усмотрено будет нужным переменить или прибавить для взаимной пользы, оное да возьмемет место по обостороннему соглашению» (მეთორმეტე არტიკული), ეს აქტი ურთიერთმომგებიანი იყო, რადგანაც ორივე ქვეყნის მმართველი წრეების მიერ დასმულ ამოცანებს ემსახურებოდა. ერეკლე მეორე, როგორც მისი წინამორბედი, რუსეთის მფარველობის მოპოვებისათვის ბრძოლაში თავისი კლასობრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა. ცნობილია, რომ საქართველოს ცენტრალიზაციისათვის ბრძოლა, ქვეყნის და, უპირველეს ყოვლისა, მაჰმადიანური ქვეყნების აგრესიისაგან ხსნა, განაპირობებდა ქართველი მეფეების პროგრესულ პოლიტიკას, რომლითაც ისინი ამაოდ ცდილობდნენ დაემყარებინათ „წესრიგი უწესრიგობაში“.

რუსეთის სახით ქართველ მეფეებს ევლინებოდათ ისეთი სახელმწიფო, რომელიც უწინარესად ერთმორწმუნე იყო, ეს კი თითქოს არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა სამეფოს მმართველი წრეების ბატონობის ეკონომიკურ საფუძ-

ველს. რაც შეეხება ხალხს, მისი მძიმე ხვედრი ნაკლებად აწუხებდათ მმართველ წრეებს, რომელნიც მზად იყვნენ დაებეგრათ ქართველი ხალხი მძიმე „რუსული“ ფულადი და სარეკრუტო გადასახადით. ამრიგად, გეორგიევსკის ტრაქტატი იყო გარიგება ორი ქვეყნის გაბატონებულ კლასს შორის და თითოეული მათგანი ისახავდა ზუსტ კლასობრივ ამოცანებს. ადრე თუ გვიან, შესაბამისი კონიუნქტურის დროს, რუსეთი შეეცდებოდა თავისი ბატონობის გაძლიერებას, ხოლო ქართლ-კახეთი „მფარველის“ კლანჭებისაგან განთავისუფლებას და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას, ეკონომიკურად და პოლიტიკურად უკვე მტკიცე და ძლიერი სახელმწიფოს სახით.

ქართველი პოლიტიკოსების ბრალი როდია ის, რომ ისინი ვერ ხედავდნენ მედლის მეორე მხარეს: რუსეთის ძლევამოსილების ზრდა, რაც მისი შინაგანი განვითარების, ჯერძოდ, ცენტრალიზაციის პროცესის წარმატების შედეგი იყო, ადრე თუ გვიან ვეღარ შეეგუებოდა ისეთ დამოკიდებულებას, რომელშიც საქართველო იმყოფებოდა. იმდროინდელ ეპოქაში მხოლოდ იმ პატარა ქვეყნებს შეეძლოთ დამოუკიდებლობის დაბრუნება, რომელნიც დიდი სახელმწიფოების ბრძოლის ობიექტი იყვნენ. რუსეთს კი ამ დროისთვის ვერავინ დაუდგებოდა წინ ამიერკავკასიაში ბატონობის განმტკიცებაში — რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა სულ უფრო და უფრო ნაკლებად ახდენდა შეგავლენას რუსეთის ინტერესებზე ამიერკავკასიაში და მის წადილზე საბოლოოდ გაბატონებულიყო ამ რაიონში. ერთმორწმუნე საქართველოს არსებობამ ბევრად შეუმსუბუქა რუსეთს ამ ამოცანის განხორციელება, ხოლო დაქვემდებარების ხელშეკრულების დადება მოასწავებდა იმას, რომ ქართლ-კახეთის (ისევე როგორც ყველა სხვა „საქართველოების“) ბედი წინასწარ იყო განსაზღვრული.

ჯერჯერობით კი, ირანისაგან ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფო საკუთარი სურვილით აღიარებს რუსეთის იმპერიის უზენაეს ხელისუფლებას ქართველი პოლიტიკოსების მიერ წამოყენებული ამოცანებისათვის ხორცის შესხმის პირობით. 1783 წლის ტრაქტატი ობიექტურად პროგრესული მოვლენა იყო იმიტომაც, რომ იგი აღმოსავლეთ საქართველოს მჭიდროდ აკავშირებდა ისეთ ქვეყანასთან, რომლის ეკონომიკური და პოლიტიკური წყობა ვაცილებით პროგრესული იყო, ვიდრე ირანისა თუ თურქეთის და მიზნად ისახავდა ბოლო მოეღო მაჰმადიანური აგრესორების მიერ ქართველების ფიზიკური განადგურებისათვის. შექმნილ ვითარებაში ეს იყო „საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით ახალ ცხოვრებისაკენ წაეყვანა“²⁶, ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც 1783 წლის ხელშეკრულებით შექმნილ სტატუსს „უმკირეს ბოროტებას“ უწოდებენ, იმ მოტივით, რომ იგი „განასახიერებდა თვითმპყრობელური სახელმწიფოს პროტექტორატს (ამ ტერმინის უსწორობას აღარ შევეხები. — ლ. ა.), რაც მფარველობაში აყვანილ ქვეყნის სუვენიტეტს ზღუდავდა“²⁷. გეორგიევსკის ტრაქტატი იმ დროის საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი პროგრესული და უჩვეულო აქტი იყო, რადგანაც პროტექტეს საკმაოდ ფართო პრივილეგიებს აძლევდა. საგარეო პოლიტიკური ქმედობათუხარიანობის

²⁶ იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 138-139.

²⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 55.

ნებაყოფლობით შეზღუდვა არ ნიშნავდა ბოროტებას, რადგანაც მიზნად ისახავდა ქართლ-კახეთის პროგრესული ძალების მიერ დასმული ამოცანების განხორციელებას, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი იყო მაჰმადიანი აგრესორების მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება. სწორედ ამას ჰპირდებოდა იმპერატორი სეპარატული მეოთხე მუხლით. მისი პირნათლად შესრულების შემთხვევაში ქართლ-კახეთი იგებდა უფრო მეტს, ვიდრე რუსეთი, რადგანაც ეს ქვეყნის ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებასა და მთელი ერის ფიზიკური განადგურების საშიშროების თავიდან აცილებას მოასწავებდა. ასეთი მიზნების მიღწევისათვის ის „დაქვემდებარება“, რომელზეც მიდიოდა ერეკლე მეორე, სავსებით გამართლებული იყო და „უმცირეს ბოროტებად“ ვერ ჩაითვლებოდა და ვერც ჩაითვლება. აბა, სხვანაირად როგორ შეეძლო პატარა საქართველოს ვეებერთელა, ძლევამოსილი იმპერიისაგან ასეთი უმნიშვნელოვანესი დაპირების ჩამორთმევა?!

ამავე დროს იგივე მ. დუმბაძისა და ა. სურგულაძის აზრი იმის შესახებ, რომ 1783 წლის აქტი „არსებითად გამოხატავდა ქართლ-კახეთის ნებაყოფლობით შეერთებას რუსეთთან“²⁸ იურიდიული ურთიერთობის სწორი კვალიფიკაციაა. მართლაც, ამ ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას მჭიდროდ დაუკავშირდა დამოკიდებული სახელმწიფოს სახით. თვითონ ტერმინი „შეერთება“ შეიძლება გარკვეულ წინააღმდეგობას იწვევდეს, რადგანაც ამ ტერმინს ტრადიციულად 1801 წლის აქტს უფარდებდნენ და „ინკორპორაციის“ სინონიმად ხმარობდნენ. ჯერ ერთი, ტერმინი „საქართველოს რუსეთთან შეერთება“ ვერ შეეფარდება პავლე I-სა და ალექსანდრე I-ის ცალმხრივ აქტს, რომელიც უხეშად არღვევდა 1783 წლის იმ პირობას, რომ ყველა ცვლილება ქართლ-კახეთის სამეფოს სტატუსში უნდა მომხდარიყო ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე. ეს აქტი სწორად არის შეფასებული ქართველი და რუსი ისტორიკოსების მიერ როგორც ანექსია, თუნდაც საქართველოს პროგრესული წრეები თანახმანი იყვნენ უფრო მეტად შეეზღუდათ ქვეყნის სუვერენიტეტი. „ქართველ ხალხს, — წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, — რუსეთთან კავშირი მართლაც რომ სრული გულით სურდა, მაგრამ სურდა სწორედ იმისათვის, რომ „გამოხსნა“, „აღდგომა“ მას „ქართველობით“ შეძლებოდა, ხოლო თუ როგორ ფორმებში წარმოედგინა ქართველ ფეოდალურ საზოგადოებას ეს კავშირი რუსეთთან, ამის მოწმობა იყო, ერთი მხრივ, უმრავლესობის პოზიცია, რომელიც 1783 წლის ტრაქტატის დაცვას გულისხმობდა, ხოლო მეორეს მხრივ, ქართველი ელჩების მიერ წარმოდგენილი მოხსენება — პროექტი, რომელიც ქართული ფეოდალურა საზოგადოების მეორე დიდი ნაწილის პოლიტიკურ შეხედულებათა გამოსახულება იყო“²⁹.

ამიტომ ისტორიული სინამდვილის აღდგენის მიზნით, უფრო მართებული იქნებოდა გვეხმარა ტერმინი „საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთთან“ 1783 წლის აქტის მიმართ, მაგრამ სათანადოდ აგვეხსნა „შეერთების“ ცნება: 1783 წლის საქართველო (ქართლ-კახეთი), საერთაშორისო ხელშეკრულების ძალით, ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს სუვერენიტეტზეზღუდული; მაგრამ მიანც საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტობის მქონე სახელმწი-

²⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 55, 814. ა. სურგულაძე, ციტ. ნაშ. გვ. 33.

²⁹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 255.

ფოს სახით. სახელმწიფოებრიობის სრული დაკარგვა თვითმპყრობელური რუსეთის XX საუკუნის საგარეო პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული და 1783 წლის ხელშეკრულების პროგრესულ ხასიათს ვერ მიჩქმალავს.

თუმცა 1783 წლის ხელშეკრულებამ საბოლოო ანგარიშით გაუადვილა იმპერიას ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ ცალმხრივი, ანექსიური ნაბიჯის გადადგმა და მისი შემოერთება პროვინციის სახით. მიუხედავად ყველა იმ ჩრდილოვანი მხარეებისა, რომლებიც თან მოჰყვა რუსეთის თვითმპყრობელურ, კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში, რუსეთის იმპერიაში შემავალმა საქართველომ შეინარჩუნა ეროვნული თავისთავადობა, გაერთიანდა, დაიბრუნა ირანისა და თურქეთის მიერ მიტაცებული მიწები, დაირაზმა მთელი ქვეყნის მასშტაბით და რუსეთის სხვა ჩავრულ ხალხებთან ერთად მოსაო ცარიზმის ბატონობა. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად აღდგა ახალი, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი, სულიერად განახლებული სუვერენული სახელმწიფო — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობა დედამიწის ძრავალ ქვეყანასთან ქართველი ერის წარსულისა და აწმყოს მზარდ საერთშორისო აღიარებას მოასწავებს.

„რუსეთთან ორსაუკუნოვანი მეგობრობისა და ძმობის მანძილზე. — თქვა ე. ა. შევარდნაძემ, — საქართველოს არათუ არ დაუკარგავს ერის ნიშნები, როგორც ჩვენი საზღვარგარეთელი მოშურნენი ამტკიცებენ, არამედ რუს ხალხთან კავშირის განმტკიცებით ქართველმა ერმა შეძლო შეენარჩუნებინა და განევითარებინა ისეთი ფენომენები, როგორიც არის საერთო ენა, ტერიტორია, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, კულტურა“³⁰.

აი რატომ ენიჭება 1783 წლის ხელშეკრულებას ესოდენ დიდი მნიშვნელობა არა მარტო საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობაში, არამედ ქართველი ერის მთელ მომდევნო ისტორიაშიც.

„შედარებით მალე, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევემა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად თბილისში გამართულ ზეიმის დღეებში, — აღვნიშნავთ რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების მე-200 წლისთავს. სწორი არჩევანი მოახდინეს ჩვენმა წინაპრებმა 200 წლის წინათ. რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობა გაიზარდა, კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველო ექვსი სოციალისტური ათწლეულის მანძილზე. უნდა აღვნიშნოს, რომ ეს არის სოციალიზმის ისტორიული მისია — დააახლოვოს და დაამოყვროს ხალხები, დაამკვიდროს მათ შორის სიამტკიბილობა და მშვიდობა“³¹.

³⁰ ე. ა. შევარდნაძე. ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შეუქვე — იხ. კრებული „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები (მასალები საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა, რომელიც გაიმართა თბილისში 1976 წლის ოქტომბერში) თბ., 1979, გვ. 27-28.

³¹ გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 24 მაისი.



შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის ზოგადი საპარტლუბრივი ასპექტი

ჟ. ლომიძე,

I. შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების ფორმები ყოველთვის შეესაბამება წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკურ პირობებს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალობაზე ეს ფორმები იცვლება და იხვეწება.

შრომის კოლექტიური ორგანიზაციის ფორმა არა მარტო მაღალი ეკონომიკური ეფექტის მიღწევის დიდ შესაძლებლობებს ქმნის, არამედ ახდენს გავლენას წარმოების მართვაზე, შრომის ორგანიზაციაზე, დაგეგმვასა და ხელფასის სრულყოფაზე. აგრეთვე კოლექტივის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მდგომარეობაზე, ეს უკანასკნელი, კერძოდ, იმით პოულობს გამოხატულებას, რომ ინდივიდისა და კოლექტივის ინტერესები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, მატულობს პასუხისმგებლობა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის, იქმნება ახალი შესაძლებლობები სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისათვის, შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების ფართოდ გამოყენებისათვის.


კოლექტიურმა შრომამ თავისი ორგანიზაციული გამოხატულება ბრიგადაში პოვა. ბრიგადა შრომის სოციალისტური კოოპერაციის ძირეული უჯრედია. ბრიგადის ჩამოყალიბების პრინციპები, მისი მართვის ორგანიზაცია, მუშაობის დაგეგმვა და აღრიცხვა, შრომის ანაზღაურების ორგანიზაცია და მთელი რიგი სხვა საკითხები მოწესრიგებულია ტიპობრივი დებულებით საწარმოო ბრიგადისა და ბრიგადირების შესახებ.¹

„დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილების 54-ე მუხლში ნათქვამია, რომ „სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და განახორციელონ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის ფართოდ განვითარების ღონისძიებანი, ამასთან გაითვალისწინონ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში ეს ფორმა ძირითადი უნდა გახდეს“². ვინაიდან შრომის ორგანიზაციის ბრიგადულ ფორმას ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მიზანშეწონილია გაშუქდეს მისი ცალკეული ასპექტი.

ბრიგადაში ერთიანდებიან მუშები, რომლებიც წინათ ინდივიდუალური განაწესებითა და სხვადასხვა ცვლაში მუშაობდნენ. ეს გაერთიანება მიზნად

¹ ტიპობრივი დებულება დამტკიცებულია 1975 წლის 15 დეკემბერს სსრ კავშირის შრომისა და ხელფასების საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოს მიერ. (იხ. Бюллетень Государственного Комитета Совета Министров СССР по вопросам труда и заработной платы, 1976 г., № 3).

² იხ. სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1979 წ. 12 ივლისის დადგენილება, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979, გვ. 64.



იმას ისახავს, რომ საერთო საწარმოო დავალებები ერთობლივად შეთანხმებულად შესრულდეს. ბრიგადის წევრთა შრომამ უნდა შექმნას დამთავრებული პროდუქცია ან მისი ნაწილი. ბრიგადის სამუშაო ზონა არ შეიძლება სცილდებოდეს საწარმოო უბნის ფარგლებს.

ბრიგადის შექმნას წინ უძღვის მისამზადებელი სამუშაოები, რომელიც გულისხმობს ტექნიკურ-ორგანიზაციულ და აღმზრდელი ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას. ამასთან, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რაციონალური საწარმოო ზონების დადგენას, მომსახურების ზონის გაფართოებას, პროფესიებისა და ფუნქციების შეთავსებას, შრომის მოწინავე მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას და სხვა. ბრიგადა იქმნება საწარმოს დირექციის ბრძანებით (განკარგულებით) ან მისი დავალებით საამქროს თუ სხვა სტრუქტურული ქვეგანყოფის უფროსის განკარგულებით.

ისმის კითხვა — რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ის მუშაკი, რომელსაც არ სურს ბრიგადაში გაერთიანება?

მოქმედი შრომის კანონმდებლობით არ შეიძლება ასეთი მუშაკის არც განთავისუფლება, არც გადაყვანა სხვა სამუშაოზე მასთან შეუთანხმებლად. ამიტომ, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია ტიპობრივ დებულებაში „საწარმოო ბრიგადისა და ბრიგადირების შესახებ“ აისახოს ბრიგადაში გაერთიანების ნებაყოფლობითი საწყისი.

საწარმოო ბრიგადას სათავეში უდგას ბრიგადირი, რომელიც ინიშნება ბრიგადის წევრთა აზრის გათვალისწინებით. ტიპობრივი დებულება დაწვრილებით განსაზღვრავს მისი უფლება-მოვალეობების ფარგლებს.

თანამედროვე მუშას აღარ აკმაყოფილებს მარტოოდენ სამუშაო ფუნქციის შესრულება. აუცილებელია მას შევუქმნათ პირობები რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს წარმოების მართვაში. ამ საქმეში მუშათა უფრო ფართოდ ჩაბმის მიზნით მსხვილ ბრიგადებში შეიძლება შეიქმნას ბრიგადის საბჭო. საგულისხმოა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებამ გააფართოვა ბრიგადის საბჭოების კომპეტენცია. მასში აღნიშნულია: „სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა... ნება დართონ საწარმოო ბრიგადის კოლექტივებს (საბჭოებს) მათთვის დადგენილი ნორმატივებისა და სახსრების ფარგლებში განსაზღვრონ იმ პირებისა და გასამრჩელოს ოდენობა, რომლებიც გაიცემა ბრიგადის მთელი კოლექტივის მუშაობის შედეგებისათვის. ბრიგადის თითოეული წევრის მიერ მუშაობის საერთო შედეგებში შეტანილი რეალური წვლილის გათვალისწინებით:“

წარადგინონ ბრიგადის წევრები პროფესიული მოღვაწეობის განხორციელების შეთავსებისათვის დანამატის და სარგოს ძისალება:

რეკომენდაცია მისცენ ადმინისტრაციას და პროფკავშირულ ორგანიზაციას შეცვალონ დადგენილი წესები მუშაკის თანრიგი მისი მუშაობის ხარისხის გათვალისწინებით:

განსაზღვრონ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი ბრიგადაში. დაადგინონ მათი წახალისების ოდენობა;

დაასახელონ ბრიგადის წევრთაგან მეტრიალური და მორალური წახალი-

კ. ნათუნაძის სახ. საქ. სსრ. სახელმწიფო ბრძანებით

სების კანდიდატები შიდასაქარხნო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით“.³

მსხვილ საწარმოებში, სადაც დიდძალი ბრიგადებია, იქმნება ბრიგადირთა საბჭო, რომელიც მონაწილეობს ბრიგადებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირობების შემუშავებასა და შედეგების შეჯამებაში. ეხმარება ადმინისტრაციას ახალი ბრიგადების შექმნაში, შეიმუშავებს წინადადებებს ბრიგადების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ა. შ.

დებულებით საწარმოსა და გაერთიანებაში შეიძლება შეიქმნას ორი სახის ბრიგადა: **კომპლექსური და სპეციალიზებული.**

1) კომპლექსური ბრიგადა იქმნება სხვადასხვა პროფესიის მუშებისაგან ტექნოლოგიურად სხვადასხვაგვარი, მაგრამ ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც მოიცავენ წარმოების მთელ ციკლს ან მის დამთავრებულ ნაწილს. ეს ისეთი სამუშაოა, სადაც შრომის მაღალი ეფექტიანობა შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვადასხვა პროფესიის მუშათა შეთანხმებული მოქმედებით. კომპლექსური ბრიგადების ფართოდ გავრცელების ობიექტური წინამძღვარია საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

შესასრულებელ სამუშაოთა ხასიათის მიხედვით კომპლექსური ბრიგადები სხვადასხვანაირია.

კომპლექსურ ბრიგადაში შრომითი ფუნქცია შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ იყოს დანაწილებული. არსებობს აგრეთვე ისეთი კომპლექსური ბრიგადა, რომელშიაც შრომითი ფუნქციები არ არის დანაწილებული ამ ბრიგადის წევრთა შორის.

ბრიგადებში, სადაც შრომითი ფუნქციები მთლიანად არის დანაწილებული ბრიგადის წევრებს შორის, აითოვული მუშა ასრულებს წინასწარ განსაზღვრულ ოპერაციას, რომელიც შედის საერთო ბრიგადულ სამუშაოთა კომპლექსში. აუცილებელ შემთხვევაში ხდება ურთიერთშეცვლა, მაგრამ ამას ეპიზოდური ხასიათი აქვს. როგორც წესი, ასეთი გადაადგილებები (გადანაცვლებები) წარმოებს სარეზერვო მუშათა ხარჯზე.

შრომითი ფუნქციების ნაწილობრივი დანაწილებით მომუშავე ბრიგადაში კი ცალკეულ სამუშაოთა შესრულების დროს შენარჩუნებულია მუშათა სპეციალიზაცია. ამავე დროს ბრიგადის ყოველმა წევრმა უნდა შეძლოს მთელი რიგი სხვა ოპერაციების შესრულებაც.

რაც შეეხება ისეთ კომპლექსურ ბრიგადებს, სადაც შრომითი ფუნქციები არ არის დანაწილებული, ბრიგადის თითოეულ მუშას უხდება საერთო ბრიგადულ სამუშაოთა კომპლექსში შემავალი ნებისმიერი სამუშაოს შესრულება. აქ ყოველი მუშა უნივერსალად გვევლინება.

მაგრამ რა სახისაც უნდა იყოს კომპლექსური ბრიგადა, თითოეულმა მისმა წევრმა წინასწარ უნდა იცოდეს, თუ რა ხასიათისა და რა მოცულობის შრომითი ფუნქციების შესრულება მოუწევს მას. ისეთი შრომითი ფუნქციების შესრულება, რაც შრომის ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული,

³ იხ. სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1979 წ. 12 ივლისის დადგენილება, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979, გვ. 65.

დასაშვებია მხოლოდ მუშაკის თანხმობით ან შრომის კანონთა კოდექსის 27-ე და 28-ე მუხლებით გათვალისწინებულ პირობებში.

2. სპეციალიზებული ბრიგადები იქმნება ისეთ უბნებზე, სადაც შრომის გაზრდილი ეფექტიანობა შეიძლება მიღწეულ იქნეს ერთგვაროვანი პროფესიის მუშაკთა შეთანხმებული მოქმედებით. ასეთ ბრიგადაში მუშათა შორის არ ხდება შრომითი ფუნქციების დანაწილება პროფესიების მიხედვით.

იმ უბნებზე, სადაც წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობები კომპლექსური ან სპეციალიზებული ბრიგადების შექმნის საშუალებას იძლევა. უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ ბრიგადას. ამას ადასტურებს თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელმავალშენის“ მუშაობის გამოცდილება. გაერთიანებაში ახალ ფორმაზე გადასვლის ინიციატორია კადრის მუშა, ნოვატორი ამირან გელაშვილი, რომელმაც 1975 წლის ივლისში ერთ კომპლექსურ ბრიგადად გაერთიანა სხვადასხვა მცირერიცხოვანი სპეციალიზებული ბრიგადის წევრები, აგრეთვე ინდივიდუალურად მომუშავე ზეინკლები, შემღლელები, მბურღავები, ხარატი და მღარავი — სულ 26 მუშა, რომლებიც ელექტრომტაბელურების დეტალების დამზადებასა და კორპუსების აწყობაზე მუშაობენ. ასეთი კომპლექსური ბრიგადის შექმნით შესაძლებელი გახდა ლოკომოტივის კორპუსების გამოშვება ძირითადად ერთი ბრიგადის ძალებით.

შრომის ასეთი ორგანიზაციის წყალობით ლოკომოტივის კორპუსის დამზადებისას ფართოდ არის გამოყენებული მუშაობა მომიჯნავე პროფესიების მიხედვით, მაქსიმალურად შემცირებულია სხვადასხვა პროფესიის მუშათა არათანაბარზომიერი დატვირთვა და ა.შ. ბრიგადის 26 წევრიდან 11-ს ათვისებული აქვს ოთხი, ხოლო 10-ს სამი და მეტი პროფესია. კადრების მომზადება ბრიგადამ შეძლო საკუთარი ძალებით. ხუთი წლის განმავლობაში მზა პროდუქციის გამოშვება ბრიგადაში ერთიორად გაიზარდა. გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 39 პროცენტით შემცირდა, დაიზოგა 172.000 მანეთი. ბრიგადის თითოეული წევრის საშუალო თვიური ხელფასი 15 პროცენტით გადიდა და საშუალოდ 324 მანეთი შეადგინა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. მაგალითად, ეშ-188 ელექტრომტაბელურებს მიენიჭა ხარისხის ნიშანი.

ეს რაც საწარმოო მაჩვენებლებს შეეხება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბრიგადაში გაჩანსალდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. პრაქტიკულად შეწყდა მუშათა კადრების დენადობა. ხუთი წლის მანძილზე მხოლოდ ერთმა მუშამ მიატოვა სამუშაო. შეიქმნა შეუწყნარებლობის ატმოსფერო შრომის დისციპლინის დამრღვევებისადმი.

როგორც სპეციალიზებული, ისე კომპლექსური ბრიგადები შეიძლება იყოს ცვლიანი ან გამჭოლი. გამჭოლი ბრიგადები იქმნება ისეთ უბნებზე, სადაც შესასრულებელ სამუშაოთა ციკლი ვერ თავსდება ერთ ცვლაში. ასეთი ბრიგადა აერთიანებს ინდივიდუალური თუ ბრიგადული წესით მომუშავე ყველა ცვლის მუშას. მაგალითად, მინსკის სატრაქტორო ქარხანაში თუჯის სასხმელ ღუმელს ემსახურებოდა სამი ბრიგადა (სამ ცვლად). ერთ-ერთი ცვლის ბრიგადირმა გააერთიანა სამივე ბრიგადა ერთ გამჭოლ ბრიგადად, რის შედეგადაც დრო, რომელიც გამოყოფილი იყო ერთი ცვლიდან მეორე ცვლაზე ღუმელის გადაბარებისათვის, მოხმარდა უშუალოდ წარმოების პროცესს. ცვლები ერთმანეთზე დამოკიდებული გახდნენ, წუნი მინიმუმამდე შემცირდა, გაჩანსალდა მორა-

ლურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, შრომის ნაყოფიერება კი გაიზარდა 15-20 პროცენტით.

II. მეცხრე ხუთწლედში ფართოდ გავრცელდა შრომის ბრიგადული ორგანიზაციისა და შიდასამეურნეო ანგარიშის ახალი მეთოდი — ბრიგადული იჯარა. 1970 წელს ამ მეთოდის ინიციატორი გახდა მოსკოველ მშენებელთა ბრიგადა ნ. ზლობინის მეთაურობით. ბრიგადამ საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 80 დღით ადრე დაამთავრა, დაზოგა 18,5 ათასი მანეთი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1972 წლის 12 ივლისის დადგენილებაში „მშენებლობებზე ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის ახალი ფორმების შესახებ“ მოიწონა ბრიგადული იჯარით მუშაობის მეთოდი და ურჩია სამშენებლო კოლექტივებს უფრო ფართოდ გამოიყენონ იგი როგორც შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მშენებლობის ვადების შემცირებისა და ხარისხის ამაღლების ქმედითი საშუალება. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტის VIII კარში აღნიშნულია: „საჭიროა სრულფასოვან სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების საიჯარო და სამეურნეო ხერხები, ყოველი ღონისძიებით განვითარებით მშენებლობის ორგანიზაციის ფორმები... შეექმნათ საიმისო პირობები, რომ ყველგან გავრცელდეს გამჭოლი ნაკადური ბრიგადული იჯარა საინჟინრო მომზადებისა და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის დონის ამაღლების საფუძველზე“.⁴

1976 წლის 10 სექტემბერს მიღებულ იქნა დებულება „მშენებლობაში ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის ახალი ფორმის — ბრიგადული იჯარის შესახებ“.⁵

რა არის ბრიგადული იჯარის არსი და რით განსხვავდება იგი სხვა არასაიჯარო კომპლექსური და სპეციალიზებული ბრიგადებისაგან?

ბრიგადული იჯარა გულისხმობს სამეურნეო ანგარიშის განვითარებას მშენებლობის ძირეულ რგოლში — კომპლექსურ სამშენებლო ბრიგადაში და გვევლინება სამეურნეო ანგარიშის შემდგომ განვითარებად, მის შემადგენელ ნაწილად.

სამეურნეო ანგარიშზე შეიძლება გადაყვანილ იქნეს როგორც სპეციალიზებული, ასევე კომპლექსური ბრიგადაც. მანქანათსამშენებელ და ლითონდასამუშავებელ საწარმოებში მუშათა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული მეთოდების დანერგვის თაობაზე დროებითი რეკომენდაციების⁶ მე-3-ე პარაგრაფის მე-3-ე მუხლში ნათქვამია:

„პასუხისმგებლობის ამაღლების, ნედლეულისა და მასალების ეკონომიურად გამოყენებისათვის მატერიალური დაინტერესების მიზნით ის ბრიგადები, სადაც ხელფასის ფონდის გამოყენების აღრიცხვასთან ერთად შესაძლებელია მოეწყოს მასალების, ელექტროენერჯისა და სათბობი ენერჯის, ინსტრუმენ-

⁴ იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1980 წლის 3 დეკემბერი.

⁵ დებულება დამტკიცებულია სსრ კავშირის, სახმშენის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგემო კომიტეტის, შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ, რომელიც შეთანხმებულია საკავშირო პროფსაბჭოსთან.

⁶ დროებითი რეკომენდაციები დამტკიცებულია სსრ კავშირის შრომის და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოს 1979 წლის 16 იანვრის № 22/1-74 დადგენილებით. (იხ. პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ბიულეტენი, 1979 წ., № 6-7, გვ. 12).

ტებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათან (ხარჯვა და აღრიცხვა, საჭიროა გადაყვანილ იქნენ სამეურნეო ანგარიშზე“.

სამეურნეო ანგარიშზე გადასული ბრიგადა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციასთან დებს ხელშეკრულებას განსაზღვრულ ობიექტებზე სამუშაოების ეტაპის, კომპლექსის ან მთლიანად შესრულების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით როგორც ბრიგადა, ისე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია კისრულობენ ურთიერთვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებულია სათანადო პასუხისმგებლობა.

დღეისათვის სამეურნეო ანგარიშზე ბრიგადების გადასვლის დიდი პრაქტიკა გვაქვს როგორც კაპიტალურ მშენებლობაში,⁷ ისე ავტოტრანსპორტზე, ხეტყის დამამზადებელ საწარმოებში, მანქანათმშენებლობაში და სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, სადაც ფართოდ გამოიყენება შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1977 წლის 23 აპრილის დადგენილებით სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა შესაბამის პროფკავშირებთან ერთად გაავრცელონ სამეურნეო ანგარიშის მოწინავე გამოცდილება თავიანთ საწარმოებში, უბნებში და დარგის თავისებურებათა გათვალისწინებით შეიმუშაონ და დაამტკიცონ რეკომენდაციები მისი ორგანიზაციის და სრულყოფის შესახებ.⁸

თუ გავანალიზებთ ბრიგადული იჯარის დანერგვის მდგომარეობას მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით, დავრწმუნდებით, რომ იგი გაძნელებულია წარმოების ისეთ სფეროში, სადაც სახარჯო მასალის დიდი ნომენკლატურაა, დაბალია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დონე, უზრუნველყოფილი არ არის წარმოების ყველა რგოლის რიტმული მუშაობა. ამ და მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებების გამო, რომლებიც დაძლეული არ არის შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვაში, ბრიგადა ვერ იძენს სამეურნეო-ოპერატიულ დამოუკიდებლობას.

ამას გარდა, საჭიროა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის შემუშავდეს და დამტკიცდეს ბრიგადული იჯარის საკითხების მომწესრიგებელი დებულებები.

III. საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია, რასაც თან ახლავს ტექნოლოგიური ოპერაციების კონცენტრაცია, განაპირობებს მთელი რიგი შრომითი ფუნქციებისა და პროფესიების გაერთიანებას, მათ შეთავსებას, რაც წარმოშობს ფართო პროფილის პროფესიების აუცილებლობას. უამისოდ შეუძლებელია შრომის კოლექტიური ორგანიზაციის ფორმების განვითარება, რომელიც ურთიერთდახმარებისა და ამხანაგური თანამშრომლობის საწყისებზეა აგებული.

პროფესიათა შეთავსების სამართლებრივი საკითხები მოწესრიგებულია შრომის კანონმდებლობით. ეს ტერმინი ხშირად გვხვდება აგრეთვე პარტიულ დოკუმენტებში და ეკონომიკურ ლიტერატურაში. ხშირად პროფესიათა შეთავსების იურიდიული არსის არცოდნა იწვევს მის მკდარ გაგებასა და გამოყენებას. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ამ საკითხს.

7 სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით 1980 წლის დასაწყისისათვის კაპიტალურ მშენებლობაში 206 ათასი ბრიგადიდან 70 ათასი ბრიგადული იჯარის მეთოდით მუშაობს. ისინი ასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მესამედს.

⁸ იხ. СП СССР, 1977, № 14, стр. 81.

ცნობილია, რომ შრომის ხელშეკრულების ძალით მუშაკს ეკისრება შრომითი ფუნქციების შესრულება განსაზღვრული პროფესიის, სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით.

პროფესია შრომითი საქმიანობის სახეობაა. იგი განსაზღვრულია შრომითი ფუნქციების მიზნებითა და ხასიათით⁹, მაგალითად, მეტალურგი, ექიმი. პედაგოგი, იურისტი და სხვა. სპეციალობა კი განსაზღვრული პროფესიის ფარგლებში შრომითი საქმიანობის უფრო ვიწრო სფეროა, რომელიც მუშაკის მიერ უფრო ღრმად და ყოველმხრივ არის შესწავლილი. მაგ. ექიმი-თერაპევტი, ისტორიის მასწავლებელი და სხვა.

შრომითი პროცესების სირთულიდან გამომდინარე კონკრეტული სპეციალობის მიხედვით სამუშაოთა შესრულება მოითხოვს კვალიფიკაციის ე. ი. განსწავლულობის განსაზღვრულ დონეს, რომლის კრიტერიუმია თანრიგი (მაგალითად, მე-2 თანრიგის ელექტროშემდღებელი), კლასი (მაგალითად, I კლასის მიღოლი), კატეგორია (მაგალითად, I კატეგორიის ექიმი-ქირურგი), სამეცნიერო ხარისხი და სხვა.

მუშების კვალიფიკაციის დონეს განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის მუშების სამუშაოთა და პროფესიათა ერთიანი სატარიფო საკვალიფიკაციო ცნობარი, ხოლო მოსამსახურეებისას — მოსამსახურეების თანამდებობათა საკვალიფიკაციო ცნობარი.¹⁰

საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გამო შესასრულებელ სამუშაოთა ფუნქცია ვეღარ თავსდება ერთი პროფესიის, სპეციალობის ფარგლებში, რაც იწვევს მათი გაერთიანების აუცილებლობას, წარმოიშობა განსაკუთრებული შრომითი ურთიერთობები, რომლებიც სპეციფიკურ სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებს.

საბჭოთა შრომის კანონმდებლობით, პროფესიათა (სპეციალობათა) შეთავსება გულისხმობს ერთი შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, ერთსა და იმავე საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, ნორმალური სამუშაო დროის განმავლობაში სხვა პროფესიის (სპეციალობის) სამუშაოთა შესრულებას.

პროფესიათა (სპეციალობათა) შეთავსებას, როგორც შრომის ხელშეკრულების შესაძლებელ პირობას, ითვალისწინებს მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსი. მაგალითად, უკრაინის (21-ე მუხლი) (ტაჯიკეთის მე-16 მუხლი), ლიტვის (20-ე მუხლი). საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 85-ე მუხლში ლაპარაკია პროფესიათა შეთავსებისას მხოლოდ შრომის ანაზღაურების შესახებ.

შეთავსების დროს თვისებრივად იცვლება მუშაკის შრომითი საქმიანობის ხასიათი. ამიტომ თუ ეს არ ყოფილა შეთანხმებული შრომის ხელშეკრულების დადების დროს, მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მუშაკის თანხმობით.

შეთავსებათა გამოყენებისათვის აუცილებელია ადმინისტრაციის ნებართვა, რაც უნდა შეუთანხმდეს საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომს, ისეთ პროფესიათა შეთავსება, რომლებიც ფართოდ გამოიყენება საწარმოს საქმიანობაში

⁹ В. С. Андреев — Советское трудовое право. 1976, стр. 95.

¹⁰ დაწერილებით იხ. Сборник законодательных актов о труде. 1977, стр. 361-368.

წინასწარ არის განსაზღვრული ადმინისტრაციისა და პროფკავშირის მიერ. ამასთან ერთად აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა:

1. შეთავსებამ არ გამოიწვიოს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების წესების დარღვევა;

2. მუშას ჰქონდეს სხვა პროფესიის (სპეციალობის) სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო კვალიფიკაცია;

3. იძლეოდეს სათანადო ეკონომიკურ ეფექტს.

როგორც ითქვა, შეთავსება უნდა ხდებოდეს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. ეს არის ნორმალური სამუშაო დღე, ცვლა¹¹.

იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად პროფესიათა (სპეციალობათა) შეთავსების ცნების განმარტებისას ყურადღებას ამახვილებენ ასეთი სახის სამუშაოთა შესრულების ერთდროულობაზე.¹²

სხვადასხვა პროფესიის (სპეციალობის) სამუშაოს შესრულება პარალელურად, მართლაც ერთდროულად წარმოებს, მაგალითად, მდივან-მემანქანე, მძღოლ-ექსპედიტორი, (შეთავსება ვიწრო გაგებით). მაგრამ ზოგჯერ სხვადასხვა პროფესიის (სპეციალობის) სამუშაოები შრომითი ფუნქციების განხორციელების პროცესში სრულდება (შეთავსების ფართო გაგებით), რაც ხშირად ხდება, კერძოდ, კომპლექსური ბრიგადების საქმიანობის პროცესში. მაგალითად, არ არის მასალა განსაზღვრული დეტალის დამზადებისათვის, მუშაკი ასრულებს იმ სამუშაოს, რომლის შესრულებაც შესაძლებელია.

ვ. ა. გლაზმანი აღნიშნავს: „პროფესიათა (სპეციალობათა) შეთავსება წარმოებს ერთდროულად, ყოველდღიური საქმიანობის პროცესში, ან სამუშაოს სხვადასხვა მონაკვეთში, რაც ხდება წარმოების სეზონური ხასიათისა და შრომის კომპლექსური ორგანიზაციის დროს.¹³ მას მოჰყავს მეშახტეთა კომპლექსური ბრიგადის მაგალითი, სადაც მუშებს დროის სხვადასხვა მონაკვეთში უხდებოდათ სხვადასხვა სამუშაოთა შესრულება. მაგალითად, ორი დღე ბრიგადა აკეთებს სამაგრებს, შემდეგ დღეებში კი ქვანახშირის ნგრევაზეა დასაქმებული. მერე გატანაზე და ა. შ.

პროფესიათა (სპეციალობათა) შეთავსების ფართო გაგება მოცემულია შრომის კანონმდებლობის კომენტარებშიც.¹⁴

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კანონმდებელი პროფესიათა შეთავსების ცნებაში გულისხმობს საერთოდ შრომითი ფუნქციების შესრულების პროცესში სხვადასხვა დამოუკიდებელი პროფესიის (სპეციალობის) სამუშაოებს და არ მოითხოვს მის შესრულებას აუცილებლად ერთი დღის თუ ცვლის ფარგლებში.

ამის გამო შეთავსების ცნების განმარტებისას აღარ არის საჭირო იმის მითითება, რომ შეთავსების დროს ძირითად სამუშაოსთან ერთად ხდება დამატებითი ფუნქციების შესრულება, რამდენადაც შეიძლება მუშაკს შრომის ხელ-

¹¹ А. Л. Гинцбург. Регулирование рабочего времени в СССР. М., 1966, стр. 210.

¹² Трудовое право. Энциклопедический словарь. М., 1979, стр. 400; Краткий словарь — справочник по вопросам труда и заработной платы под ред. И. Н. Полова-Черкасова, 1967, стр. 256.

¹³ იხ. В. А. Глазман — Совмещение профессий и должности юр. лит. 1969, стр. 18.

¹⁴ იხ. Комментарий к законодательству о труде, М., 1975, стр. 253.

შეკრულებით (სხვა შემთხვევაში მისივე თანხმობით) თანაბარწილად დაეკისროს ორი ან მეტი დამოუკიდებელი პროფესიის (სპეციალობების) სამუშაოს შესრულება.

პრაქტიკაში ხშირად ძნელდება პროფესიათა (სპეციალობათა) შეთავსების გამიჯვნა შრომის ორგანიზაციის მომიჯნავე ფორმებისაგან. საქმე ეხება მომსახურების ზონის გაფართოებას, სამუშაოთა შეფავსებას, სხვა სამუშაოზე გადაყვანას, სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშის შეცვლას, ფართო პროფილის პროფესიებს.

მომსახურების ზონის გაფართოების დროს ხდება ერთგვაროვან სამუშაოთა შეთავსება და არა სხვადასხვა პროფესიათა (სპეციალობათა) შეთავსება. თუ პროფესიათა შეთავსების დროს რთულდება შრომითი ფუნქციების ხასიათი, მომსახურების ზონის გაფართოებისას მატულობს შრომის ინტენსიურობა, ე. ი. პირველ შემთხვევაში ხდება შრომის ფუნქციების თვისებრივი, ცვლილებები, მეორეში — მხოლოდ რაოდენობრივი. სხვადასხვანაირად წყდება მათი ანაზღაურების საკითხიც.

სამუშაოთა შეთავსების დროს იდება ორი დამოუკიდებელი შრომითი ხელშეკრულება, სამუშაოს შესრულება წარმოებს სხვადასხვა საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში. იგი სცილდება ნორმალური სამუშაო დროის ფარგლებს, სამუშაოს შეთავსების უფლება მკაცრად არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით და დაიშვება გამონაკლისის სახით.¹⁵


სხვა სამუშაოზე გადაყვანის დროს პირი თავისუფლდება ძველი შრომითი ფუნქციების შესრულებისაგან, შეთავსების დროს კი, პირიქით, იგი ითავსებს სხვა, ახალ ფუნქციას.

პროფესიის (სპეციალობის) შეთავსება განსხვავდება აგრეთვე სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშაკის ფუნქციების შეთავსებისაგანაც. ამ შემთხვევაში მუშაკი ითავსებს თავისი ძირითადი პროფესიის (სპეციალობის) სამუშაოებს და იგი დაიშვება კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.

როგორც აღვნიშნეთ, ტექნიკური პროგრესი იწვევს ფართო პროფილის პროფესიების წარმოშობას. ეს უკანასკნელი ძალზე ახლო დგას პროფესიათა შეთავსებასთან. საქმე ის არის, რომ პროფესიათა შეთავსება გვევლინება შუალედურ რგოლად შრომის ვიწრო სპეციალიზაციასა და ფართო პროფილის პროფესიებს შორის.

ფართო პროფილის პროფესიათა წარმოშობა ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. იგი ყალიბდება წინათ არსებული ვიწრო პროფესიის სამუშაოების მყარი და ხანგრძლივი შეთავსების შედეგად. ფართო პროფილის პროფესია პროფესიათა შეთავსების დასრულებული, პრაქტიკულად გამართლებული ფორმა (მაგალითად, მდივან-მემანქანე, მძღოლ-ექსპედიტორი და სხვა). შრომითი ფუნქციების შესრულება აღნიშნული სახის თანამდებობაზე მოითხოვს ამ პროფესიების ორგანულ ერთიანობას. ახლად შექმნილი პროფესია ან ახალ სახელწოდებას ღებულობს, ან ინარჩუნებს ერთ-ერთი ძველი პროფესიის სახელს. ყველა შემთხვევაში შრომითი ფუნქციები რთულდება.

¹⁵ იხ. Сборник законодательных актов о труде. М., 1977, стр. 131-136.



ფართო პროფილის პროფესიათა წარმოშობისათვის საჭიროა, რომ იგი აისახოს ერთიან სატარიფო საკვალიფიკაციო ცნობარში.¹⁶

სხვანაირად რომ ვთქვათ, ამჟამად იმისათვის, რომ ესა თუ ის პროფესია ფართო პროფილის პროფესიად ჩაითვალოს, უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ ფორმალურ კრიტერიუმს — აისახა თუ არა იგი ზემოაღნიშნულ ცნობარში. ამას გარდა ხშირად პროფესია თავისი ბუნებით უკვე ფართო პროფილისაა, მაგრამ ფორმალური კრიტერიუმის (ცნობარში ასახვის) არარსებობის გამო კვალიფიცირდება როგორც პროფესიათა შეთავსება, რაც მცდარია. ამიტომ მიზანშეწონილია შემუშავდეს არსებითი მატერიალური კრიტერიუმი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს რაიმე ფორმალური ნიშნის არსებობის მიუხედავად დავადგინოთ, თუ რასთან გვაქვს საქმე — პროფესიათა შეთავსებასთან თუ ფართო პროფილის პროფესიასთან.

ასეთია მოკლედ შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის შინაარსი და მისი ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბრიგადული ფორმის დროს შრომის სტიმულირების საკითხებს, რაც სპეციალური კვლევის საგანია.



¹⁶ ეს პროცესი ერთიან სატარიფო საკვალიფიკაციო ცნობარში ასეთნაირადაა ასახული — 2 ათასი პროფესიის ნაცვლად დღეისათვის მასში 281 პროფესიის ჩამონათვალია.

დანაშაულის მიზეზისა და პირობის სხვაობის საკითხისათვის¹

ალ. ჟღანტი.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, მიზეზი — ეს არის მოვლენა (ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა კომპლექსი), რომელიც გარკვეულ პირობებში აუცილებლად იწვევს მეორე მოვლენას — შედეგს, პირობა კი ხელს უწყობს მიზეზს, მისი აქტიური თანშეხლება. ამრიგად, მიზეზობრივი კავშირი (მიზეზობრიობა) განისაზღვრება როგორც მოვლენებს შორის მოქმედი ობიექტური კავშირი, რომელთაგან ერთი, მოვლენათა ერთიანობა (მიზეზი), გარკვეულ პირობებში წარმოშობს, მეორეს (შედეგს)². ამდენად, მიზეზშედეგი (აქტიურ-პასიური ფორმით)³, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენებია.

თუ ამ ფილოსოფიურ კატეგორიებს იურიდიულ ინტერპრეტაციას მივცემთ, მაშინ სამართალდარღვევის მიზეზი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ისეთი მოვლენა (ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა კომპლექსი), რომელიც სათანადო პირობებში წარმოშობს მეორე მოვლენას — შედეგს (სამართალდარღვევას). პირობა კი არის ისეთი მოვლენა (მოვლენათა კომპლექსი), რომლის მოქმედებას თუმცა არ ძალუძს უშუალოდ გამოიწვიოს დამდგარი შედეგი, მაგრამ ხელს უწყობს მიზეზის წარმოშობას, თან ახლავს მას და აქტიურად ზემოქმედებს მიზეზობრიობის ისეთ განვითარებაზე, რაც აუცილებელია მოცემული შედეგისათვის (სამართალდარღვევისათვის)⁴.

¹ დანაშაულის მიზეზების და მისი ხელისშემწყობი პირობების ერთიანი გაგება არ არსებობს, იგი მეტად რთული საკითხია. ამით თუ არის გამოწვეული ბ. ხარაზიშვილის შენიშვნა, რომ „...უკვე დიდი ხანია, რაც დამოუკიდებლად არსებობს დანაშაულის მიზეზების და პირობების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და დღემდე მაინც ვერ გაურკვევიათ, თუ რით განსხვავდება მიზეზი პირობისაგან“-ო. ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1977, № 3, გვ. 83). აქ იგულისხმება დამნაშავეობის მიზეზების შესწავლისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემსუბუქებელი საკავშირო ინსტიტუტი.

პრობლემის თავისებურებიდან გამომდინარე, ამ შენიშვნას ვერ გავიზიარებთ, ამასთან, შევეცდებით განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის გამოყენებით, ცნებების ფილოსოფიური და იურიდიული ინტერპრეტაციით გადმოვცეთ დანაშაულის მიზეზის, პირობის არსი, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხზე ჩვენი მოსაზრება.


² Философский словарь. М., 329—330, 425.

Философская Энциклопедия. т. 4, М., 1967, 370.

³ ფ. ენგელსი ეხება რა მოძრაობის მიზეზ-შედეგს, მიუთითებს „აქტიურ მოძრაობაზე, რომელიც „...ვლინდება როგორც ძალა, ხოლო პასიური მოძრაობა — როგორც მისი გამოვლენა“. (ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950, 290).

⁴ თუმცა მიზეზი და პირობა კონკრეტულ როლს ასრულებენ სუბიექტის მიერ დანაშაულის ჩადენაში, ისინი მაინც ავტომატურად არ მოქმედებენ. მიზეზსა და შედეგს შორის ურთიერთკავშირი ხასიათდება განსაკუთრებული სპეციფიკურობით. ამას ვანაპირობებს ის, რომ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები ზემოქმედებს ადამიანის შეგნებაზე არა უშუალოდ, არამედ მოტივად გარდაქმნილ წარმოდგენათა სახით — ობიექტივაციის დონეზე პირის ფსიქოლოგიური განწყობის შუალობით. ე. ი. გარკვეული მოთხოვნების და მისი დაკმაყოფილების კონკრეტული სიტუაციის შედეგად განვითარებული სპეციფიკური აქტიურობის გზით.

ზოგჯერ ერთი და იმავე ფაქტორთა ზემოქმედება, ერთნაირ გარემოში მყოფ სხვადასხვა პირზე სხვადასხვაგვარია. აქ მთავარია, ზეობრივად რამდენად სწორად და მტკიცედ ყალიბდებოდა პიროვნება. დანაშაულის აცილებისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო მისი ხელშემწყობი ფაქტორების აღმოფხვრას, არამედ, განსაკუთრებით, ადამიანების ისე აღზრდას, რათა ისინი არ მოექცნენ მათი გავლენის ქვეშ, შეძლონ წინააღმდეგობის სამართალდარღვევას.



როცა დანაშაულებრივი ქცევის მიზეზის ასახვენლად ამ ცნებებს ვაკონკრეტებთ, შეტად საგულისხმოა მიზეზის მიჩნევა შინაგან და გარეგან ფაქტორთა (პირობათა) კომპლექსად, მათი განხილვა ერთიანობაში და მიზეზობრიობის განმარტება, როგორც ერთი ობიექტი — მიზეზის გარეგანი კომპონენტის დროში შემოქმედება მეორე ობიექტზე — მიზეზის შინაგან კომპონენტზე, რის გამოც ხდება ამ მეორე ობიექტის შეცვლა — შედეგით.

ფორმულაში: (ა-ბ-ბ1) სადაც ა — მიზეზის გარეგანი კომპონენტია, ბ — მიზეზის შინაგანი კომპონენტი, ბ1 — კი შედეგი, ხაზგასმულია შინაგანი და გარეგანი ფაქტორების თანაფარდობა იმ გაგებით, რომ გარეგანი ფაქტორები პირდაპირ და უშუალოდ შემოქმედებენ შინაგანზე აწმყოში, სადაც გადაწყვეტი რილი (მატერიალისტური დიალექტიკის მიხედვით) შინაგანს ეუთვნის, მაშინ როცა ისტორიულად უკველი სისტემა, მათ შორის ცოცხალი არსებაც, საბოლოოდ გარეგანი ფაქტორებით განისაზღვრება. ამასთან, ამ ურთიერთობას შუამდობს მიზეზ-შედეგობრივი მრავალფეროვნება ახასიათებს და მისი ახსნა მართლმოდენ სტატისტიკური ან დინამიკური კანონზომიერებით შეუძლებელია, იგი შესაძლოა აიხსნას მხოლოდ მათს ერთობლიობაში.

აქ სწორია მითითება, რომ დინამიკური კანონზომიერება ანუ ცალსახა მიზეზობრივი კავშირი, რომლის დროს ბ — მოვლენა აუცილებლად და გარდაუვალად იწვევს ბ — მოვლენას. შეედრომად მიგვიყვანს, მაშინ როცა სტატისტიკური კანონები გარკვეული აღზატობით განსაზღვრვენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.

სუბიექტური და ობიექტური პირობები მრავალსახეობითა და ურთიერთშემოქმედების დიალექტიკით განისაზღვრება, რომელიც მიზეზსა და მის საფუძველზე შედეგს წარმოშობს; ამიტომ შეტად მნიშვნელოვანია ისიც, არსებობს თუ არა მიზეზის როგორც მოქმედი მოვლენის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი, საკმარისი ხარისხისა და რაოდენობის ობიექტური და სუბიექტური პირობები, რომელთა კომპონენტების დამაკავშირებელი და ერთობლიობაში მომუშაოი არის ადამიანის (სუბიექტის) ქცევა, მოქმედება.

შესაძლოა მიზეზის შინაგანი და გარეგანი პირობები (კომპონენტები) შეტ-ნაკლებად განსხვავდებოდეს ურთიერთ შემოქმედების სიძლიერით, ინტენსიურობით და ამან განსაზღვროს მიზეზის ჩამოყალიბება და შედეგის დადგომა, ან პირიქით. მაგალითად, ადამიანის ნებელობიი ქცევა, მათ შორის დანაშაულებრივი, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთ დაპირისპირების შედეგია. ეს არის ობიექტივაციის დონეზე მოტივაციის პროცესი (მოტივის ძიების), რასაც (სუბიექტის განწყობის შუალობით) ცნობიერება განსაზღვრავს. დ. უზნაძის მიხედვით, ამ დონეზე ადამიანის განწყობა ხომ თეორიული მოთხოვნისა და მისი დაქაოფილებისათვის წარმოსახული სიტუაციის ნიადაგზე განვითარებულ სპეციფიკურ აქტიურობას წარმოადგენს გარკვეული ქცევისათვის. ამდენად, განწყობა ობიექტური ვითარების შედეგად ჩნდება და მასში ეს ობიექტური ვითარებაა ასახული. ამის საფუძველზე განწყობა წმინდა სუბიექტური მდგომარეობა კი არ არის, იგი ობიექტური ვითარების სუბიექტში გადატანა, და მასში ასახულ ობიექტურ ვითარებას გამოხატავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, განწყობა სუბიექტურში გადატანილი ობიექტურის ასახვა, რომელიც საფუძველად ედება ქცევას. ამდენად, სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს (პირობებს), მათს კომპონენტებს ერთიანობაში განწყობა ასახავს და აზროვნების საგნად აქცევს.

დ. უზნაძე მითითებს, რომ ობიექტივაციის დონეზე ადამიანი „...წინასწარ აცნობიერებს თავის ქცევას და ამა თუ იმ აქტს მხოლოდ იმის მიხედვით მიმართავს, თუ რას მიიღებს ამ გაცნობიერების შედეგად“⁷. როდესაც ქცევა დანაშაულებრივია, ამ ფაქტორების ურთიერთშემოქმედება და ბრძოლა (მოტივაცია), ცნობიერების განსჯის საგნად ქცეულია თეორიული განწყობის მეშვეობით. შეთანხმების შემთხვევაში (მიზეზი ჩამოყალიბებულია). თეორიული ქცევა განწყობა (ნებელობის მეშვეობით) გზას უთმობს პრაქტიკული ქცევის განწყობას, რაც დანაშაულებრივი ქცევით მთავრდება. მათი შეუთანხმებლობის დროს ქცევის მოტივის ძიება ისევ და ისევ მეორდება, საბოლოო შეუთანხმებლობისას კი, შესაძლოა მიზეზი არ წარმოიშვას პრაქტიკურ

5 იხ. გ. ვეკუნას სტატია — „დანაშაულებრივი ქმედობის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების თანაფარდობა მიზეზობრიობის ფილოსოფიური პრობლემის ასპექტში“. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1977 წ. № 2, გვ. 41-47.

6 იხ. თ. ნანობაშვილი, საზოგადოების განვითარების ობიექტური და სუბიექტური პირობების შესახებ, თბ., 1978 წ. გვ. 15, 26.

7 დ. უზნაძე, შრომები, ტ. III-IV, 1964, გვ. 92-93.

ლი ქცევის განწყობა არ ჩამოყალიბდეს და დანაშაულებრივი ქცევა არ განხორციელდეს. ამდენად, მიზეზის შინაგანი და გარეგანი კომპონენტების მოქმედების სიძლიერესა თუ წინსუსტეზეა დამოკიდებული, ამ ბრძოლაში (შეთანხმების მისაღწევად) რომელი დაძლევეს, დანაშაულებრივი მიმართულების ფაქტორები და ჩამოყალიბდება მიზეზი (ასახული პირის განწყობაში) თუ არა. უკეთეს ასეთი მიზეზი ჩამოყალიბდა (განწყობას მეშვეობით) შედეგიც (დანაშაული) გარდაუვალია და პირიქით. ამიტომ სწორია ვ. კუდრიავცევი, როდენაც ამბობს, რომ მიზეზობრიობა, მიზეზობრივი ქაჭვი შეუწყვეტელი ცავშირია და ფაქტორივად ნიშნავს „უსასრულობის წინ — მომავალში ან უკან — წარსულში“⁸.

ამიტომ, როცა ლაპარაკია კონკრეტული დანაშაულის მიზეზზე, იგი პირველყოფლისა თვით დამნაშავე პირის შინაგან ბუნებაში უნდა ვეძიოთ არა განყენებულად, არამედ აუცილებლად გარეგან ფაქტორებთან ერთობლიობაში, მიზეზი უნდა იყოს პირის ბარბანდი და შინაგანი ფაქტორების მოქმედების ერთობლიობა. რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ პირობებს (გარემო-ვითარება და პირის ფსიქოლოგიური — შინაგანი ბუნება), ისინი, როგორც ვთქვით, გვევლინება ისეთ ფაქტორად, რომლებიც მიზეზის ჩამოყალიბებას და ამოქმედებას განაპირობებს, და თან ახლავს მას აქტიური ფორმით.

ამდენად, პირობები ორ ნაწილად — გარეგან და შინაგან პირობებად იყოფა, ზოგჯერ ისინი ერთმანეთს კიდევ მიზეზს და მაშინ ძნელდება მიზეზისაგან პირობის გარჩევა და პირიქით. როგორც წესი, მიზეზის არსებობა შეუძლებელია პირობის გარეშე, პირუბა კი შეიძლება თან ახლდეს მიზეზს ისე, რომ იგი მიზეზად არ ჩამოყალიბდეს. ამრიგად, სამართალმცოდნეობის (დანაშაულის) პროფილაქტიკისათვის, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრა, ვიდრე დანაშაულის ჩადენის უშუალო მიზეზისა.

დანაშაულის მიზეზისა და პირობის შესახებ ჩვენ მიერ განხილული შეხედულებები შეეხება კონკრეტული სახის დანაშაულს, ეს გასაგებია, ვინაიდან დანაშაულებრივი ფაქტი ყოველთვის კონკრეტულია. ასეთივეა მისი მიზეზი, ხელშემწყობი პირობა და დამნაშავე პირიც, ამიტომ არ შეიძლება მასში უშუალოდ იქნეს გათვალისწინებული ის სოციალური განპირობებულობა, რომელიც საერთოდ დამნაშავეობას ან მის ჭგუფურ სახეებს წარმოშობს. დამნაშავეობის მიზეზები უშუალოდ არ შეიცავს პირის ინდივიდუალურ (მაგალითად, ფსიქოლოგიურ) მახასიათებელ ნიშნებს⁹. მთავარი მიმართულება ამ საკითხის გამოკვლევის გზაზე უნდა გახდეს იმ საერთო სოციალური კანონზომიერების დადგენა, რომელიც შემოქმედებას ახდენს დამნაშავეობის წარმოშობაზე, და მისი შეფარდება ცალკეული დანაშაულის თავისებურებებთან.

კონკრეტული დანაშაულის კრიმინოლოგიური შესწავლისას აუცილებელია გამოვყოთ ის საერთო, რაც მოვლენათა ამ სახის უფრო ფართო მასშტაბისათვის არის დამახასიათებელი.

კ. მარქსი აღნიშნავს, რომ ადამიანის არსი არ არის აბსტრაქტული, ცალკეული ინდივიდისათვის დამახასიათებელი. სინამდვილეში ის წარმოადგენს ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა კრებულებას¹⁰.

დანაშაულის და დამნაშავეობის მიზეზების განსაზღვრის დროს ბევრი ბურჟუაზიული კრიმინოლოგი ზოგადად მიუთითებს: „ასეთია ადამიანი, ან ასეთია თანამედროვე საზოგადოება“¹¹. მაგალითად, დასავლეთგერმანელი კრიმინოლოგი ი. ჰელმერი დანაშაულის მიზეზს თავად, „კონკრეტულ ადამიანში“, ე. ი. მხოლოდ სუბიექტურ სფეროში ხედავს, რაც მისი აზრით, დამახასიათებელია „თანამედროვე საზოგადოებისათვის“.

ზოგიერთი ავტორის მოსაზრება, თითქოს ჩვენს ქვეყანაშიც თანამედროვე პირობებში ამა თუ იმ პირის დანაშაულებრივი ქცევა დამოკიდებულია არა გარე ხელშემწყობ ფაქტორებზე, არამედ თვითონ დამნაშავე პირზე, მის შინაგან ბუნებაზე, სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე, ზნეობრივ აღზრდაზე და ა. შ., მთლიანად ვერ ხსნის მოვლენის არსს, ამასთან, მათ

⁸ В. Н. Кудрявцев. Причины правонарушений, М., 1976, 16.

⁹ ფსიქოლოგიურად პიროვნება პირველ რიგში იმ საზოგადოებრივი პირობების ზეგავლენით ყალიბდება, რომელშიც მას უხდება ცხოვრება და საქმიანობა, ამასთან თითოეული ადამიანი ხასიათდება განუმეორებელი ინდივიდუალობით, რაც მისი ბიოლოგიური თავისებურებაა. ამიტომ დანაშაულის მიზეზების, პირობების და დამნაშავე პირის შესწავლისას, აუცილებელია ერთობლივად იქნეს შესწავლილი მათი როგორც ბიოფსიქოლოგიური, ისე ინდივიდუალურ-სოციალური მონაცემები.

¹⁰ К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 3, 3.

¹¹ Макайвер Р. Социальные причины преступности, М., 1966, 66.

ნებისთი თუ უნებლიეთ დანაშაულის მიზეზის ძიების სიმძიმის ცენტრი სუბიექტურ სფეროში გადააქვთ.

აღამიანის, როგორც სოციალური არსების, შინაგანი ბუნება (უველა დადებით — უარყოფითი შეხედულებებით და თვისებებით) ყალიბდება გარემო პირობების ზეგავლენით. რომელიც ხანგრძლივად მოქმედებს აღამიანზე, მის ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე; რაც შეეხება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას, რომელშიც მოხდა დანაშაული. ისიც შეტანაკლებად გარემო-პირობების ზეგავლენის ანარეკლია, ვინაიდან, სიტუაციაც გულისხმობს გარემოს სუბიექტთან მიმართებაში.

ამდენად, სუბიექტური პირობები, მათი არსებობა, განვითარება და ზემოქმედება, თუშეცა განსაზღვრულია პირის (სუბიექტის) ნებით, ამასთან იგი ობიექტური, გარეგანი პირობებისა გამოხატულებაც არის. დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, სუბიექტური პირობები საბოლოო ანგარიშით, განისაზღვრება ობიექტური პირობებით.

აღამიანი¹² შინაგანი (სუბიექტური) პირობების, საკუთარი „მე“-ს ჩამოყალიბება შეუძლებელია გარეგანი (ობიექტური) პირობების გარეშე. აღამიანი (სუბიექტი) სოციალურ არსებად ობიექტურ ფაქტორებთან ურთიერთობაში იქცევა, რაც სათანადო მოქმედებით, ქცევით გამოიხატება, საზოგადოებრივი მოქმედება აქცევის სოციალურ არსებად აღამიანს, რომელიც თავის მხრივ ზემოქმედებს ობიექტურ პირობებზე. ამიტომ შეუძლებელია ცალკე არსებობდნენ აღამიანები სუბიექტური შინაგანი პირობებით და ცალკე გარეგანი ფაქტორები ურთიერთზემოქმედებლად.

ამდენად, აღამიანთა მოქმედების როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორები ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ, ქმნიან რა მოვლენათა ერთიან რგოლს. მკიდრო დადებით — უარყოფითი კონტაქტებით. მათი კომპონენტები ურთიერთზემოქმედებით განსაზღვრავენ მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის უსასრულობას და დიალექტიკურ კანონზომიერებას. დანაშაულთა მიზეზის ახსნაც ამ კანონზომიერებიდან გამომდინარეობს და მისი ლოგიკური შედეგია. ამასთან დაკავშირებით სწორად მიგვაჩნია შენიშვნა, რომ დანაშაულის უშუალო მიზეზი არ შეიძლება იყოს თავისთავად აღამიანი ან მთლიანად საზოგადოება, მით უმეტეს სოციალისტური საზოგადოება¹³. მიზეზის ცნებაში უნდა ვიგულისხმოდ სუბიექტური და ობიექტური ხასიათის მოვლენათა მთელი კომპლექსი, განსხვავებულ თითოეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას, რომელთაც მართლსაწინააღმდეგო ქცევის დეტერმინაციის უნარი შესწევთ. ზოგიერთი ავტორის მითითება, რომ დანაშაულის უშუალო მიზეზად გვევლინება ურთიერთმოქმედი მოვლენები — პირობებისა და გარემოს ხასით და რომ დანაშაულის მიზეზების ახსნა უშუალოდ არის დაკავშირებული პიროვნების ზნეობრივი ჩამოყალიბების მექანიზმისა და მისი დეფორმაციის ცოდნასთან, შეტად ზოგადი და ბუნდოვანია¹⁴.

ვ. კულრიავეცივის აზრით, კონკრეტული სამართალდარღვევის მიზეზები უნდა ავხსნათ სუბიექტის ინდივიდუალური თვისებურებებით და იმ კონკრეტული სიტუაციით, რომელშიც იგი იმყოფებოდა. რაც შეეხება საერთოდ სამართალდარღვევათა მიზეზებს, ისინი რეალური სინამდვილის უფრო მაღალ დონეს უკავშირდებიან: კერძოდ, მოცემული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ მოვლენებს და პირობებს; ამასთან, ინდივიდუალური და სოციალური დონე მკიდრო ურთიერთკავშირშია¹⁵.

კონკრეტული დანაშაულის მიზეზი, აღნიშნავს, ვ. პანკრატოვი. — ეს საერთო მოვლენის (დამნაშავეობის) ინდივიდუალური ვარიანტია¹⁶.

მითითება, რომ ანტისაზოგადოებრივი ქცევის საერთო მიზეზის სათავე კლასობრივ საზოგადოებაში ისტორიულად წარმოშობილი წინააღმდეგობაა და რომ იგი საზოგადოებრივი ცნობიერებისა და საზოგადოებრივი უფიქრების რთულ ურთიერთობაში კოლულობს მთავის ახსნას, შეტად საინტერესოა. ამ ურთიერთობის სირთულე გამოიხატება იმით, რომ ისინი ურთიერთმოქმედებენ არა მხოლოდ მთლიანად საზოგადოების დონეზე, არამედ კლასების, სოციალური ჯგუფების, კოლექტივებისა და, ბოლოს, ცალკეული პირების დონეზე¹⁶. თითოეულ ამ დონეზე მათი მექანიზმი და ხასიათი სხვადასხვაა. ამიტომ არ ემთხვევა შედეგიც — საზოგადო-


¹² В. Н. Кудрявцев. Причины правонарушений, 86.

¹³ Тарарухин С. А. Преступное поведение. Социальные и психологические черты. М., 1974, 5.

¹⁴ В. Н. Кудрявцев, указанная работа, 27—28.

¹⁵ Панкратов В. В. Методология и методика криминологических исследований. М., 1972, 29.

¹⁶ В. Н. Кудрявцев, там же, 228—229.



ებრივი, ჭკუფური და ინდივიდუალური ქცევა. ამასთან, მათი კომპონენტების ურთიერთმოქმედება რთული და წინააღმდეგობრივია. ლაპარაკია ობიექტურის და სუბიექტურის ისეთ ურთიერთობაზე, რომლის შედეგადაც წარმოიშობა სამართალდარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ყოფიერების, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ძირითადი ნაწილი სოციალიზმის დროს დადებითი სოციალური მიმართულებებისაა, მასში მაინც ხაჭმარისად რჩება უარყოფითი, წინააღმდეგობრივი, რაც ზემოქმედებას ახდენს როგორც ინდივიდუალურ, ისე საერთო ქცევის მიმდინარეობასა და ხარისხზე.

საზოგადოებრივი ცნობიერება რთული ფენომენია. იგი საზოგადოების სულიერი ცხოვრების, საზოგადოებრივი იდეების კრებადობა, შეხედულებები, თეორიები, ადამიანთა სურვილები და განწყობილებაა¹⁷.

ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფიერება კი „მათი ცხოვრების რეალური პროცესია“. საზოგადოებრივი ცნობიერება დამოკიდებულია საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, იგი „საზოგადოებრივი ყოფიერების შეცნობაა“¹⁸. „საზოგადოებრივი შეგნება შესაბამისობაშია საზოგადოებრივ ყოფიერებასთან“¹⁹.

ადამიანის როგორც ყოფიერებით, ისე ცნობიერებით მხარეს მოთხოვნილება უდევს საფუძვლად²⁰. ის წინააღმდეგობრივი ურთიერთობა, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, მოთხოვნილებასა და მისი დაკმაყოფილების საშუალებების ძიებასთან არის დაკავშირებული.

როგორც აღვნიშნეთ, ვ. კულრაივეცევი²¹ ამ წინააღმდეგობებს ორ დიდ ჭკუფად ყოფს: სუბიექტური და ობიექტური ხასიათის წინააღმდეგობებად; საიდანაც გამოყვანს სამართალდარღვევის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები და პირობები.

სუბიექტური მიზეზებად დასახელებულია: სოციალური ფსიქოლოგიის ისეთი განსაზღვრული ელემენტები, რომლებიც, ეწინააღმდეგება კომუნისტურ იდეოლოგიას, რაც თავის გამოხატულებას პოულობს სამართალდარღვევის პირობების დამახინჯებულ მოთხოვნილებებში, ინტერესებში, მიზნებში, მოტივებში, ზნეობრივ ფასეულობებსა და მართლშეგნებაში.

ხოლო სუბიექტური პირობებში მოსახლეობს დემოკრატიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები (ხასიათის ნიშნები, ტემპერამენტი, წლავანება, სქესი და ა. შ.).

ობიექტური მიზეზები გულისხმობს საზოგადოებრივ ყოფიერებაში, ადამიანების ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობაში არსებულ კონკრეტულ წინააღმდეგობებს.

ობიექტური პირობები კი, — ორგანიზაციული და ტექნიკური ხასის ნაკლავანებებს, რომლებიც ხელს უწყობს და აცოცხლებს სუბიექტური და ობიექტური ხასიათის მიზეზებს.

დანაშაულებრივი ქცევა ამ ობიექტური და სუბიექტური მიზეზების, აგრეთვე ობიექტური და სუბიექტური პირობების ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოიშობა და შეადგენს მიზეზ-შედეგობრიობის რთულ ჯაჭვს. ობიექტური და სუბიექტური, მართლწიერი და შემთხვევითი მჭიდროდ უკავშირდება და განაპირობებს ურთიერთს, განსაზღვრავს სამართლებრივი ქცევის გენეზისს. ისინი შეიძლება სხვადასხვა სიმძიმისა იყოს და კონკრეტული ქცევის მიხედვით უკავშირდებოდეს ერთმანეთს.

რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტს (პირს), მიკროწრებს (სოციალურ ჯგუფს), კოლექტივს ან საზოგადოებას მთლიანად, ისინი არ შეიძლება ამა თუ იმ ქცევის მიზეზი იყოს — ეს არის ამ მიზეზების მოქმედების სფერო — ამასთან მათ პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ მიზეზობრიობის პრობლემასთან. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ობიექტუ-


¹⁷ Марксистско-ленинская философия. Исторический материализм. М., 1968, 10.

¹⁸ Маркс К. и Энгельс Ф. Соч. т. 3, 26.

¹⁹ Уледов А. Структура общественного сознания. М., 1968, 286.

²⁰ მაგ. შეხედულება, რომ ადამიანის ყოფიერებით აქტივობას განსაზღვრავს შიშშილი, წყურვილი... ხოლო ცნობიერებით — ნებისყოფის მოტივი იხ. Л. И. Петражицкий, Права и нравственности. Эмоциональная психология, С.-Петербург, 1905 г., стр. 177, 212—215). არ შეიძლება ზუსტად მივიჩნიოთ. შიშშილი, წყურვილი — გამომდინარეობს მოთხოვნილებიდან. მოტივიც მეორადი წარმოშობისაა, პირველადი მოთხოვნილებაა, ყოველგვარი აქტივობის წყარო. ამასთან ყოფიერებითი მოთხოვნილება, ცნობიერებითი პოულობს თავის ასახვას ადამიანურ დონეზე, იგი ერთობლიობაშია წარმოდგენილი და მათი დაყოფა მხოლოდ პირობითად შეიძლება.

²¹ ვ. კულრაივეცევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 125-128.



რი პროცესების ნეგატიური მხარეები, როგორც წესი, წარმოადგენს დანაშაულის არა მიზეზებს, არამედ მხოლოდ მისი წარმოშობის პირობებს, საშუალებებს. ამასთან, ამ წინააღმდეგობებს არაანტაგონისტური ხასიათი აქვს.

ინდივიდუალური ანტაგონიზმის საფუძვლებს ქმნის წინააღმდეგობა, რომელიც მთავარ როლს ასრულებს ცალკეული პირების ინტერესების ურთიერთშეთავსებლობა, აგრეთვე ცალკეული ადამიანებისა და საზოგადოებრივი ინტერესების შეუთავსებლობა²².

ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა, იმავე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში ცხოვრობს, როგორც ცხოვრობენ სამართალდამრღვევები და მიიწევიან არსადის მართლსაწინააღმდეგო ქმედობას, იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოების განვითარების ობიექტური პირობები მხოლოდ საბოლოო ანგარიშით უკავშირდება სამართალდარღვევათა არსებობას²³.

ამის საფუძველზე ზოგიერთი ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ ანტისაზოგადოებრივი ქცევა მათ შორის სამართალდარღვევა, სოციალიზმის დროს „სრულიად კანონზომიერი მოვლენაა ადამიანთა საზოგადოების განვითარებისთვის“²⁴. ამ წინააღმდეგობრივ მსჯელობასთან შედარებით, სავსებით დასაბუთებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ არაანტაგონისტური ხასიათის წინააღმდეგობის გარეშე, რომელსაც ვაწყდებით სოციალიზმის დროს ცხოვრების სოციალურ სფეროში, დანაშაულის მიზეზების შესახებ თეორიის აგება უკონფლიქტო სოციალისტური საზოგადოების მიხედვით, წმინდა სუბიექტივიზმი იქნებოდა²⁵.

ამასთან, ზოგიერთი ავტორის მიერ ყველა დანაშაულის მიზეზად „კაპიტალიზმის გამოშენების“ გამოცხადება, ჩვენი აზრით, მეტად იოლი გზაა. დანაშაულისა და დამნაშავეობის ასახვას ნელად გამოდის, რომ სანამ არსებობს კაპიტალისტური სამყარო, ჩვენს ქვეყანაში დანაშაულები გარდაუვალია და მის ლიკვიდაციას უკვე უნდა იწყებოდეს. ეს კი ეწინააღმდეგება სკკპ საპროგრამო დებულებას ამ ჩაკითხვზე. კაპიტალისტური უღა, ჩვევები, ჩვეულებები, მართალა უარყოფის წემოქმედებას ახდენს ზოგიერთ მერყევ პირზე, შეიძლება იგი დანაშაულის გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორად მივიჩნიოთ, მაგრამ მისი გამოცხადება მთავარ (ძირითად), ზოგჯერ ერთადერთ მიზეზად, აშკარად შეცდომაა.

სოციალისტურ საზოგადოებაში სამართალი და სამართალდარღვევა გამოხატავს ქცევის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მოდელს, არა მარტო იურიდიულად, არამედ აგრეთვე სოციალურ და წინობრივ ურთიერთობებში. ამ მოდელით არის დეტერმინირებული პრინციპულად სხვადასხვა ხასიათის ინდივიდუალური ქცევა. ამასთან, ქცევის ის ხაზი, რომელიც შეესაბამება სამართლის მოთხოვნებს, წინ დგას, „მბრძანებლობს და იმარჯვებს“²⁶.

დანაშაულის მიზეზების და პირობების საკითხს ჩვენ კიდევ შევხვებით. აქ გვინდა განვიხილოთ მხოლოდ ერთი საკითხი, კერძოდ, ვ. კუდრიავცევის მიერ სამართალდარღვევის მიზეზების დაყოფა სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებად.

როგორც აღვნიშნეთ, დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, მიზეზი არის მოვლენა — სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთმოქმედებიდან გამომდინარე, რომელიც სათანადო პირობებში წარმოშობს მეორე მოვლენას — შედეგს. როცა მიზეზებს ვყოფთ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მხოლოდ სუბიექტურ ან მხოლოდ ობიექტურ ფაქტორთა ურთიერთობას შეუძლია ცალ-ცალკე დამოუკიდებლად გამოიწვიოს მიზეზი და მის საფუძველზე შედეგი — სამართალდარღვევა. მაშინ, როცა ამას იწვევს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთმოქმედება.

ამიტომ მიზეზთა დაყოფა სუბიექტურად და ობიექტურად არ უნდა იყოს სწორი, ასეთი დაყოფა მხოლოდ პირობებს შეესაბამება.

ამრიგად, ჩვენი აზრით, დანაშაულებრივი ქცევის უშუალო მიზეზად უნდა ჩაითვალოს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის წარმოშობილ წინააღმდეგობათა გამოპირისპირებული ინდივიდუალური თვისებებიდან და კონკრეტული (ცხოვრებისეული) სიტუაციიდან გამომდინარე იმ წინაგანი და გარეგანი, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების (პირობების) კომპონენტთა

²² Винокуров В. И. Вопросы диалектики развитого социализма. Саратов. 1973, стр. 47.
²³ ვ. კუდრიავცევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 172.
²⁴ Наумов Г. Социальная детерминация преступности в Болгарии. София. 1971, 12. Карпец И. И. Проблема преступности, 46.
²⁵ Бухгелл Э. и др. Социалистическая криминология. Пер. с немецкого. М., 1975, стр. 163.
²⁶ Там же, стр. 153.

ერთობლიობა (ურთიერთშემოქმედება), სახალხო პირის განწყობაში (ობიექტივაციის დონეზე) და აზროვნების სახნად ქცეული (მოტივაცია), რომელთაც განწყობის მეშვეობით, ასეთი შედეგი (დანაშაულებრივი ქცევა) შესაძლებლად მიიჩნეის. განწყობასთან ერთად აქ დიდ როლს ასრულებს მის საფუძველზე განვითარებული ნებისყოფა, აზროვნება და ცნობიერება, სოციალური, ეკონომიკური, მორალური, ესთეტიკური და სხვა ნორმების ცოდნა და შემოქმედება, რასაც ადამიანი ალწრდა-ჩამოყალიბების მთელ პროცესში იძენს.

რაც შეეხება დამნაშავემომბრის სპერტო მიწეშეშებს, მისი სათავე ისტორიულად კლასობრივ საზოგადოებაში (მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზაზე) წარმოშობილი წინააღმდეგობებია და, როგორც გარდამავალი მოვლენა, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების (პირობების) ურთიერთშემოქმედებით, ობიექტივაციის დონეზე ინდივიდთა შესაბამისი განწყობების გზით, საზოგადოებრივ უოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების რთულ ურთიერთობაში აისახება. ამასთან, ინდივიდუალურ და სოციალურ (საზოგადოებრივ) დონეს შორის უწყვეტი კავშირი, მიზეზობრიობის ჭაჭვით არის გამოხატული.

სუბიექტურ ფაქტორებად (პირობებად) შეიძლება დავასახელოთ: შინაგანი, ფსიქოლოგიური სფეროთი განპირობებული წინააღმდეგობანი, რაც გამოიხატება დამნაშავეთა მახინჯი მოთხოვნილებებით, განწყობებით, მიზნებით, მოტივებით, ზნეობრივი ფასეულობებით, შეგნებით (მართლშეგნებით) და სხვ.

ობიექტურ ფაქტორებად (პირობებად) გვევლინება: გარემო — ვითარება, კონკრეტული წინააღმდეგობანი საზოგადოებრივ უოფიერებაში, ადამიანების ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობაში, აგრეთვე ორგანიზაციული და ტექნიკური სახის ნაკლოვანებანი და სხვ.

ჩვენი მოსაზრება გამომდინარეობს მიზეზ-შედეგობრიობის მატერიალისტური დიალექტიკის განსაზღვრებიდან, რომ გარეგანი ფაქტორები პირდაპირ და უშუალოდ შემოქმედებენ შინაგანზე აწმყოში. როცა ლაპარაკია ობიექტურ გარეგან ფაქტორებზე, აქ უოველთვის იგულისხმება გარეგანი პირობები, ხოლო როცა შინაგან, სუბიექტურ ფაქტორებს ვახსენებთ, ვგულისხმობთ შინაგან სუბიექტურ პირობებს, პირის შინაგან ბუნებას.

მაშინ რომელია მიზეზი და რომელია პირობა?

როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულის მიზეზი, სწორედ პირობათა ერთი კომპლექსის (გარეგანი კომპონენტის) — ობიექტური ფაქტორების შემოქმედებაა, პირობათა მეორე კომპლექსზე (შინაგან კომპონენტზე) — სუბიექტურ ფაქტორებზე და პირიქით. ისინი ერთად განაპირობებენ მიზეზს. თვით მიზეზი არის მოქმედება, რომელსაც შედეგი მოსდევს, ეს მოქმედება სათანადო პირობებში მიმდინარეობს. ამდენად, მიზეზი (მოვლენა) სხვა არა არის რა, თუ არა სუბიექტურ და ობიექტურ პირობათა კომპლექსების ურთიერთშემოქმედებით გამოწვეული უნარი, განახორციელოს მეორე მოვლენა (შედეგი) — დანაშაული.

როგორც ვხედავთ, მიზეზი არ არსებობს პირობებისაგან დამოუკიდებლად. ამასთან გამოირიცხებულია — ან გარეგანი ან შინაგანი მიზეზი. იგი მხოლოდ შინაგანისა და გარეგანის ურთიერთშემოქმედების ერთიანობაა;

რაც შეეხება პირობებს, არც სუბიექტურ (შინაგან) პირობებს, და არც ობიექტურ (გარეგან) პირობებს, თავისთავად ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად არ ძალუძთ მიზეზის ჩამოყალიბება; ისინი ერთობლივი მოქმედებით აუალიბებენ მიზეზს, შეადგენენ მის ნაწილს და აქტიურად უწყობენ ხელს მიზეზობრიობის განვითარებას. რათა შედეგი განხორციელდეს. ამის საფუძველზე შეუძლებელია დამოუკიდებლად არსებობდეს მხოლოდ შინაგანი ან მხოლოდ გარეგანი, მხოლოდ სუბიექტური ან მხოლოდ ობიექტური მიზეზები. ასეთი დაუფა შეეხება პირობებს, ურომლისდაც არ არსებობს მიზეზი, როგორც მოქმედი მოვლენა. პირობებს კი შეუძლია არსებობა: დამოუკიდებლად, ისე რომ მიზეზად არ ჩამოყალიბდეს. როგორც ვხედავთ პირობები, როგორც მიზეზის კომპონენტები, ორ ნაწილად — გარეგან და შინაგან პირობებად იყოფა. ამდენად, პირობები არა მარტო ქმნიან მიზეზს, არამედ აქტიურად უწყობს ხელს მიზეზობრიობის განვითარებას და შედეგის განხორციელებას. ამრიგად, მიზეზისა და პირობების თანაფარდობის საკითხი მხოლოდ მიზეზის მოქმედების უნარის მიხედვით ისმის, რომ მიზეზი ისეთი მოქმედებაა, რომელიც შედეგს იწვევს, (პირობების ხელშეწყობით), რაც თავისთავად პირობებს არ შეუძლია გამოიწვიოს. ყველა სხვა შემთხვევაში პირობები დამოუკიდებლად არსებობს და მოქმედებს, ისე, რომ მიზეზად შეიძლება არც ჩამოყალიბდეს. როცა პირობები მიზეზად უალიბდება, მას ახლავს აქტიური ფორმით, ვინაიდან მიზეზს მათ გარეშე მოქმედების უნარი არ გააჩნია. ჩვენი მსჯელობა მიზეზის ჩამოყალიბებაზე, ცალმხრივი იქნება, თუ ამასთან ერთად არ დავუშვებთ, რომ მთელი ეს პროცესი (ობიექტივაციის დონეზე) პირის განწყობის მეშვეობით აზროვნებით (მოტივაცია) ფასდება და ქცევის განხორციელებასაც განწყობა უდევს საფუძველად.

სხვანაირად რომ ვთქვათ, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების (პირობების) კომპონენტთა ერთობლიობა, ურთიერთმოქმედება თავის ასახვას პირის განწყობაში პოულობს. აზროვნების საგნად იქცევა (მოტივაცია), რაც ზოგჯერ ჩამოყალიბდება მიზეზად და (განწყობების მეშვეობით) ახალ მოვლენას — შედეგს (დანაშაულს) წარმოშობს: ზოგჯერ ვერ ჩამოყალიბდება მიზეზის სახით და ახლის წარმოშობა, შედეგის (დანაშაული*) დადგომა ფერხდება ან განუხორციელებელი რჩება.

როგორც აღვნიშნეთ აქ, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, თუ როგორი ინტენსიურობით, სიძლიერით მოქმედებს გარეგანი (ობიექტური) პირობები, შინაგან (სუბიექტურ) პირობებზე. ან პირიქით, რაც ბევრად არის დამოკიდებული გარემო-ვითარებაზე და პირის შინაგან ბუნებაზე. მის განწყობაზე²⁷.

შინაგანის გადამწყვეტი როლის დიალექტიკური გაგების საფუძველზე, დანაშაულებრივი ქცევის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები, პირველყოფლისა. თვით დამნაშავე პირში უნდა ვეძიოთ, აუცილებლად გარეგანთან კავშირით.

სწორედ ამიტომ არის, რომ ზოგჯერ გარეგნულად კეთილი, დამსახურებული პირიც სჩადის დანაშაულს და ვერ აგვიხსნია — რატომ? როგორც ჩანს, მასში მიძინებული იყო ის შინაგანი უარყოფითი, რაც მის გარშემო პირობების შეცვლით გააქტიურდა და ამოქმედდა. გამომუდავდა, შეცვლილ ვითარებაში პოვა გასაქანი. ადამიანში ხომ მეტ-ნაკლები პროპორციით მოცემულია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები (ხასიათები). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სამართალდამრღვევთა ერთი ჯგუფის გამოკვლევის მასალა, რომლითაც ერთი და იმავე პირებს აღმოაჩნდათ უარყოფითი და დადებითი ხასიათების ერთობლიობა მეტ-ნაკლები პროპორციით²⁸. მეორე ჯგუფში კი, სადაც არ ერა სამართალდამრღვევი, სოციოლოგიურმა შეჭოწმებამ აღნუსხა 120 სხვადასხვა (დადებით-უარყოფითი) ნიშანთვისება²⁹. ჩვენი აზრით, ადამიანის პიროვნების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს სწორედ ამ დადებითი ხასიათებლზე სიმრავლე და დომინირება უარყოფითზე, რაც თავის განხორციელებას კონკრეტულ ქცევებში (რას აკეთებს და როგორ აკეთებს) პოულობს.

ამდენად, მხოლოდ შინაგან სუბიექტურ ან მხოლოდ გარეგან ობიექტურ ფაქტორებს (პირობებს) მათ ეტალონურ ჯგუფებს არ შეიძლება მიეცეს მიზეზის ხასიათი. ჭერ ერთი, რომ ეს უკანასკნელი რამდენადმე ხსნის პასუხისმგებლობას დამნაშავე პირს³⁰, ამასთან, ვერ ასახულებს,

²⁷ აქედან გამომდინარე, უზუსტოდ გვეჩვენება მსჯელობა, რომ თითქოს „...სოციალშიზმის ეპოქაში სამართალდარღვევითა მიზეზის როლში გამოდიან სუბიექტური ფაქტორები, ობიექტური ფაქტორები კი ასრულებენ ხელშეწყობი პირობის ფუნქციას“. (იხ. ვ. ნ. კუდრავეცის დასახელებულ ნაშრომზე ა. გაბიანისა და ნ. სარჯველადის რეცენზია. ჟურნ. „საბჭოთა სპორტალი“, 1978 წ. № 2, გვ. 89).

²⁸ Психология преступных появлений среди молодежи. М., 1971, 121.

²⁹ Структура морали, М., 1977, 115.

³⁰ დამნაშავედ იწოდება პირი, რომელმაც რაიმე სახის მოთხოვნილების დაკმაყოფილებიდან გამომდინარე, თავისი შეხედულებების საზოგადოებრივ ინტერესებთან უარყოფითი დამოკიდებულების და კონკრეტული ცხოვრებაეული სიტუაციის საფუძველზე ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით დასჯადი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. ჩვენი აზრით, მართებული არ არის იურიდიულ მეცნიერებაში (კრიმინოლოგია, სისხლის სამართალი) დამკვიდრებული ტერმინი „დამნაშავე პიროვნება“. პიროვნება უფრო მაღალი ცნებაა, ვიდრე პირი, რომელიც ვერ არის ამალელებული პირველის დონემდე. პირი, რომელიც არღვევს კანონს, ახორციელებს ანტიპაზოგადოებრივ ქცევას, სჩადის საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას (დანაშაულს), არ შეიძლება იყოს პიროვნების მაღალი იდეალის მატარებელი. ჟონკრეტულ დანაშაულს სჩადის სწორედ პირი (დანაშაულის სუბიექტი). თვითონ ცნება „დამნაშავე პირი“-ც პირობითია, ვინაიდან „დამნაშავე პირი“ ან პირის „დანაშაულებრივი თვისება“ სერთოდ, არ არსებობს. პირი საზოგადოებრივად საშიში ხდება დანაშაულის ჩადენის, ხოლო იურიდიულად, დამნაშავედ ცნობის მომენტიდან. ამით განსხვავდება დამნაშავე უდანაშაულოსაგან. დამნაშავე პირის შესწავლაც მიზეზობრივ კავშირშია, იმ კონკრეტულ დანაშაულის შესწავლასთან, რომელიც მან ჩაიდინა. ამიტომ უნდა დავეთანხმოთ გამოთქმას, როგორც ასეთი „დამნაშავე პიროვნება არ არსებობს“.

ეს აზრი მკვეთრად ეწინააღმდეგება აგრეთვე ბურჟუაზიული „ანთროპოლოგიური“, „სოციოლოგიური“ და სხვა ჯურის რეაქციული სკოლების შეხედულებებს, „ქრონიკული დამნაშავეების“, „თანდაყოლილი დამნაშავეების“, „საშიში მდგომარეობის მატარებელი პირების“ არსებობის შესახებ, რაშიც პირთა „გამოუსწორებლობის“ კლასობრივი არის იმალება.

თუ რატომ მოიქცა ამ ჭკუფის წარმომადგენელთაგან ერთი პირი დანაშაულებრივად, ხოლო მეორე არა. ამის ახსნა კი შინაგანი სუბიექტური და გარეგანი ობიექტური პირობების ერთობლიობაშია შესაძლებელი, თუ იდეურად რა გარემო პირობებში ჩამოყალიბდა ინდივიდი, როგორია მისი შინაგანი ბუნება, განწყობა. პირის არახელსაყრელ ზნეობრივ ჩამოყალიბებას სწორად განაპირობებს ნაკლოვანებანი ოჯახში, სკოლაში, შრომითს კოლექტივებში, ცხოვრებისეულ გარემოში და, პირიქით, დასახელებულ ორგანიზაციებში, ჯანსაღი მორალური ატმოსფერო, ინდივიდის დადებითი, მარმონიული განვითარების საწინდარია, ისევე როგორც დადებითი ინდივიდები თავიანთი ქცევით, საქმიანობით ქმნიან ასეთივე გარემოს. ღრმა იდეური რწმენისა და აღზრდის ადამიანი, რა გარემო ვითარებაშიც უნდა მოექცეს იგი, არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდნის დანაშაულს. ამის შთამბეჭდავი დადასტურებაა დიდი სამამულო ომის პერიოდში უამრავი მაგალითი, როცა ფაშისტების უსაშინელესი წაშლის პირობებში დატანჯული საბჭოთა მეომრები თუ მოქალაქეები ახსოვლენ სუბიექტური უმრავლესობა თავს სწირავდნენ, სამშობლოს არ დალატობდნენ, საიდუმლოებას ინახავდნენ და სხვა მრავალ უჩვეულო საგმირო საქმეებზე სწავლიდნენ.

ჩვეულებრივ, საზოგადოებრივად სასარგებლო და ანტისაზოგადოებრივი ქცევების განვითარების ეტაპებსა და ფორმებს შორის განსხვავება არ არის, განსხვავდება მხოლოდ მათი შინაარსი.

სწორედ ეს შინაარსი, უკეთეს იგი დანაშაულებრივია, გამომდინარეობს ამა თუ იმ პირის მოთხოვნილებასა და მისი დაკმაყოფილების საშუალებებს შორის რაღაცეად არსებული ან ამ პირის წარმოდგენით ფიქციური წინააღმდეგობებიდან, რამაც განაპირობა თავისუფალი არჩევანი (რაც თავისუფალ ნებისყოფას გულისხმობს³¹), სამართლის ნორმის დარღვევა. სწორედ ამ ნორმის დარღვევისათვის ეკისრება მას პასუხისმგებლობა, ვინაიდან შეეძლო იგი არ დაერღვია. ეს ნიშნავს, რომ არჩევანში დანაშაულებრივმა ქცევამ გადასძლია, რომლის განწყობისეულად გადაწყვეტაში დიდი ნებისყოფის როლი, როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის გადაწყვეტილების აღსრულების მკონტროლებლისა. ამიტომაც აუცილებელია ინდივიდისათვის განწყობასთან ერთად დადებითი მტკიცე ნებისყოფის ჩანერგვა, რაც მასში ასეთივე გრძნობების თვითჩანერგვაც არის და პირიქით.

უველა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ერთობლიობა, ურთიერთმოქმედება, რომლებიც ცხოვრების სოციალურ სფეროში, ადამიანების მოთხოვნილების ნიადაგზე წამოჭრილ წინააღმდეგობათა შედეგად ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთ დამოკიდებულებიდან გამომდინარეობენ, პირმა უნდა აღიქვას და გააანალიზოს, რის შედეგადაც ყალიბდება მიზეზი, მიზეზი, მოტივი, გადაწყვეტილება და ნებისყოფის ჩართვით, განწყობის მეშვეობით, ხორციელდება საზოგადოებრივად სასარგებლო ან ანტისაზოგადოებრივი (დანაშაულებრივი) ქცევა.

პიროვნების საზოგადოებრივი დეტერმინირება ინდივიდის ქცევაში ხდება, რომელიც მიმდინარეობს კონკრეტული სოციალური ჭკუფების შიგნით და მეტ-ნაკლებად ემორჩილება მათ პირობებს.

როცა ქცევა დანაშაულებრივია, როგორც ადვინშნეთ, მას მოვლენათა, ფაქტორთა ურთიერთმოქმედება, მათი კრებადობა განაპირობებს და არა ცალკეული ფაქტორები, როგორც ეს ბურჟუაზიული, ე. წ. „ფაქტორების“ თეორიის (ჩ. ლომბროზო, ე. ფერრი და სხვ.) წარმომადგენლებს მიაჩნიათ.

სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების (პირობების) კომპონენტების ურთიერთმოქმედების გაანალიზება, აზროვნების მსაშუალებით ხდება. ამ პროცესს დ. უზნაძემ ობიექტივაციის პროცესი უწოდა, რასაც ადამიანის განწყობა უდევს საფუძვლად. მისი მოძღვრებით, განწყობა ქცევის საფუძველია, რაშიდაც მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვია ახსნული, იქნება ეს ქცევა საზოგადოებრივად სასარგებლო თუ დანაშაულებრივი. ამიტომ ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით განწყობის ფსიქოლოგიურ თეორიას, დანაშაულებრივი ქცევის მიზეზისა და პირობის ძიების დროს.

31 ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია პასუხისმგებელი თავისი მოქმედებისათვის, თუ ეს მოქმედება მან სრულიად თავისუფალი ნებისყოფით ჩაიდინა. (К. Маркс, Ф. Энгельс, соч., т. 21, изд. II, с. 82).

დანაშაულის მოგვივი სისხლისსამართლებრივი ჯიკარსოვის მიხედვით

2. ნაშუბია

ამ სამიოდე წლის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბაჟრომ განიხილა საკითხი — „სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში მეცნიერების როლის ამღლებისა და რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის შესახებ“.

მიღებულია მეტად დიდმნიშვნელოვანი დადგენილება, რომლის მიზანი ნათელია: თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, როცა მეცნიერება უშუალო საწარმოო ძალად გადაიქცა აუცილებელია, რომ იურიდიული მეცნიერება სხვა მეცნიერებებთან მჭიდრო კავშირით უფრო მეტ გავლენას ახდენდეს პრაქტიკაზე, ვიდრე ეს დღემდე იყო.

მაგრამ მთელი საქმე ის არის, თუ როგორ იქნება გაგებული პრაქტიკაზე მეცნიერების გავლენის საკითხი. ზოგიერთ მეცნიერულ წრეებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკულ მუშაკებზე, საკმაოდ გავრცელებულია პრობლემების „თეორიულ“ და „პრაქტიკულ“ ასპექტებად დაყოფა.

თუ რომელიმე სტატია, წერილი, უშუალოდ არ ეხება, ვთქვათ, კონკრეტული განაჩენისა თუ გადაწყვეტილების სისწორეს, მას მაშინვე თეორიულ პრობლემად მონათლავენ ხოლმე. აქედან წარმოდგება მისწრაფება თუ მოთხოვნა, რომ ყოველი მონოგრაფია, წერილი თუ რეკომენდაცია კონკრეტული „კაზუსების“ მიხედვით აიგოს. ამ საკითხის პრინციპულად გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მეცნიერების როლის ამღლებას მოითხოვს, ხოლო ზოგიერთი მეცნიერი თუ პრაქტიკოსი ვიწრო პრაქტიციზმისკენ გვიბიძგებს. ამჟამად, მეცნიერებათა ინტეგრაციის პირობებში, როცა ცოდნის სხვა სისტემებით გაშუალების გარეშე არც ერთი მეცნიერება არ არსებობს, ვიწრო პრაქტიციზმი ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. მართალია, იურიდიულ მეცნიერებას ზოგჯერ „პრაქტიკულ“ მეცნიერებას უწოდებენ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს იურიდიული მეცნიერება კოდექსებისა თუ კონკრეტული „კაზუსების“ კომენტარი იყოს, როგორც ეს ბევრ არასპეციალისტს და ზოგიერთ „სპეციალისტს“ წარმოუდგენია. იურიდიულ მეცნიერებაში უამრავი ფუნდამენტური თეორიული პრობლემებია დაყენებული. ამიტომ ლ. ი. ბრეჟნევის მითითება იმის შესახებ, რომ „თეორიის შემდგომი შემოქმედებითი დამუშავების მოთხოვნილება კი არ მცირდება, არამედ, პირი-

ქით, კიდევ უფრო იზრდება¹, მთლიანად ვრცელდება იურიდიულ მეცნიერებაზეც.

რა თქმა უნდა, პრობლემათა შორის მეტ-ნაკლები თეორიულობაც ფაქტია, მაგრამ იმათ საყურადღებოდ, ვინც ერთმანეთს უპირისპირებს „თეორიულს“ და „პრაქტიკულს“, ზედმეტი არ იქნება გავიმეოროთ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება: ვერც ერთი მეცნიერი თუ პრაქტიკოსი გვერდს ვერ აუვლის მეთოდოლოგიურ პრობლემატიკას, რომელიც პირველ ყოვლისა, თეორიულია, მაგრამ განა სადავო უნდა იყოს ის აზრი, რომ სწორი მეთოდოლოგიური პოზიციის გარეშე ვერც ერთი პრაქტიკული საკითხიც სწორად ვერ გადაწყდება?

არის, რა თქმა უნდა, შემთხვევა, როცა ესა თუ ის პრაქტიკოსი ზოგჯერ, თეორიული რეფლექსის გარეშეც, სწორად ახორციელებს, ვთქვათ, სასამართლო შეფასების თეორიის მოთხოვნებს, მაგრამ ეს ხდება პრაქტიკული გამოცდილების წყალობით და არა ამ თეორიის შეგნებით. პრაქტიკული გამოცდილება თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს მაინც „სტიქიურად“ სწორი პრაქტიკაა, რომელსაც, ცხადია, თეორიულად რეფლექსირებული პრაქტიკა აჯობებს. უფრო მეტიც, „სტიქიურად“ სწორი პრაქტიკა შემთხვევითობაა, ვიდრე სადღეისოდ კანონზომიერი მოვლენა. 1979 წლის 26 ივნისს საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ, ყურადღება გაამახვილა რა მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალურ საკითხებზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ბევრ ჩვენს ამხანაგს, მათ შორის იდეოლოგიურ კადრებს, თეორიულად ყოველთვის როდი აქვთ მთლიანად შეგნებული საზოგადოებრივი განვითარების კანონების მთელი სიღრმე, ანდა ვერ შეუხამებიათ ეს ცოდნა პრაქტიკულ ამოცანებთან. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ პრაქტიკოსებთან.“

ასეთ ხელმძღვანელთა პრაქტიკული საქმიანობა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სოციალიზმის საზოგადოებრივი განვითარების კანონების მოთხოვნებს².

ამრიგად, თეორიული პრობლემატიკის დაუმუშავებლად და პრაქტიკაში მის დაუნერგავად ეფექტიანი პრაქტიკული საქმიანობა შეუძლებელია. მაშასადამე, ზოგიერთი პრაქტიკოსის ცდა — უგულებელყოს თეორია, არ შეიძლება ურეაგირობოდ დარჩეს. ამიტომ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, თუ ერთხელ კიდევ ვაჩვენებთ ფილოსოფიური თვალსაზრისის „გაუთვალისწინებლობის მავნე შედეგებს და თეორიისადმი ჯერ კიდევ არსებული ნიჰილისტური დამოკიდებულების დაუშვებლობას.

მართალია, საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში მეთოდოლოგიური პრობლემატიკის შემოქმედებითი გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ჯერ კიდევ ვაწყდებით „ფილოსოფოსობისადმი“ ირონიულ დამოკი-

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები ნაშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, სკკპ XXV ყრილობის მასალები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1976, გვ. 99.

² გაზეთი „კომუნისტი“, 1979 წლის 29 ივნისი.

დებულებას, რაც არ შეიძლება ძვირად არ დაუჯდეს მეცნიერულ თეორიას და პრაქტიკას.

ამის დასამტკიცებლად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ წინამდებარე წერილში საგანგებოდ არის შერჩეული მხოლოდ ერთი, აშკარად თეორიული პრობლემა, (ზოგიერთმა შეიძლება თქვას, ეს და მსგავსი თემები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სადღეისო მოთხოვნებს არ შეესაბამებიან), რომელსაც აგრეთვე აშკარად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამართლიანი შენიშვნით, იურისტებს არა აქვთ სათანადო შემოქმედებითი კონტაქტები ფილოსოფოსებთან, ფსიქოლოგებთან, ეკონომისტებთან და სხვა დარგის სპეციალისტებთან. თუმცა, ეს შენიშვნა მართლ ქართველ იურისტებს არ ეხებათ.

წინამდებარე სტატიის მიზანია არა იმდენად დასმული პრობლემების გადაჭრა, რამდენადაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სადღეისო მოთხოვნების შესაძლო მცდარი ინტერპრეტაციის თავიდან აცილება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-კვლევითი თემატიკის შერჩევისთვისაც.

* * *

საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში სადავოა საკითხი იმის შესახებ, საკმარისია თუ არა სისხლის სამართალში მოტივის ფსიქოლოგიური ცნება და ხომ არ უნდა მოხდეს მისი განსაზღვრება სისხლის სამართლის სპეციფიკის მიხედვით?

პროფესორი ბ. ხარაზიშვილი ამტკიცებს, რომ მოტივის განსაზღვრის ცდა, მორალურ და სამართლებრივ ნორმებთან კავშირით არ შეიძლება მეცნიერულად იქნეს დასაბუთებული³.

ამ დებულებას ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი პრინციპულად არ ეთანხმება.

თავის რეცენზიაში პროფესორი ა. სახაროვი, დადებით შეფასებას აძლევს რა მთლიანად მონოგრაფიას, აღნიშნავს, რომ იგი ვერ დაეთანხმება პროფესორ ბ. ხარაზიშვილის ამ დებულებას. „ფსიქიკური მოვლენები.— ამტკიცებს ა. სახაროვი, — საერთოდ განუყრელად არის დაკავშირებული სოციალურ მოვლენებთან და სერიოზული შეცდომა იქნებოდა ადამიანთა ქცევა განხილულიყო როგორც სოციალური შინაარსისაგან დაკლილი ფსიქიკური აბსტრაქციები“⁴.

ჩვენი აზრით, პროფესორმა ა. სახაროვმა არსებითად შეცვალა კამათის საგანი: არავიან არ დავობს, რომ ადამიანთა ქცევა სოციალურია. ერთია ადამიანის ქცევის სოციალური ღასიათი და მეორეა მოტივის ნორმატიული განსაზღვრების ცდა. მაშასადამე, თუ პროფესორი ა. სახაროვი პროფესორ ბ. ხარაზიშვილის ზემოთ მოყვანილი დებულების წინააღმდეგ ილაშქრებს, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს, რომ მოტივის ნორმატიული განსაზღვრების ცდა სავსებით მეცნიერულია. მაგრამ ეს დასკვნა ავტორს პირდაპირ არ გამოაქვს, თუმცა, რაკი იგი დავობს, მაშასადამე, ან ვერ გაიგო მის მიერ გაკრიტიკებული

³ Б. В. Харазишвили, Вопросы мотива поведения преступника в советском праве, Тбилиси, 1963, стр. 132.

⁴ «Советское государство и право», 1964, № 5, стр. 54.

დებულების აზრი, ან იგი იზიარებს დებულებას, რომ მოტივის ნორმატიული განსაზღვრების ცდა სავსებით მეცნიერულია.

ბ. ვოლკოვი არ ეთანხმება დებულებას, რომ მორალურ და სამართლებრივ ნორმებთან კავშირით მოტივის განსაზღვრების ცდა არ შეიძლება მეცნიერულად იქნეს დასაბუთებული, და წერს: „დანაშაულის მოტივის პრობლემა — ეს, უპირველეს ყოვლისა, სოციალური პრობლემაა“ და რომ „მოტივის ფსიქოლოგიური და სისხლისსამართლებრივი გაგების დიალექტიკური ურთიერთობა ძალზე მარტივია: იგი გამოხატავს ზოგადისა და კერძოს, სახისა და გვარის თანაფარდობას“⁵.

ჯერ ერთი, ავტორი ერთმანეთში ურევს დანაშაულს, როგორც სოციალურ მოვლენას, და მოტივს, როგორც ფსიქოლოგიურ პრობლემას. დანაშაულის მოტივი, იმის გამო, რომ იგი დანაშაულის მოტივია, როდი კარგავს თავის ფსიქოლოგიურ გარკვეულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოტივის სისხლისსამართლებრივი ცნებაც გამართლებული იქნებოდა, თუმცა ავტორის კონცეფციიდან სწორედ ეს დასკვნა გამომდინარეობს: მოტივის ზოგადი ცნება, რომელსაც ფსიქილოგია იძლევა, სისხლის სამართალში საკმარისი არ არის; ამიტომ სისხლის სამართალში უნდა დადგინდეს მოტივის კერძო ცნება, რომელიც თავისი არსით ზოგადისაგან განსხვავდება. მაშასადამე, მივიღეთ ორი სახის მოტივი — მოტივი ზოგადი ცნება — ფსიქოლოგიაში, ხოლო მისი კერძო ცნება — სისხლის სამართალში. რა არის ეს, თუ არა მოტივის დუალისტური განსაზღვრების შემოტანის ცდა საბჭოთა სისხლის სამართალში?

მეორეც, როგორ შეიძლება, რომ ფსიქოლოგია და სისხლის სამართალი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდნენ და ამავე დროს ერთში მოტივის ზოგადი ცნება იგულისხმებოდეს, ხოლო მეორეში — კერძო ცნება? თუმცა მოტივის მიმართ ზოგადისა და კერძო დიალექტიკის გამოყენება სწორი არ არის იმ აზრით, რომ მოტივის ფსიქოლოგიური ცნება თავად არის ზოგადი, რომელიც ყველა კერძო შემთხვევაში ერთნაირად უნდა იქნეს გამოყენებული. მაგრამ ავტორის კონცეფციაში მოტივის „ზოგადი“ მხარე მის „კერძო“ მხარეს აბსოლუტურად მოწყვეტილია, რაკი სისხლის სამართალი ფსიქოლოგიისაგან არსებითად განსხვავდება, ან სისხლის სამართალიც ფსიქოლოგიის ნაწილია და მაშინ მოტივის „კერძო“ მხარეც მოკლებულია საფუძველს.

შეიძინევა, რომ ავტორი, რომელიც მოტივის სისხლისსამართლებრივი ცნებისათვის იბრძოდა, ორმაგ უხერხულობაში ჩავარდა: ერთის მხრივ — მოტივის ნორმატივისტულ (დუალისტურ) პრინციპს იძლევა, ხოლო მეორე მხრივ — მას სისხლის სამართალი ფსიქოლოგიის ნაწილად გამოუდის. მაშასადამე, აქაც ძალა აქვს ცნობილ დებულებას — ყოველი უკიდურესობა თავის დაპირისპირებულში გადადის.

ი. ფილანოვსკის მტკიცებით, დებულება, რომ მორალურ და სამართლებრივ ნორმებთან კავშირით მოტივის განსაზღვრების ცდა არ შეიძლება მეცნიერულად იქნეს დასაბუთებული, სწორი არ არის. ავტორი ასე მსჯელობს: სამართალმა არ უნდა უგულებელყოს ფსიქოლოგია, მაგრამ სამართალში ფსიქო-

⁵ Б. С. Волков, Проблема воли и уголовная ответственность, Казанский ун. 1965, стр. 57.

ლოგიური ცნებების მექანიკური გადმოტანა შეცდომაა, რადგან ფსიქოლოგები ნორმალური ქცევის საფუძვლებს სწავლობენ, ხოლო სამართალში ნორმისაგან გადახრილი ქცევებია შესასწავლი. აქედან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ შეიქმნას მოტივის არა ფსიქოლოგიურისაგან განსხვავებული, არამედ ფსიქოლოგიის მონაცემებზე დამყარებული, მაგრამ სისხლის სამართლისათვის სპეციფიკური განსაზღვრება⁶.

ჯერ ერთი, ვანა არის რაიმე განსხვავება ფსიქოლოგიურად მორალურ და ამორალურ ქცევას შორის? „მორალური“ თუ „ამორალური“ შეფასებითი ცნებებია, რომლებთანაც ფსიქოლოგიას არავითარი საქმე არა აქვს. ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქიკას და არა ქცევის ნორმატიულ მხარეებს (ამიტომ ფსიქოლოგიისათვის ყველა ქცევა „ნორმალურია“, თუ საქმე შეურაცხადობას არ ეხება).

მეორეც, ავტორი აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება: იგი, ერთი მხრივ, მოითხოვს, რომ სისხლის სამართალში მოტივის ფსიქოლოგიური ცნება უნდა იქნეს გამოყენებული, მაგრამ, მეორე მხრივ, მოითხოვს, რომ მოტივის ფსიქოლოგიური ცნება სისხლის სამართლის სპეციფიკის მიხედვით განისაზღვროს. მართლაც, თუ სისხლის სამართალში ფსიქოლოგიურისაგან განსხვავებული ფსიქიკურის ცნება არ უნდა შეიქმნას, მაშინ მოტივი არც სისხლის სამართლის სპეციფიკით უნდა იქნეს განსაზღვრული და, პირიქით, თუ მოტივი სისხლის სამართლის სპეციფიკით განისაზღვრება, მაშინ მოტივს სისხლის სამართალში ფსიქოლოგიურისაგან განსხვავებული ბუნება ეძლევა. მესამე გამორიცხულია.

მაგრამ ეს წინააღმდეგობა არ არის შემთხვევითი.

ავტორი გაუფრთხილებელ დანაშაულში მოტივის თავისებურების განხილვისას ამტკიცებს, რომ სისხლის სამართალში უნდა განვასხვაოთ დანაშაულის ჩადენის მოტივი და ქცევის მოტივი. დანაშაულის ჩადენის მოტივი განზრახ დანაშაულს ახასიათებს და მიგვითითებს, თუ რატომ მიიღო დამნაშავემ ესა თუ ის შედეგი; ქცევის მოტივი მხოლოდ გაუფრთხილებლობის მიმართ გამოიყენება და მიგვითითებს, თუ რატომ მოიქცა დამნაშავე იმგვარად, რომ მისმა ქცევამ გამოიწვია შედეგი, რომლის გამოწვევა მას განზრახული არ ჰქონია?

ეკმათება რა პ. დაგელს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ავტოსატრანსპორტო დანაშაულში მოძრაობის წესების დარღვევის ერთ-ერთ მოტივად გეგმის შესრულებისადმი სწრაფვას ასახელებს, ი. ფილანოვსკი შენიშნავს, რომ, ჯერ ერთი, მოძრაობის წესების დარღვევა არ შეიძლება ავტოსატრანსპორტო დანაშაულთან გავაიგივოთ; მეორეც, გეგმის შესრულებისადმი სწრაფვა თავისთავად დანაშაული როდია, ვიდრე სუბიექტს არ გადაუწყვეტია, თუ რა საშუალებებით და რომელი ობიექტის ხელყოფას აპირებს იგი. მაგრამ გაუფრთხილებელ დანაშაულში სწორედ ეს გადაწყვეტილება არ არის⁷.

გაუფრთხილებელ დანაშაულში მოტივის შესაძლებლობის საკითხს აქ არ განვიხილავთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ი. ფილანოვსკი, ჯერ ერთი, მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს ქცევასა და მის შედეგს. ამის გამო ისე გამოდის,

⁶ И. Г. Филановский, Социально-психологическое отношение субъекта к преступлению, ЛГУ, 1970, стр. 41.

⁷ ი. ფილანოვსკის დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

თითქოს გაუფრხილებლობას მხოლოდ მძიმე შედეგი აფუძნებდეს; მეორეც, ქცევისა და შედეგის ასეთი დაპირისპირების გამო ირკვევა, რომ გაუფრთხილებლობას ფსიქოლოგიურად არაფერი შეესაბამება, ვიდრე მძიმე შედეგი არ იქნება გამოწვეული; მესამეც, ქცევის მოტივს არავითარი კავშირი არა აქვს ქცევის შედეგთან; უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში გამოირიცხულია მიზეზობრივი კავშირი ქცევასა და შედეგს შორის და, მაშასადამე, შედეგი წმინდა შემთხვევითობას უნდა მიეწეროს, და არა ქცევას; მეოთხეც ირკვევა, რომ სისხლის სამართალში ქცევის მოტივი დანაშაულის მოტივი არ არის და რომ, მაშასადამე, სისხლის სამართალში მოტივი სხვაა, ხოლო ფსიქოლოგიაში — სხვა. ამ გზით მივიღეთ მოტივის დუალისტური განსაზღვრების პრინციპიც.

ამრიგად, ი. ფილანოვსკის კონცეფციიდან გამომდინარეობს არა მარტო ქცევის შინაგანი და გარეგანი, ობიექტური და სუბიექტური მხარეების დაპირისპირება, არამედ მოტივის ნორმატივისტული გაგებაც.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მსგავსი ნაკლი, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც მოვიხსენიოთ ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი, რომლებიც სადღეისოდ დავას არ იწვევს.

მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში არ არის სადავო, რომ გარესინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულება შემეცნებისა და შეფასების გზით ხორციელდება. თუ შემეცნების მიზანი ჭეშმარიტების დადგენაა, შეფასების მიზანს ადამიანისათვის საგნის მნიშვნელობის გარკვევა შეადგენს. ცხადია, საგნის მნიშვნელობის გარკვევას საფუძვლად უდევს მისი შემეცნება ისე, როგორც იგი არის, ე. ი. შეფასება არ შეიძლება შემეცნებას იყოს მოწყვეტილი, მაგრამ შემეცნებისა და შეფასების ერთმანეთზე დაყვანა სწორი არ არის, ისე როგორც არ შეიძლება ერთიმეორეზე დავიყვანოთ ჭეშმარიტება და ღირებულება.

მართლაც, შეფასება ყოველთვის ხორციელდება გარკვეულ ღირებულებათა წარმოდგენის მიხედვით, მაშინ როდესაც ჭეშმარიტება არ შეიძლება შეფასების საფუძვლად ჩაითვალოს.

ამის მიხედვით განასხვავებენ მსჯელობის ორ ტიპს: დესკრიფციულ ანუ ფაქტის შესახებ მსჯელობას, რომელიც ჭეშმარიტობა-მცდარობის ნიშნით ხასიათდება და ღირებულებითს მსჯელობას, რომელიც „ჯერარსის“ ცნობიერების პროდუქტს წარმოადგენს. მაგალითად, „ადამიანი სოციალური არსებაა“ — დესკრიფციულია. იგი გამოხატავს ისეთ ფაქტობრივ ვითარებას, რაც ადამიანს მართლაც ახასიათებს. სულ სხვაა მსჯელობა: „ადამიანი კეთილი უნდა იყოს“. ეს უკანასკნელი მორალური კატეგორიის მსჯელობაა, რომელშიც ადამიანისადმი სიკეთის განხორციელების მოვალეობა იგულისხმება. მსჯელობას „ადამიანი კეთილი უნდა იყოს“ აზრი აქვს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სიკეთე უმაღლესი მორალური ღირებულებაა; მეორეც, ყველა ადამიანი ჯერ არ არის კეთილი. მაშასადამე, სიკეთე ჯერ არ არის საყოველთაო (ამიტომ არის იგი „ჯერარსი“), და სწორედ ამიტომ „უნდა“ იყოს იგი ასეთი. მაშასადამე, მორალური მსჯელობა — „ადამიანი კეთილი უნდა იყოს“ — ყველა ადამიანისადმი წაყენებული მოთხოვნა-ვალდებულებაა, რომელიც ყველამ „უნდა“ შეასრულოს. სწორედ ეს „უნდა“ არის ჯერარსიც. ამიტომ არის, რომ ადამიანები სიკეთის, როგორც ღირებულების, მიხედვით აფასებენ ერთმანეთს. ერთი სი-

ტყვით, შეფასების აქტი ღირებულების წარმოდგენის მიხედვით ხორციელდება. რადგან სიკეთე უმაღლესი ღირებულებაა, ის „უნდა“ განხორციელდეს. მაგრამ ბოროტება ჯერ კიდევ არის. ბოროტება კი, ცხადია, უარყოფითად ფასდება. ამიტომ იგი „არ უნდა იყოს“.

აქედან ჩანს, რომ დადებითი შეფასება ჭერარსის (უნდაობის) პოზიტიური ფორმით გამოითქმის („სიკეთე უნდა იყოს“), ზოლო უარყოფითი შეფასება — ჭერარსის ნეგატიური ფორმით, (ბოროტება არ უნდა იყოს“).

როგორც აღვნიშნეთ, შეფასების საგნის შემეცნების გარეშე ვერც მისი შეფასება განხორციელდება, ე. ი. შეფასება არ არის მოწყვეტილი შემეცნებას. მაგრამ შეფასება არ შეიძლება შემეცნებამდე დავიყვანოთ. მაგალითად, მორალური მსჯელობა — „აღამიანი კეთილი უნდა იყოს“ დესკრიპციულ, ე. ი. შემეცნებით მსჯელობამდე დავიყვანის გზით ასეთ სახეს მიიღებს: „აღამიანი კეთილია“, რაც ყალბია, რადგან ყველა აღამიანი ჭერ არ არის კეთილი.

მაგრამ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები მრავალგვარია. ჭეშმარიტებისა და სიკეთის იდეების გარდა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვენიერების იდეას, ე. ი. ხელოვნებას, მის უამრავ სხვადასხვა ფორმას. მშვენიერება კი ღირებულებაა. ამიტომ არის, რომ ესთეტიკური ღირებულებაც არ არის საეჭვო. სადაც ღირებულებაა, იქ არ შეიძლება მისი გამოხატვის ფორმა — ჭერარსი არ ვიგულისხმოთ. მაშასადამე, ჭერარსის ცნებას არც ესთეტიკური ცნობიერება მოკლებული.

კლასობრივი საზოგადოებისათვის ნიშანდობლივია პოლიტიკური ცნობიერება და მართლშეგნება. პოლიტიკური ცნობიერება პოლიტიკური ღირებულებების მიხედვით შეფასების ცნობიერებაა. ამიტომაც არის სადავო პოლიტიკური ნორმა, პოლიტიკური ჭერარსობა, რომელიც კლასობრივი ინტერესების გამოხატულებას წარმოადგენს. პოლიტიკური ჭერარსობა. ე. ი. პოლიტიკური მოთხოვნა კი, მიუხედავად მისი თავისთავადობისა, ვლინდება საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა პროდუქტში გასაგნების გზით. მართლშეგნება არ შეიძლება დაკავშირებული არ იყოს პოლიტიკურ ცნობიერებასთან. ამიტომ არის, რომ სამართალი პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენს.

სამართალი არ არის მოწყვეტილი სინამდვილის შემეცნებით ასპექტს. რადგან იგი სინამდვილის შესახებ გარკვეულ ინფორმაციებს შეიცავს, მაგრამ ეს არ არის სამართლის სპეციფიკა: სამართალი აღამიანთა ქცევის შეფასების მეტად თავისებურ მასშტაბს წარმოადგენს. სამართალიც, მაშასადამე, ჭერარსულია, ისიც სამართლებრივ მოთხოვნების გზით ცდილობს დაამკვიდროს როგორც მორალურ-ესთეტიკური, პოლიტიკური, ასევე საკუთარი ღირებულებაც (ექსპლოატატორულ საზოგადოებაში — რელიგიური ღირებულებაც). მაშასადამე, სამართალი არ არის მოწყვეტილი არა მარტო ჭეშმარიტებისაგან, არამედ მორალურ, ესთეტიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა ღირებულებებისაგან, რომელშიც იგი შედის როგორც კულტურის სტრუქტურული ელემენტი.

ეს მოკლე მსჯელობაც ცხადყოფს. რომ სამართლის ნორმაც მოითხოვს იმას, რაც „უნდა“ იყოს (ჭერარსის პოზიტიური ფორმა) ან უარყოფს და სანქციის მუქარით კრძალავს უარყოფითად შეფასებულ ქცევას. ამ აზრით, სამართლის დარღვევა „არ უნდა იყოს“ (ჭერარსის ნეგატიური ფორმა). ეს კარგად ჩანს სისხლის სამართლის ნორმებშიც. სისხლის სამართლის ნორმები გარკ-

ვეული კატეგორიის ქცევათა დანაშაულად შეფასების სახელმწიფოებრივ მასშტაბებს წარმოადგენენ. მართებულად მიუთითებს გ. ტყეშელიაძე, რომ „სისხლის სამართლის ნორმა ღირებულების მსჯელობას წარმოადგენს“⁸.

ამრიგად, სისხლის სამართლის ნორმაც ჯერარსულია⁹. სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმები ჯერარსის ნეგატიურ ფორმას, ე. ი. გარკვეული კატეგორიის ქცევათა დანაშაულად შეფასებას გამოხატავენ. ქცევის მორალურ-პოლიტიკური შეფასების გვერდით სისხლის სამართალი თავისი მნიშვნელობითაც მსჭვალავს მას და ამიტომ არის, რომ დანაშაულად გამოცხადებული ქცევა სულ სხვა მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ის ქცევა, რომელიც სისხლის სამართლის ნორმით არ არის შეფასებული.

მაგრამ ისმის კითხვა: შეფასების აქტით ხომ არაფერი იცვლება შესაფასებლის ფაქტიურ არსში?

ამ კითხვაზე პასუხი კიდევ ერთ ცნების გარკვევას მოითხოვს.

მართლაც, ფილოსოფიაში ჯერარსის ცნებას „არსის“ ცნებას უპირისპირებენ. არსის ცნებას მრავალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჯერარსთან მიმართებით არსის ცნებაში გულისხმობენ შეფასებამდე და შეფასების გარეშე არსებულ ფაქტობრივ ვითარებას ისე, როგორც იგი არის და არ შეიძლება არ იყოს. ამ მიმართებით მოტივი, რამდენადაც იგი ფსიქიკური სინამდვილის ფაქტია, არსის ცნებით იქნება დახასიათებული. მაშასადამე, სისხლის სამართლის ნორმისა და მოტივის მიმართება არსისა და ჯერარსის მიმართების კერძო შემთხვევად უნდა ჩაითვალოს.

პასუხი კითხვაზე, ცვლის თუ არა რაიმეს შეფასების აქტი შესაფასებლის ფაქტობრივ არსში (ჩვენს მაგალითზე — ცვლის თუ არა სისხლის სამართლის ნორმა მოტივის ფსიქოლოგიურ არსს), არსებითად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება გაგებული არსისა და ჯერარსის მიმართების პრობლემა. ჯერარსის არსამდე დაყვანა არაერთ ყალბ თეორიულ ვითარებას შექმნიდა, მაგრამ არის თეორია, რომლის თანახმად არსი და ჯერარსი ერთმანეთისაგან აბსოლუტურად მოწყვეტილ სამყაროებს წარმოადგენენ. ამ გზით იქნება ერთმანეთთან დაუკავშირებელი ორი სამყარო — ფაქტების (არსის) სამყარო და ნორმატიული (ჯერარსის) სამყარო. ამ წინამძღვარებიდან გამომდინარეობს შემდეგიც: რაკი მოტივი ფსიქიკური სინამდვილის ფაქტია, ე. ი. არსის სფეროს ეკუთვნის, იგი ჯერარსის სამყაროსათვის სრულიადაც არ კმარა. ამიტომ ნორმატიულმა (ჯერარსის) სამყარომ უნდა შექმნას მოტივის საკუთარი კონსტრუქცია, რომელიც მოტივის ფსიქოლოგიური ცნებისაგან არსებითად იქნება განსხვავებული. ამ გზით იქმნება ორი სახის მოტივი — ერთი, როგორც ფსიქიკური სინამდვილის ფაქტი და, მეორე — როგორც ნორმატიული სინამდვილის პროდუქტი.

გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენ წინაშეა ნორმატივიზმის ტიპური შედეგი, ნორმატივიზმისა, რომელიც ბურჟუაზიულ სამართლის მეცნიერებაში კანტისა და კანტიანელობის გავლენით შემოიჭრა. ამის ნათელსაყოფად მოკლედ მანც

⁸ Г. Т. Ткешелиадзе, Судебная практика и уголовный закон, Тбилиси, 1975, стр. 48.

⁹ სამართლებრივი ჯერარსის ცნებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მას ჩვენში ამ უკანასკნელ დრომდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება.

მოვიხსენიოთ ნორმატივიზმის მამამთავარ ჰ. კელზენის ზოგიერთი დებულება.

ჰ. კელზენის თეორიაში არსი და ჯერარსი ერთმანეთისაგან მოწყვეტილ სამყაროებად არის წარმოდგენილი. ამის შესაბამისად დალაგებულია მეცნიერებათა ორი რიგი — არსის მეცნიერებანი, რომლებიც შეისწავლიან ფაქტებს ისე, როგორც ისინი სინამდვილეში არიან, და ჯერარსის მეცნიერებანი, რომლებიც განიხილავენ მოვლენებს ისე, როგორც ისინი უნდა იყვნენ. ამ თვალსაზრისით, ფსიქოლოგია, როგორც მოძღვრება ფსიქიკური სინამდვილის ფაქტზე, არსის სფეროს განეკუთვნება, ხოლო იურისპრუდენცია — ჯერარსის სფეროს. ამ წინამძღვრებიდან ჰ. კელზენი, ეხება რა ნებისყოფის ცნებას, ასკვნის: ნებისყოფა ეთიკასა და იურისპრუდენციაში სავსებით სხვაა, ვიდრე ის, რასაც დღეს ფსიქოლოგია გულისხმობს. ნებისყოფა ფსიქოლოგიაში, — ამტკიცებს იგი, — გარკვეული ემპირიული ფაქტია, რომელიც არსის სფეროს ეკუთვნის, ხოლო ნებისყოფა ეთიკასა და იურისპრუდენციაში ნორმის, ჯერარსის თვალსაზრისის კონსტრუქციაა, რომელიც ადამიანთა სულიერი ცხოვრების მოვლენებს არ შეესაბამება¹⁰.

ამრიგად, მივიღეთ ორი სახის ნებისყოფა — ერთი როგორც ფსიქიკური სინამდვილის ფაქტი და მეორე — როგორც ნორმატიული სამყაროს პროდუქტი. მაშასადამე, საკმარისია აქ ნებისყოფის ცნების მაგვირად მოტივის ცნება ჩავსვათ, რომ ჩვენ წინაშე წარმოდგეს ნორმატივიზმის (ამ შემთხვევაში მოტივის დუალისტური განსაზღვრების) ტიპური შედეგი, რაც ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულ საბჭოთა კრიმინალისტს გამოუვიდა. აი, რა ახლოს არიან ისინი კელზენისეულ დასკვნებთან. რომელთაც არც ერთი საბჭოთა კრიმინალისტი არ გაიზიარებს, მაგრამ რომელთაც ფილოსოფიური თვალსაზრისის „მოტივების“ ლოგიკური შედეგების თვალსაზრისით ვერავინ გაექცევა.

მაშასადამე, ბურჟუაზიული თეორიების მართებულ კრიტიკას არა მართა იდეოლოგიური, არამედ უაღრესად დიდი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: ჰ. კელზენის თეორია რომ საკმაოდ ყოფილიყო შეფასებული, მაშინ არავიან არ დაიწყებდა დავას იმის წინააღმდეგ, რომ მოტივის განსაზღვრება მორალურ და სამართლებრივ ნორმებთან კავშირის გზით არ შეიძლება მეცნიერულად იქნეს დასაბუთებული და, მაშასადამე, ასეთი შეცდომებიც გამორიცხული იქნებოდა.

ამრიგად, სისხლის სამართლის ნორმა მოტივის ფსიქოლოგიურ ცნებაში არაფერს ცვლის, ისევე როგორც შეფასების აქტმა არ შეიძლება შეფასების საგნის ფაქტობრივი ბუნება შეცვალოს.

შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმ გარემოებამ, რომ დანაშაული სოციალური მოვლენაა, ხოლო ამ მოვლენის დანაშაულად გამოცხადება მას სრულიად ახალ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ ქცევა როგორც სოციალური სინამდვილის ფაქტი, თავისი არსით უცვლელია; იცვლება მხოლოდ მისი მნიშვნელობები, მნიშვნელობების სამყარო კი არ შეიძლება ფაქტების სამყარომდე იქნეს დაყვანილი.

არც იმან უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში, რომ, მაგალითად, ანგარების მოტივი ფსიქოლოგიაში არ არის იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ „ანგარება“ არ არის ფსიქოლოგიური ცნება, მაგრამ, ჯერ ერთი, მოტივის ცნებას მხო-

¹⁰ Hans Kelsen, Hauptprobleme der Staatsrechtslehre, Tübingen, 1911, S. 146.

ლოდ ფსიქოლოგია იძლევა; მეორეც, ანგარების განცდის ფსიქოლოგიური მექანიზმი მხოლოდ ფსიქოლოგიამ შეიძლება გვიჩვენოს. მაშასადამე, დანაშაულის სოციალურობისა და მისი ნორმატული განსაზღვრების მიხედვით მოტივი როდი იცვლის თავის ფსიქოლოგიურ არსს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაგვეშვა, რომ იმდენია მოტივი, რამდენიც შეფასების მასშტაბია ცნობილი, მაგრამ ეს წმინდა წყლის ნორმატივიზმია, რომელიც მარქსიზმისათვის პრინციპულად მიუღებელია.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს არც ერთი პრაქტიკული ამოცანა, რომელიც თეორიულ რეფულექსიას არ მოითხოვდეს, თეორიით არ აიხსნებოდეს. არსისა და ჯერარსის მიმართების პრობლემა აშკარად თეორიულია, მაგრამ მისი უგულვებლყოფა „თეორიულობის“ საბაბით არ შეიძლება უარყოფითად არ მოქმედებდეს მეცნიერების, თეორიისა და პრაქტიკის კარდინალური პრობლემების გადაჭრაზე. ამ სტატიაში მოყვანილი სუსტი თეორიებიც მოწმობს, რომ მეთოდოლოგიურ პრობლემათიკას ვერც ერთი მეცნიერი თუ პრაქტიკოსი გვერდს ვერ აუვლის. ამიტომ ვიწრო პრაქტიციზმი, რომელიც თეორიისა და პრაქტიკის დაპირისპირების ყალბ წარმოდგენაზეა დაფუძნებული, გადაჭრით უნდა იქნეს უარყოფილი. მეცნიერების როლის ამადლების სადღეისო მოთხოვნა ფუნდამენტური თეორიული პრობლემათიკის დამუშავებას გულისხმობს, რათა ყოველი პრაქტიკული საკითხი მაღალ მეცნიერულ დონეზე გადაიჭრას. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის იდეას სწორედ ამგვარად შეიძლება შეესხას ხორცი.

სამართლებრივი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის უწყვიანობისათვის

პ. ნარმანიძე,

რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ
სამართლებრივი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის საბჭოს მდივანი

მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების დარგში სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციისათვის აუცილებელია სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი ძალების გაერთიანება, მათი საქმიანობის კოორდინაცია.

კოორდინაცია ამ სიტყვის ფართო გაგებით გულისხმობს დამნაშავეობის მდგომარეობის შესწავლას და მის საფუძველზე ურთიერთშეთანხმებული სოციალურ-ეკონომიკური, იდეურ-აღმზრდელობითი და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ღონისძიებების გეგმაზომიერი განხორციელების პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას.

კოორდინაცია ხელს უწყობს სამართალდარღვევებთან ბრძოლაში სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალების უფრო ეფექტიან გამოყენებას, ისეთ გარემოებათა აღკვეთას, როცა უწყებრივ ინტერესებს სახელმწიფოებრივზე მალა აყენებენ, გამოირიცხავს დუბლირებას მათს მუშაობაში.

კოორდინაცია შინაარსისა და ფორმის მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: კომპლექსურ-ტერიტორიული და უწყებრივ-დარგობრივი. პირველი გულისხმობს დამნაშავეობის ასაცილებლად სოციალურ-ეკონომიკური, იდეურ-აღმზრდელობითი და სხვა ღონისძიებების შემუშავებას და შეთანხმებულად განხორციელებას განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში. მაგალითად, ამ სახის კოორდინაციას მიმართავენ არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის დაგეგმვისა და რეალიზაციის დროს.

შედარებით უფრო ვიწროა, მაგრამ პროფესიული თვალსაზრისით არანაკლები მნიშვნელობა აქვს დამნაშავეობასთან ბრძოლაში პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას, რომლის მიზანია ქალაქში, რაიონში, ოლქში თუ რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან სამართალდამცველი ორგანოების ბრძოლის გაძლიერება, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და კანონიერების განმტკიცება.

კოორდინაციის ორივე ფორმა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და საერთო მიზანი აქვს, აქედან გამომდინარეობს სამართალდამცველი ორგანოების შეთანხმებულ მოქმედებათა დაგეგმვის აუცილებლობა.

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია გულისხმობს იმას, რომ ისინი სხვა ორგანოებთან ერთად თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

კანონით დაშვებული ხერხებით და მეთოდებით მოქმედებენ დასახული მიზნის მისაღწევად, წინასწარ შეთანხმებული გეგმის შესაბამისად.

ამ ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის ყველაზე რაციონალურ, პრაქტიკით შემოწმებულ ფორმას ჩვენი რესპუბლიკისათვის წარმოადგენს საკოორდინაციო საბჭოები, რომელთა სხდომებზე ახილება დამნაშავეობასთან ბრძოლის აქტუალური საკითხები.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის ფორმები მრავალგვარია. მათი შერჩევა საჭიროა მოხდეს რეგიონის კონკრეტული ვითარებისა და ცალკეული სამართალდამცველი ორგანოს ამოცანის მიხედვით. სამართალდარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების უზრუნველსაყოფად ყველაზე მიღებულ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთაგან შექმნილი ჩვეულების გასვლა ადგილებზე ურთიერთშეთანხმებული პროგრამით, დაქვემდებარებული ორგანოებისადმი დახმარების გაწევის მიზნით. ეს გულისხმობს, რომ ამ ორგანოთა ყველა წარმომადგენელი სწავლობს საკითხს თავისი უწყების პოზიციიდან, შემდეგ ხდება საერთო შედეგების განზოგადება და ერთობლივი განხილვა. ჩვეუცს სათავეში უდგას პროკურატურის წარმომადგენელი, რომელიც ხელმძღვანელობს მის საქმიანობას და საჭირო კონტაქტებს ამყარებს შესაბამის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან.

ამან მხოლოდ მაშინ შეიძლება მოგვეცეს საჭირო ეფექტი, როცა ღონისძიება კარგად არის მომზადებული და მიზანი სწორად განსაზღვრული, ამიტომ გასვლის წინ გულმოდგინედ უნდა გაანალიზდეს ყველა ის ინფორმაცია, რომლებიც ამ ორგანოებს თავის განკარგულებაში აქვთ, ამის შემდეგ კი შემუშავდეს გეგმა — პროგრამა, რომელშიც განისაზღვრება, თუ ბრივადის წევრთაგან ვინ რა საკითხს შეისწავლის და რა ვადაში, ასევე დადგინდება მათი შეხვედრებისა და ინფორმაციის გაცვლის, ჩვეუცის ყველა წევრის მიერ დასკვნების და წინადადებების წარდგენის წესი.

კოორდინაცია იმასაც გულისხმობს, რომ ერთიანი პროგრამის საფუძველზე ერთობლივად იქნეს შესწავლილი დამნაშავეობის ან კანონიერების მდგომარეობა, მიღებული მონაცემების საფუძველზე კი შემუშავდეს წინადადებანი მართლწესრიგის დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერებისათვის. ურთიერთშეთანხმებული გეგმის საფუძველზე შეიძლება გარეთვე განზოგადდეს საგამოძიებო, სასამართლო და საპროკურორო მუშაობის პრაქტიკა სამართალდარღვევებთან ბრძოლაში და შემუშავდეს წინადადებანი პროფილაქტიკური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

საკოორდინაციო საბჭომ შეიძლება განიხილოს კონკრეტული გაუხსნელი სისხლის სამართლის საქმეებიც და მათი განხილის უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოების ერთობლივი ღონისძიებანი. ამ პრაქტიკას ხშირად მიმართავენ უკრაინის რესპუბლიკაში.

კოორდინაციის ინტერესები მოითხოვს, რომ სამართალდამცველმა ორგანოებმა ერთმანეთს პერიოდულად გაუცვალონ ინფორმაციები (გეგმები, ანალიტიკური მონაცემები, შემოწმებათა შედეგები და ა. შ.), დაესწრონ სამართალდარღვევებთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი მიძღვნილ უწყებრივ თაობაზე, კონფერენციებს და სხვა ღონისძიებებს.

კოორდინაცია არ ეწინააღმდეგება სამართალდამცველი ორგანოების საქ-

მიანობის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. უფრო მეტიც, იგი ხელს უწყობს იმას, რომ პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სამართლო ორგანოებმა წარმატებით შეასრულონ თავიანთი ფუნქციები, ემსახურება საპროკურორო ზედამხედველობის გააქტიურებას.

კოორდინაცია განმტკიცებს კანონიერებას თვით სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობაშიც, რამდენადაც შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ უფრო სრული ინფორმაცია მართლწესრიგის მდგომარეობის შესახებ და ამის საფუძველზე დროულად მოვახდინოთ რეაგირება კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობის ყოველ ფაქტზე.

სამართალდამცველ ორგანოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პროკურატურას, რომელიც აღჭურვილია უფლებით უმაღლესი ზედამხედველობა გაუიწოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას კანონიერების დაცვის მხრივ. ამასთან ვალდებულია კანონის ყველა მოთხოვნა უპირველეს ყოვლისა დაიცვას თავის რიგებში.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო პროკურატურის ორგანოებს. პროკურატურას კონსტიტუციაში სპეციალური თავი ეძღვნება და ევალება განახორციელოს უმაღლესი ზედამხედველობა კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი. ამასთან ეს ფუნქცია დაკისრებული აქვს არა მარტო სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, როგორც ეს გათვალისწინებული იყო 1936 წლის კონსტიტუციით, არამედ ყველა მის დაქვემდებარებულ პროკურორებს.

ეს უკვე იმთავითვე განსაზღვრავს პროკურატურის ადგილს კანონიერების უზრუნველყოფის მექანიზმში, აქ იგულისხმება ის დებულება, რომ პროკურატურას ხელმძღვანელი მაკოორდინირებელი როლი ეკუთვნის დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

პროკურატურის ადგილსა და როლს სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციაში საკმაო ხნის ისტორია აქვს.

დამნაშავეობასთან ბრძოლის კოორდინაციის ორგანიზატორებად პროკურორები მოგვევლინენ საბჭოთა პროკურატურის შექმნის პირველ წლებშივე. მათი საქმიანობის ეს მხარე განმტკიცებულ იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებით, რომლებითაც პროკურატურას დაეკისრა ყველა იმ ორგანოს მეთვალყურეობა და შეთანხმებული მუშაობა, რომლებიც ეწეოდნენ დამნაშავეობასთან ბრძოლას. სამწუხაროდ, მთელი რიგი მიზეზების გამო პროკურატურა დიდი ხნის მანძილზე არ იყო ამ ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის მოთავე, რაც სამოცდაათიანი წლებიდან გამოსწორდა.

სსრ კავშირის პროკურატურამ ადგილებზე დარგოვილი გამოცდილებების განზოგადების შემდეგ ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწია. 1973 წელს მოამზადა საინფორმაციო-მეთოდოლოგიური წერილი დამნაშავეობასთან ბრძოლაში პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების თაობაზე, რომელიც დაიგზავნა ადგილებზე. სწორედ იმ წლიდან, როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ასევე კავშირის მასშტაბით იქმნება სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოები. ზოგან ისინი ატარებენ თათბირების სახელწოდებას. ამის აუცილებლობა ცხოვრებამ დაადასტურა.



სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ ახალ კანონში პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობის ძირითად მიმართულებებს შორის დასახელებულია სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია დამნაშავეობასა და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.

განვიხილოთ, თუ როგორ ხორციელდება სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია ჩვენს რესპუბლიკაში, რა დადებითი მომენტებით და ნაკლოვანებებით ხასიათდება იგი, როგორია მისი მოღვაწეობის ძირითადი ფორმები და მეთოდები.

1977 წლამდე საბჭო მეტისმეტად პასიურობდა, ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ 1977 წლის 9 აგვისტოს მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველოს სსრ სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს შესახებ, რომელმაც დასაბამი მისცა რესპუბლიკაში ამ მუშაობის გააქტიურებას. იმავე წელს შემუშავდა დებულება საბჭოს შესახებ, რომელიც უწინააღმდეგო „საბჭოთა სამართლის“ 1978 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა.

ამ პერიოდიდან მთელი ძალით ამოქმედდა საქართველოს სსრ სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა რესპუბლიკის პროკურორი; იგი თავის მუშაობას წარმართავს ერთობლივად შემუშავებული ყოველწლიური სამუშაო გეგმით. საბჭო კვარტალში ერთხელ მინც იწვევს სხდომებს, რომლებზეც განიხილება დამნაშავეობასთან ბრძოლის აქტუალური საკითხები და ერთობლივად შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნება დაქვემდებარებულ ორგანოებს.

საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო გეგმის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობს სამივე სამართალდამცველი ორგანო, რომლებიც აყენებენ თავის წინადადებებს გეგმის შესახებ. როგორც წესი, ყოველწლიურ გეგმაში გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რაც ხელს უწყობს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციას მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების დარგში.

ამას წინ უძღვის დამნაშავეობისა და კანონიერების მდგომარეობის ღრმა ანალიზი, მისი შედეგების გათვალისწინებით იგეგმება საკოორდინაციო საქმიანობის მთავარი მიმართულებები, განსახილველი საკითხები და სხვა ერთობლივი ღონისძიებანი. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ეს გეგმები ყოველთვის არ არის შეთანხმებული რესპუბლიკის სოციალური განვითარების გეგმებთან, რაც ერთგვარად ამცირებს ამ მუშაობის ეფექტიანობას.

უკანასკნელ ხანს საქართველოს სსრ პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ და უმაღლესმა სასამართლომ ერთობლივად შეისწავლეს და საბჭოს სხდომაზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, სპეკულაციის, ხულიგნობის, ავტორტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების და ექსპლოატაციის წესების დარღვევების, რეციდიულ და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ და სხვა. ყველა ამ საკითხზე შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს დაეგზავნათ რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელების ერთობლივი წერილები, რომლებშიც მოცემულია რეკომენდაციები და წინადადებანი დამნაშავეობასთან ბრძოლის გა-

ძლიერების, მისი ორგანიზაციის სრულყოფის, მუშაობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ.

შარშან და მიმდინარე წლის დასაწყისში საკოორდინაციო საბჭომ თავის სამუშაო გეგმასთან ერთად დაამტკიცა სხვა სამართალდამცველ ორგანოებთან რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველოსა და განყოფილებების კოორდინაციის გეგმები ცალკეულ ღონისძიებათა მიხედვით.

საბჭომ პრაქტიკაში შემოიღო ადგილობრივი სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოების თავმჯდომარის და სხვა წევრების ინფორმაციების მოსმენა, რაც ხელს უწყობს მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას, დამნაშავეობასთან ადგილობრივი ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების ბრძოლის აქტივიზაციას.

ამჟამად სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭო მოქმედებს ყველა ქალაქსა და რაიონში, ასევე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში. რაიონულ რგოლში თვეში ერთხელ იწვევენ სხდომებს. მათი ხელმძღვანელობისა და კონტროლის განხორციელებისათვის რესპუბლიკის პროკურატურა რეგულარულად იღებს მათ სამუშაო გეგმებს და სხდომათა ოქმების ასლებს.

შემუშავებულია კითხვარი-სამახსოვრო საკოორდინაციო საბჭოების მუშაობის შესამოწმებლად. ადგილობრივი სამართალდამცველი ორგანოების კომპლექსური და სხვა შემოწმების მასალებში ამჟამად ფართოდ არის ასახული მათი მუშაობა.

რესპუბლიკური საბჭოს გეგმით შესწავლილ და განზოგადებულ იქნა ადგილობრივი საკოორდინაციო საბჭოების საქმიანობის პრაქტიკა. სათანადო ყურადღება დაეთმო დადებითს გამოცდილებასაც. შემუშავებული რეკომენდაციები დაიგზავნა ადგილებზე.

როგორც საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, ადგილობრივი სამართალდამცველი ორგანოების უმრავლესობამ სწორად გაიგო მათი ძალებისა და საშუალებების გაერთიანებისა და კოორდინირების მნიშვნელობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

დიდი პასუხისმგებლობით წარმართავენ ამ მუშაობას ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ქ. თბილისის 26 კომისრის, კალინინის, პირველი მაისის, აგრეთვე ზუგდიდის, გურჯაანის, თელავის რაიონების პროკურორები ს. ნანიტაშვილი, ა. ტალიაშვილი, რ. გილიგაშვილი, თ. ლომთათიძე, დ. კუხლაშვილი, ი. გაბისონია, ტ. მეტრეველი.

საკოორდინაციო საბჭოები, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, პერსპექტიული წლიური გეგმის შესაბამისად თვეში ერთხელ მართავენ სხდომას. განსახილველ საკითხებს სამივე ორგანო არჩევს ოპერატიული ვითარების გათვალისწინებით. იქმნება მუშა ჯგუფი, რომელიც ერთობლივად სწავლობს და განსახილველად ამზადებს საკითხებს.

საკოორდინაციო საბჭოებმა შარშან და მიმდინარე წელს განიხილეს ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიც არის ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ, მოქალაქეთა პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებთან, ხულისგანობასთან, ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობასა და ექსპლოატაციის წე-



სების დარღვევებთან, არასრულწლოვანთა და რეციდიულ დამნაშავეობასთან, პიროვნების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებთან და სხვა. ყველა საკითხზე საბჭოებს შემუშავებული აქვთ რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება დამნაშავეობასთან ბრძოლის და პროფილაქტიკის ეფექტიანობის ამაღლებას. რეკომენდაციები ეგზავნებათ სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელებს, მუშაკებს, შესაბამის თანამდებობის პირებსა და ორგანიზაციებს.

ადგილობრივ საკოორდინაციო საბჭოებს სწორად აქვთ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებანი, საითკენაც უნდა წარიმართოს ამჟამად სამართალდამცველი ორგანოების მთელი საქმიანობა.

ქებას იმსახურებს გურჯაანის რაიონის სამართალდამცველი ორგანოების საკოორდინაციო საქმიანობა. აქ ღრმად ანალიზებენ ოპერატიულ ვითარებას, განიხილავენ აქტუალურ საკითხებს, სრულყოფილად აფორმებენ სხდომის ოქმებს, იმუშავებენ კონკრეტულ რეკომენდაციებს. მორიგი სხდომისათვის საკითხების მოსამზადებლად იქმნება სამუშაო ჯგუფი. იგივე ითქმის წყალტუბოს, ცხაკაიას რაიონულ, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საკოორდინაციო საბჭოების შესახებ.

მოსაწონია, როცა საბჭო ამოწმებს, ხორციელდება თუ არა მისი რეკომენდაციები. მაგალითად, წალკის საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება. ქობულეთის რაიონის სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭომ განიხილა საკითხი: „საკოორდინაციო საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შედეგები და მომავალი ამოცანები“. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დამაკმაყოფილებელი არ არის ამ საკითხის განხილვისა და შემუშავებული რეკომენდაციების ხარისხი.

სწორად იქცევია ის საბჭოები, რომლებიც სწავლობენ ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სამართალდარღვევებთან ბრძოლის ორგანიზაციას. ასე მოიქცა ქ. ტყვარჩელის საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც სამუშაო გეგმაში გაითვალისწინა ოპერატიულად უფრო დაზიანებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში სამართალდარღვევებთან ბრძოლის ორგანიზაციის შესწავლა, ადგილზე პრაქტიკული დახმარების აღმოჩენით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საკოორდინაციო საბჭომ სამუშაო გეგმაში გაითვალისწინა რაიონული საკოორდინაციო საბჭოების მუშაობის შემოწმება და შედეგების განხილვა თავის სხდომაზე.

საკოორდინაციო საბჭო თავის სხდომაზე ზოგჯერ, როცა ეს აუცილებელია, იწვევს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, სასწავლებლების ხელმძღვანელებს, უფრო ღრმად ანალიზებს ნაკლოვანებებს და იმუშავებს ერთობლივ ღონისძიებებს დანაშაულობის თავიდან აცილებისათვის. წახალისებას იმსახურებს პრაქტიკა, როცა საკოორდინაციო საბჭო ისმენს კონკრეტული შემსრულებლების (გამომძიებლის, უბნის ინსპექტორის, სოციალისტური საკუთრების დატაცებებთან და სპეკულაციასთან მებრძოლი განყოფილების უფროსის და ა. შ.) ინფორმაციას გაწეული მუშაობის შესახებ, უწევს მათ პრაქტიკულ დახმარებას დაგეგმილი ღონისძიებების რეალიზაციაში.

მიუხედავად ამისა, საკოორდინაციო საბჭოების საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი არსებითი ნაკლოვანებებია. აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი და

პრიმიტივიზმი, ხშირად ამ საქმიანობას აკლია საჭირო სიღრმე და თანამიმდევრულობა, კონკრეტულობა და მიზანსწრაფულობა. ზოგან საკოორდინაციო საქმიანობას ამოწურულად თვლიან სამართალდამცველი ორგანოების ერთობლივი თათბირების ჩატარებით.

სამართალდამცველი ორგანოების ერთობლივი ღონისძიებანი მუდამ არ გულისხმობს მათს მონაწილეობას ყველა ღონისძიებაში. მაგალითად, სრულიადაც არ არის საჭირო, რომ სასამართლოს წარმომადგენელი მონაწილეობდეს ისეთ ღონისძიებებში, როგორც არის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა ერთობლივი გასვლა იმ ობიექტებზე, სადაც არასახარბიელო მდგომარეობაა დამნაშავეობის მხრივ.

კოორდინაციის მნიშვნელობას ყველგან სათანადოდ არ აფასებენ, არ თვლიან დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად. ბევრგან არ ზრუნავენ მისი ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. საკითხის შესასწავლად და ერთობლივ ღონისძიებათა განსახორციელებლად არ ქმნიან სამუშაო ჯგუფებს, ხშირად დავეგმვისას არ ითვალისწინებენ კონკრეტულ ოპერატიულ ვითარებას, რის გამოც სასურველ გავლენას ვერ ახდენენ დამნაშავეობის შემცირებაზე. ეს ეხება ზესტაფონის, მარნეულის, ცაგერის და ზოგიერთ სხვა რაიონებს.

სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელები ყოველთვის როდი იცავენ დებულების იმ მოთხოვნას, რომ კოორდინირება შეიძლება შეეხოს მხოლოდ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქციას, რაც საერთოა ყველა სამართალდამცველი ორგანოსათვის. ის სპეციფიკური ფუნქციები, რომლებსაც, მართალია, კავშირი აქვს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან, მაგრამ ცალკეულ სამართალდამცველ ორგანოთა განსაკუთრებული კომპეტენციაა (პროკურორების ზედამხედველობა კანონების შესრულებისადმი, სასამართლოების მიერ კონკრეტული საქმეების განხილვა, შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიულ სამძებრო მუშაობის ტაქტიკა და მეთოდოლოგია და ა. შ.), კოორდინაციას არ ექვემდებარება. ბევრგან კი ამ მოთხოვნას არღვევენ.

ახალქალაქის რაიონის საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო გეგმაში (რაიპროკურორი ი. აბრამიანი) შეტანილია საკითხი: შესწავლილ იქნეს შრომისა და უსაფრთხოების თაობაზე კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა და შედეგები. განხილულ იქნეს საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე. იმავე გეგმაში გათვალისწინებულია სოციალისტური საკუთრების დაცვის თაობაზე კანონების შესრულების შემოწმება. ასეთი საკითხია შეტანილი სამტრედიის რაიონის საბჭოს გეგმაშიც.

ასევე უსწოროდ შეიტანეს სამუშაო გეგმაში ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის დაცვის კანონების შესრულების მდგომარეობის შემოწმება ცხინვალის რაიონში (პროკურორი გ. ხუგაევი), საჩხერის რაიონის (პროკურორი გ. მჭედლიშვილი), აჭარის ასსრ შუახევის რაიონის (პროკურორი ს. ცაგარეიშვილი) — სასოფლო საბჭოებში მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის დაცვაზე სახელმწიფო აქტების შედგენის კანონიერების შემოწმება და სხვა.

რამდენადაც კოორდინაცია მიზნად ისახავს დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებას და ყველა ადმინისტრაციული ორგანოს ძალებს აერთიანებს დამნაშავეობისა და მათი ხელშემწყობ გარემოებათა აღმოფხვრისათვის, საბჭოს შეუძლია შეისწავლოს და განიხილოს მხოლოდ ისეთი საკით-

ხები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვს დამნაშავეობასთან. ზოგან საბჭოს მიზანს და ამოცანებს ურევენ სხვა საკოორდინაციო საქმიანობაში, როგორც არის სამართალდამცველი ორგანოების კოორდინაცია პარტიული, საბჭოთა, კომკავშირულ, განათლების და სხვა ორგანოებთან, რაც მიზნად ისახავს მარტოოდენ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას, მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას და სხვა. ამას ადასტურებს ის, რომ ზოგიერთი საბჭოს გეგმებში ასეთი საკითხებია შეტანილი. დმანისის რაიონის საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო გეგმა სწორედ ამგვარად არის შედგენილი. გეგმაში არის ასეთი საკითხები: კომკავშირის რაიონთან და განათლების განყოფილებასთან ერთად ზოგიერთ სკოლაში მოეწყოს საღამო თემაზე „ახალგაზრდობა, მორალი, კანონი“, „სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან ერთად გაიმართოს რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა შეხვედრები საბჭოთა მეურნეობების მშრომლებთან შრომისა და მიწის სამართლის საკითხებზე“.

გამართლებული არ არის შუახვევის რაიონის სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება, რომ რაიონის სოფლები დაიყო სამ ზონად და ყოველ მათგანზე გააპრობონ თითოეული ორგანოს ხელმძღვანელი.

უნდა აღინიშნოს, რომ საკოორდინაციო საბჭო არ არის ხელმძღვანელი ორგანო. სვალდებულო წესით ვერავის ვერაფერს დაავალებს, მხოლოდ რეკომენდაციებს იძლევა. ბევრგან ამას უგულებელყოფენ.

მაგალითად: ონის რაიონის საკოორდინაციო საბჭომ 1980 წლის 20 ივნისის ოქმში ჩაწერა: ა) დაევალოს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილეს ვ. ჯაფარიძეს გააძლიეროს კონტროლი სახელმწიფო ავტოსატრანსპორტო ინსპექციის ინსპექტორებისადმი; ბ) დაევალოთ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს (ჩამოთვლილია ორგანიზაციათა ხელმძღვანელები) უზრუნველყონ მათი ტრანსპორტის ღამის საათებში სადგომებზე გაჩერება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქუჩებში ან ეზოში მდგომი სახელმწიფო ტრანსპორტის გატაცებისა და ავტოსატრანსპორტო შემთხვევები.

ასპინძის რაიონის საკოორდინაციო საბჭომ ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა დაავალა აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას. წყალტუბოს რაიონის საკოორდინაციო საბჭომ სასამართლოს თავმჯდომარეს ე. ირემაძეს, მოსამართლეს ნ. მაჭავარიანს, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას დაავალა გააუმჯობესონ მუშაობა.

საკოორდინაციო საბჭოების სხდომების ოქმების შესწავლით ირკვევა, რომ ბევრგან მათ ადგენენ უხარისხოდ, დაუდევრად. ეს ძირითადად იმის ბრალია, რომ საკითხს ზერელედ განიხილავენ.

ახალქალაქის საკოორდინაციო საბჭოს 1980 წლის 22 ივლისის სხდომის ოქმში ერთი წინადადებით არის ამოწურული მუქთანხობის საკითხის განხილვის მსვლელობა. აი ისიც: „უბნის ინსპექტორები ცუდად მუშაობენ, ადგილებზე სასოფლო საბჭოების აღმასკომები კი ამ საკითხს საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას“.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომის ოქმს, როგორც წესი, ხელს აწერს მდივანი და ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე (რაიონის პროკურორი). მაგრამ ამ წესს არ იცავენ წალკის, თერჯოლის, საგარეჯოს, შუახვევის, ლენტეხის, მახარაძის, წალენჯიხის რაიონების საბჭოებში.

სწორი არ არის ზოგან დამკვიდრებული პრაქტიკა, როცა საკოორდინაციო

საბჭოს მდივანს ირჩევენ სხდომის ჩატარებისას. მაგალითად, ცაგერის რაიონში საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე მდივანად არჩეულ იქნა დ. სილაგაძე, მომდევნო სხდომაზე კი რაიპროკურატურის კანცელარიის გამგე — ზ. სალინაძე.

საკოორდინაციო საქმიანობის საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ შემუშავებული რეკომენდაციები ხშირად ზოგადია, მოკლებულია მიზანდასახულობას, არ გამოდინარეობს საქმის ფაქტობრივი მდგომარეობიდან, არ ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას. ჭიათურის საკოორდინაციო საბჭომ განიხილა ქალაქში მუქთახრობასთან ბრძოლის მდგომარეობის საკითხი. ოქმში ჩანაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მდგომარეობა არ განალიზებულია და არც რეკომენდაციებია შემუშავებული. ლენტეხის რაიონის საკოორდინაციო საბჭომ განიხილა არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხი, მაგრამ რეკომენდაციები არ შეუშუშავებია, დაკმაყოფილდა ასეთი არაფრისმთქმელი მოწოდებით: „საჭიროა ყველამ ერთობლივად გავატაროთ სათანადო პროფილაქტიკური აღმზრდელობითი მუშაობა, რომ ამ სახის დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს ვუყოთ ლიკვიდაცია“ (ტექსტი დაცულია).

რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთ არსებით ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ აქტიურად არ არიან ჩაბმული მაკონტროლებელი ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო ახორციელებს ღონისძიებებს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, იმისათვის, რომ სოციალისტური საკუთრების დატაცებებთან ბრძოლაში სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ სახალხო კონტროლის და საფინანსო ორგანოები. სახელმწიფო ბანკი, უხარისხო პროდუქციის გამოშვებასთან ბრძოლის ხაზით — სახელმწიფო სტანდარტისა და საქონლის ხარისხის ინსპექციის ორგანოები, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებთან ბრძოლაში — სახალხო განათლების და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოები, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები და კომკავშირული ორგანოები.

ადგილზე საკოორდინაციო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრელად ახალი, გაზრდილი მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკურმა საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციები, რაც წერილის სახით დაეგზავნა ადგილობრივ სამართალდამცველ ორგანოებს. საჭიროა მკვეთრად გარდაიქმნას დამნაშავეობასთან სამართალდამცველ ორგანოების ბრძოლის ორგანიზაცია, მათი საქმიანობის კოორდინაცია, ამალდეს ამ ორგანოების მუშაკთა პროფესიული მომზადების დონე და ოპერატიულობა. ამასთან ერთად უნდა მიიღწიონ საკითხებისადმი სერიოზულ მიდგომას, მიზანსწრაფულობას, განმტკიცდეს კონტაქტი პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, მთელ საზოგადოებასთან. საკოორდინაციო საბჭოებმა პარტიულ ორგანოებს პერიოდულად უნდა წარუდგინონ ორმა და ყოვლისმომცველი ინფორმაციები დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობის, მისი ძირითადი ამოცანებისა და მთავარი მიმართულებების შესახებ.

საქართველოს სსრ სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა ითვალისწინებდა ისეთი აქ-

ტულური საკითხების ერთობლივად შესწავლას და განხილვას, როგორც არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, ხულიგნობის, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა. დაგეგმილია აგრეთვე შემოწმდეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს წულუკიძის განყოფილებაში შემავალი შრომა-გასწორების კოლონიებში კანონიერების დაცვა, განაჩენების და გადაწყვეტილებების საკასაციო და საზედამხედველო წესით შეცვლისა და გაუქმების მიზეზების შესწავლა და სხვა. ნაწილი ამ საკითხებისა უკვე შესწავლილი და განხილულია.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა მოისმენს ქ. თბილისის, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ზუგდიდის საქალაქო და მახარაძის რაიონის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეებისა და სხვა წევრთა ინფორმაციებს გაწეული მუშაობის შესახებ.

რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოები მომავალშიც განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ამ მუშაობის სრულყოფისა და გაფართოებისათვის, რესპუბლიკაში მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

გამოკითხვისა და დაკვირვების სოციოლოგიური მეთოდის გამოყენება სისხლის სამართალში

რ. შველიძე

უკანასკნელ ხანს, საბჭოთა სისხლის სამართალში ფართოდ გამოიყენება კვლევის სოციოლოგიური მეთოდი. იგი საშუალებას იძლევა უფრო ღრმად შევისწავლოთ როგორც სისხლის სამართლის ტრადიციული პრობლემატიკა, ასევე სოციალურ-სამართლებრივი სფეროს სხვა საკითხები, კერძოდ: ა) სისხლის სამართლის კანონის ეფექტიანობა; ბ) სისხლის სამართლის კანონის მოქმედების მექანიზმი; გ) სისხლის სამართლის კანონის სოციალური განპირობებულობა.

წინამდებარე სტატია ეძღვნება სისხლის სამართალში გავრცელებულ სოციოლოგიურ მეთოდებს — გამოკითხვას და დაკვირვებას, მათს ანალიზს და პრაქტიკულ მნიშვნელობას სისხლის სამართლებრივი პრობლემების კვლევისათვის.

საერთოდ გამოკითხვის მეთოდი ტრადიციულ და დამკვიდრებულ მეთოდთან ითვლება სოციოლოგიაში. მას ხშირად მიმართავენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები.¹

სოციოლოგიურ ლიტერატურაში გამოკითხვის მეთოდის დახმარებით იკრიბება პირველადი ვერბალური ინფორმაცია. გამოკითხვას საფუძვლად უდევს უშუალო (ინტერვიუ) და გაშუალებული (ანკეტა) სოციალურ-ფსიქოლოგიურ ურთიერთშემოქმედება მკვლევარსა და რესპონდენტს შორის.² გამოკითხვა ორი ძირითადი სახეობისაა: ანკეტური და ინტერვიუ. გარდა ამისა, ლიტერატურაში ცნობილია საექსპერტო და ინდივიდუალური გამოკითხვა, ელვა-გამოკითხვა, დახურული და ღია გამოკითხვა, საფოსტო, მთლიანი და შერჩევითი გამოკითხვა³. გამოკითხვის სახეობის არჩევა განპირობებულია გამოკვლევის ხასიათით, მოცულობით, აგრეთვე ამოსაკითხი კონტინგენტის სპეციფიკით. ბულგარელმა სოციოლოგებმა შეიმუშავეს ეფექტიანი სახეობის გამოკითხვა ურნის გამოყენებით. იგი ეწყობა დიდ დარბაზში, სადაც მოთავსებულია ურნები. ანკეტის გამავრცელებელი რესპონდენტებს უხსნის ანკეტების შევსების წესს, გამოკვლევის ხასიათსა და მის მიზანს. შევსებულ ანკეტას რესპონდენტი უშვებს ურნაში. ანკეტის გამავრცელებელს არ უხდება ანკეტების შეგროვებაზე დიდი დროის დახარჯვა, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელია მასობრივი გამოკითხვის დროს.

¹ К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. I, стр. 192-193; Там же, т. 23, с. 294-296.

² Рабочая книга социолога. М., 1976, с. 379.

³ Ядов В. Я. Социологическое исследование. Методология. Программа. Методы. М., 1972, с. 114; Воронов Ю. П. Методы сбора информации в социологическом исследовании. М., 1974, с. 20.

მეტად საყურადღებო სახეობის გამოკითხვაა საშინაო ანკეტა, რომელიც ურიგდება მოსახლეობას ანკეტის გამავრცელებლის დახმარებით. იგი გამოიყენება უმთავრესად იმის გასარკვევად, თუ რა ზემოქმედებას ახდენს სისხლის სამართლის კანონი. საშინაო ანკეტის შევსებისას, გამოსაკითხი პირი არ ჩქარობს, საშუალება აქვს ამომწურავად უპასუხოს ანკეტის კითხვებს, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებანი. ასეთი ანკეტის ნაკლი ის არის, რომ თუ დროულად არ შეგროვდა, მათი ნაწილი იკარგება. სასურველია, ანკეტის გამავრცელებელმა თავად შეკრიბოს ანკეტები, ვინაიდან მას რესპონდენტები გულმამიწყოების ან მოუცლევლობის გამო ხშირად ფოსტით არ ვზავნიან.

მეტად გავრცელებული სახეობის გამოკითხვაა ინტერვიუ. ანკეტისაგან იგი არსებითად ერთი მომენტიტ განსხვავდება. ინტერვიუს პროცესში მყარდება უშუალო კონტაქტი ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის. ეს ქმნის დამატებითს სირთულეებს იმ თვალსაზრისით, რომ მისი წარმატება ხშირად დამოკიდებულია ინტერვიუს წამყვანი პირის პირად თვისებებზე. მას მოეთხოვება იყოს გულწრფელი და უშუალო, განაწყოს ინტერვიუსათვის რესპონდენტი, შექმნას ძალდაუტანებელი, „შინაურული“ გარემოცვა ინტერვიუსათვის. ინტერვიუერის მაღალი პროფესიონალიზმი მიღებული მონაცემების საიმედოობის და უტყუარობის საწინდარია. მეორე მომენტი, რაზეც ღირს ყურადღების გამახვილება, არის მიღებული პასუხების ჩაწერის ხერხის შერჩევა. სოციოლოგიაში პასუხის ჩაწერის მრავალი გზა არსებობს: შეიძლება ჩაიწეროს მთელი საუბრის მოკლე შინაარსი, ან გაკეთდეს ჩანაწერი თითოეული კითხვის შემდეგ. მიმართავენ აგრეთვე სტენოგრაფირებასაც. ხშირად თვით გამოკვლევის თემა უქარნახებს ინტერვიუერს, თუ პასუხის ჩაწერის რა ხერხი აირჩიოს.

თუ შესასწავლია მართლშეგნების დონე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს საუბრის სიტყვა-სიტყვითს ჩაწერას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხერხი რთულია და შრომატევადი, იგი მაინც უფრო სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის შესასწავლი პირის სამართლებრივ კულტურაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ინტერვიუს სიტყვა-სიტყვით ჩაწერის ხერხს აქვს ერთი დიდი ნაკლი: პასუხის ჩაწერის პროცესში ნელდება ინტერვიუს ტემპი, რესპონდენტი ფრთხილობს და აყოვნებს პასუხის გაცემას, ცდილობს დასმულ კითხვას უპასუხოს საყოველთაოდ მიღებული საზოგადოებრივი აზრის შესაბამისად და ამდენად შეიძლება არ იყოს გულწრფელი.

თუ ინტერვიუ მიზნად ისახავს დამნაშავეს პიროვნების შესწავლას, უფრო მიზანშეწონილია პასუხის ჩაწერა საუბრის შემდეგ. ეს საშუალებას იძლევა ინტერვიუ დაუძაბავად წარიმართოს, დაზუსტდეს გამოსაკითხი პირის აზრი შესასწავლი საკითხებისადმი, კითხვა რამდენჯერმე განმეორდეს და ინტერესი საუბრის თემის მიმართ არ შენეულდეს.

სოციოლოგიურ ლიტერატურაში მოცემულია ინტერვიუს ტიპებისა და კითხვების კლასიფიკაცია.⁴ ინტერვიუს ტიპის შერჩევა დამოკიდებულია გამოკვლევის მიზანსა და ამოცანებზე, აგრეთვე მისი ჩატარების პირობებზე.

⁴ Храновская О. П. Интервью как метод конкретных социологических исследований. См. в кн.: Методика и техника конкретно-социологических исследований, изд-во Киевского ун-та, 1968, с. 99; Михайлов С. Эмпирическое социологическое исследование. М., 1975, с. 255-257; Ф. Пенто, М. Гравитц. Методы социальных наук, М., 1972, с. 408-411.

შეკითხვის ტიპს ინტერვიუს პროცესში განაპირობებს არა მარტო სისხლის-სამართლებრივი პრობლემის კვლევის ხასიათი, არამედ თვით რესპონდენტი. თუ იგი თავს არიდებს პირდაპირ დასმულ კითხვას, სასურველია შეიცვალოს კითხვის ფორმა, კითხვა გახდეს უფრო „უვნებელი“, არ შეიცავდეს მინიშნებას რესპონდენტისათვის არასასიამოვნო მოვლენაზე.

გამოკითხვის მეთოდს სისხლის სამართალში საკმაოდ ხშირად მიმართავენ, განსაკუთრებით სისხლისსამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების ეფექტიანობის შესწავლისა და კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

გამოკითხვის მეთოდით ცდილობენ გადაჭრან მთელი რიგი სადავო საკითხები სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილიდანაც. მაგალითად, გამოკითხვამ ცხადყო, რომ ჯერ კიდევ სადავოდ ითვლება დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრა თანამონაწილეობის დროს.⁵

საინტერესო მასალა იქნა მოპოვებული მას შემდეგ, რაც ანკეტირების გზით გამოიკითხა 100 პრაქტიკოსი იურისტი ბრალის სახეობის განსაზღვრასთან დაკავშირებით ფორმალური დანაშაულის დროს. კითხვაზე — შეიძლება თუ არა სამშობლოს ლალატი არაპირდაპირი განზრახვით, დადებითი პასუხი გასცა 50 კაცმა, უარყოფითი 40, ათმა თავი შეიკავა პასუხისაგან. თანამონაწილეობა არაპირდაპირი განზრახვით, შესაძლებლად მიიჩნია 100-დან 40 კაცმა. მხედველობაშია მისაღები, რომ ანკეტის პირველ კითხვაზე — დამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ თუ არა საფუძვლების მე-8 მუხლის განსაზღვრა ბრალის შესახებ, დადებითი პასუხი გასცა 85 კაცმა, სინამდვილეში კი, როგორც ვხედავთ, ამ საკითხის შესახებ გამოკითხულ მოსამართლეებსა და გამომძიებლებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა, რაც უარყოფითს ზეგავლენას ახდენს მათს პრაქტიკულ საქმიანობაზე.⁶

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ზოგიერთი ნორმის შინაარსი მოსახლეობას კარგად აქვს გათვითცნობიერებული. მაგალითად, გამოკითხვის მონაცემებმა ცხადყო, რომ უმეტესობამ კარგად იცის, რომ სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადია დანაშაულის განუცხადებლობა.⁷

გამოკითხვის მეთოდით შესწავლილი იქნა ისეთი სისხლისსამართლებრივი ნორმის ეფექტიანობა, როგორიც არის აუცილებელი მოგერიება. გამოკითხვით ცნობილი გახა, რომ ბევრმა არ იცის ამ ნორმის არსებობა (გამოკითხულთა 53,9 პროცენტი).⁸ ამის გამოსწორებას დიდად შეუწყობს ხელს მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის შემდგომი სრულყოფა, რადიოს, ტელევიზიის და პრესის საშუალებათა მიზანდასახული გამოყენება სამართლებრივი ცოდნის ასამაღლებლად.

⁵ Блумм М. И. Действие уголовного закона в пространстве. Рига, 1974, с. 154.

⁶ Злобин Г. А., Никифоров В. С. Умысел и его формы. М., 1972, с. 106И-108.

⁷ Носкова Н. А. Изучение общественного мнения о недонесении о преступлении. См. в кн.: Проблемы социологии права. Вып. I, Вильнюс, 1970, с. 224-227.

⁸ Козак В. Н. Право граждан на необходимую оборону. Саратов. 1972, с. 22, 26.



იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ყურადღება ეთმობა სასჯელის სისტემის ეფექტიანობის შესწავლას. მაგალითად გამოკვლეულ იქნა საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის ეფექტიანობის შესახებ. ანკეტური გამოკითხვა ჩატარდა სვერდლოვსკის იურიდიული ინსტიტუტის გამოსაშვები კურსის 200 სტუდენტს. გამოკითხულნი დაეთანხმნენ სიკვდილით დასჯის გამოყენების მიზანშეწონილობას შემდეგი მოსაზრებების გამო:

ა) სიკვდილით დასჯა სამართლიანი შურისგებაა დამნაშავეს მიმართ — 28,2 პროცენტი; ბ) სიკვდილით დასჯა არ ეწინააღმდეგება მოსახლეობის მართლშეგნებას — 17,2 პროცენტი; გ) სიკვდილით დასჯა ასრულებს ზოგად პრევენციულ ფუნქციას — 16,6 პროცენტი; დ) ამ სახეობის სასჯელი იძლევა საშუალებას თავიდან იქნეს აცილებული ახალი დანაშაულის ჩადენა — 33,9 პროცენტი.⁹

ჩვენი აზრით ამგვარი სასჯელის შემდგომი შესწავლა უნდა წარიმართოს მისი ზოგადპრევენციული მოქმედების თვალსაზრისით. ამ მიზნით უფრო გამართლებულად მიგვაჩნია ანკეტირებისა და ინტერვიუს მეთოდების კომბინირებული გამოყენება, რაც საშუალებას მოგვცემს შევადაროთ ერთმანეთს მიღებული მონაცემები და დავადგინოთ იმ დანაშაულთა წრე, რომელთა მიმართ მოსახლეობის მართლშეგნება არ ეწინააღმდეგება სიკვდილით დასჯის გამოყენებას. ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი აზრისა და კანონმდებლობის შეხედულებათა დაახლოებას მძიმე დანაშაულთა შეფასებაში.

უკანასკნელ წლებში კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი გახდა პირობითი მსჯავრის ინსტიტუტიც. გამოვლინდა არსებითი განსხვავება პირობით მსჯავრდადებულთა მიდგომაში პირობითი მსჯავრის არსის მიმართ, მაგალითად, რეციდივისტები მას სასჯელისაგან განთავისუფლების სახეობად მიიჩნევენ, წინათ სამართალში არნამყოფნი — სასჯელის სახეობად¹⁰.

სისხლისსამართლებრივ კვლევაში არაერთგზის იყენებენ დაკვირვების მეთოდსაც.

სოციოლოგიურ ლიტერატურაში იგი ერთგვაროვნად არ არის განსაზღვრული.¹¹

სისხლისსამართლებრივ კვლევაში გამოყენების თვალსაზრისით მისაღებად მიგვაჩნია ი. ვორონოვის განსაზღვრება: „როცა ლაპარაკია დაკვირვებაზე სოციოლოგიაში, მხედველობაში გვაქვს ფსიქოლოგიური დაკვირვება, დაკვირ-

⁹ Емельянов Ю. Я., Козаченко И. Я., Соколов А. Ф. См. в кн.: Некоторые вопросы эффективности уголовного законодательства. Свердловск, 1976, с. 40.

¹⁰ Ласковий В. Я. Учет обстоятельств дела и личности виновного при назначении условного осуждения. См. в кн.: Эффективность применения уголовного закона. М., 1973, с. 119-120.

¹¹ Здравомыслов А. Г. Методология и процедура социологических исследований, М., 1969, с. 156; Слепенков И. М. Методологические принципы и методика конкретно-социологического исследования, М., 1974, с. 119; Рабочая книга социолога, М., 1976, с. 341; Ядов В. Я. Социологическое исследование. Методология. Программа. Методы. М., 1978, с. 111.

ვება ადამიანთა ქცევაზე, რის საფუძველზეც გამოგვაქვს ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური დასკვნები.¹²

დაკვირვების თავისებურება ის არის, რომ ინფორმაციის მიღება ხდება უშუალოდ გარემოს აღქმით. დაკვირვება არ არის თავისუფალი სუბიექტურობისაგან, ვინაიდან მიუხედავად მეცნიერული მიდგომისა, დამკვირვებელს არ ძალუძს მთლიანად თქვას უარი გარემოს სუბიექტურ აღქმაზე, მის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე.

დაკვირვების მეთოდის სისხლის სამართალში დანერგვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაკვირვების ჩატარების პირობების დაცვას. იგი უნდა მოეწყოს წინასწარ შემუშავებული და ზუსტად დასახული პროგრამის შესაბამისად, შემოწმდეს მისი მეცნიერული საიმედოობა.

დამკვირვებელი უნდა მოერიდოს დასაკვირვებელ ობიექტთან მომეტებულ კონტაქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უქვეითდება აღქმის უნარი და ვერ ახერხებს მოახდინოს დასაკვირვებელი სიტუაციის ობიექტური ფიქსაცია, გამოყოს უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები დაკვირვების სფეროდან, ასახოს მომხდარი ცვლილებები¹³ ამას თან ერთვის დასაკვირვებელი პროცესების ჩაწერის სირთულე. მიზანშეწონილია დაკვირვების მონაცემების ჩაწერა წინასწარ მომზადებულ ბარათებზე ან დაკვირვების დღიურში. სასურველია ჩაწერის დროს თანამიმდევრობის დაცვა, მონაცემების დაგუფება კლასიფიკაციის შესაბამისად. დაკვირვების დღიური ამ მხრივ მეტი სიზუსტით გამოირჩევა და უფრო საიმედო მასალას იძლევა. გარდა ამისა იგი, როგორც წესი, დაკვირვების ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, რაც საშუალებას იძლევა თვალი ვავადევნოთ შესასწავლი მოვლენის განვითარებას.

სისხლისსამართლებრივი კვლევის სფეროში საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიც არის ანგარიში დაკვირვების შესახებ. სასურველია იგი დაიყოს თავებად, სადაც აისახება მკვლევარისათვის საჭირო მასალა, მისივე ინტერპრეტაციით.

სოციოლოგიურ ლიტერატურაში მოცემულია სხვადასხვა სახეობის დაკვირვების განსაზღვრებანი.¹⁴

სისხლის სამართალში ეფექტიანი ჩართული დაკვირვების გამოყენება, რომელიც საშუალებას აძლევს დამკვირვებელს ღრმად შეისწავლოს მისთვის საინტერესო მოვლენები, დაკვირვების ობიექტის ქცევის მოტივები და ის შინაგანი კანონზომიერებანი, რომელთა აღქმა თითქმის შეუძლებელია გარეგანი დაკვირვების დროს.

ჩართული დაკვირვება მოითხოვს დამკვირვებლისაგან მაღალ პროფესიულ მომზადებას, მოთმინებას და ყურადღებას, მეტადრე, თუ საქმე ეხება დამნაშავეთა ჯგუფის ან მსჯავრდადებულთა გამოსწორების მექანიზმის შესწავლას.

¹² Воронов Ю. П. Методы сбора информации в социологическое исследование, М., 1974, с. 127.

¹³ Воловичф В. И. Надежность информации в социологическом исследовании. Киев, 1974, с. 110-112.

¹⁴ Ядов В. А. Социологическое исследование. Методология. Программа. Методы. М., 1972, с. 113; Ракитов А. И. Анатомия научного знания. М., 1969, с. 153-155; Воробьев Н. А. Методологические проблемы анализа объекта социологического исследования, 1974, с. 107.

ჩართულ დაკვირვებას გაცილებით ხშირად იყენებენ ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში პროფესიული დამნაშავეების შესწავლისას. ჩვენში მას ჯერჯერობით უფრო მეტად მიმართავენ სამძებრო-ოპერატიულ საქმიანობაში. ბოლო ხანს დაიწყეს მისი გამოყენება ლატენტური დანაშაულის შესწავლის მიზნითაც.

მიზანშეწონილია მისი გამოყენება არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა წრის შესასწავლად. ჩართული დაკვირვება საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ მოზარდის ქცევის ფარული მოტივები, ანტისოციალური შეხედულებების ჩამოყალიბების მიზეზები.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოდ ითვლება საკითხი მსჯავრდადებულთა აღზრდისა და გამოსწორების კრიტერიუმის შესახებ. ჩვენი აზრით, შესაბამისი პროგრამით ჩატარებული გარეგანი დაკვირვება საკმაო მასალას იძლევა მსჯელობისათვის — გამოსწორდა თუ არა მსჯავრდადებულნი. გარეგანი დაკვირვების დროს, დამკვირვებელი უცნობია გამოსაკვლევ პირთა ჯგუფისათვის. ისინი ძალდაუტანებლად, ბუნებრივად იქცევიან და თითქმის ყველა დამახასიათებელ თვისებას ავლენენ. თუ დამკვირვებელი ფოტო ან კინოკამერასაც იყენებს, გვექნება საკმაოდ სრული „გარეგნული“ სურათი მსჯავრდადებულის ქცევის, მიდრეკილების, პროფესიული ჩვევების, გარშემო მყოფთა ამა თუ იმ ქცევის მიმართ მისი რეაგირების შესახებ. ჩართული და გარეგანი დაკვირვების ერთდროული გამოყენება ზრდის მოპოვებულ მასალის საიმედოობას, საშუალებას აძლევს რამდენიმე მკვლევარს საკუთარი პროგრამებით და კითხვარებით შესწავლოს მსჯავრდადებულთა ყოფაცხოვრებისა და მუშაობის უმნიშვნელოვანესი მხარეები.

დამკვირვებელმა, გამსაკუთრებით ჩართული დაკვირვების დროს, უნდა იხელმძღვანელოს არა მარტო ზნეობრივი კრიტერიუმებით, არამედ კანონითაც. არავითარი მეცნიერული მოტივებით არ შეიძლება გამართლდეს დამკვირვებლის მოქმედება, თუ იგი კანონსაწინააღმდეგოა.

ერთიანი საკავშირო „სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის სასამართლო-სახელმძღვანელო განსაზღვრის წესები

რ. 33მტბმ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, დოცენტი.

უკვე ორ წელზე მეტია, რაც მოქმედებს ერთიანი საკავშირო წესები სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის სასამართლო-სამედიცინო განსაზღვრის შესახებ. მანამდე ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ადგენდა თავის საკუთარ წესებს, რომლებიც შეესაბამებოდა ამ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხს, როგორც შემადგენლობის, ისე სახელწოდების მხრივ.

მოკავშირე რესპუბლიკებში მოქმედ წესებში განსხვავება იყო არა მარტო დაზიანების ხარისხის სახელწოდებაში, არამედ შემადგენლობაშიც. მაგალითად, საქართველოში ცნობილი იყო დაზიანების სამი ხარისხი — მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი (ჯანმრთელობის მოშლით და მოუშლელად), ხოლო უკრაინაში, ლატვიაში და ყაზახეთში — მძიმე, საშუალო და მსუბუქი, ერთი და იგივე დაზიანებას სხვადასხვა წესები სხვადასხვაგვარი ხარისხით განსაზღვრავდა. მაგალითად, ბარძაყის ძვლის დახურული მოტეხილობა საქართველოში მოქმედი წესების მიხედვით მძიმე ხარისხისა იყო, რუსეთის სფს რესპუბლიკის წესების მიხედვით — ნაკლებად მძიმე.

ახალი, ერთიანი საკავშირო წესებით მოხდა სხეულის დაზიანების განსაზღვრისათვის აუცილებელი ნიშნების უნიფიცირება. ჩამოყალიბდა საერთო ნიშნები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს დაზიანების ამა თუ იმ ხარისხის განსაზღვრას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, დაზიანების ერთიანი იურიდიული კვალიფიკაციისათვის, განმეორებითი ქსპერტიზების გაადვილებისათვის, ამ სახის ექსპერტიზის მეცნიერული დამუშავებისათვის.

ახალი წესები დაზიანების ხარისხის სახელწოდებას არ შეხებია, რამდენადაც ეს გათვალისწინებულია რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით. ახალი წესები ადგენს სამი სახელწოდების დაზიანების ხარისხს — მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი (ჯანმრთელობის მოშლით და მოუშლელად), ისე, როგორც ეს მანამდე იყო უმეტეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსში და სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის წესებში. და თუ ზოგიერთი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით სხვა სახელწოდების დაზიანების ხარისხია გათვალისწინებული, შემადგენლობით და შინაარსობრივად ეს ერთიანი წესების შესაბამისი სახელწოდების დაზიანების ხარისხს უთანაბრდება, მაგალითად, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული საშუალო ხარისხის დაზიანება ერთიანი წესების ნაკლებად მძიმე ხარისხს შეესაბამება.

სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა ხდება ამ დაზიანების ხასიათის შესაბამისად: რამდენად სახიფათოა იგი სიცოცხლისათვის და რა შედეგით ანუ როგორი გამოსავლით დამთავრდა იგი.

სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანების ნიშნებია: სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობის შექმნა; მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან ამ ორგანოს ფუნქციის დაკარგვა; სულიერი დაავადება; ჯანმრთელობის მოშლა, რამაც გამოიწვია შრომისუნარის მყარი, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვა; ორსულობის შეწყვეტა; სახის წარუხოცელი დამახინჯება.

ახალ წესებში დაკონკრეტდა სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობის ცნება. თუ მანამდე მოქმედი წესები გულისხმობდა სახიფათო მდგომარეობის შექმნას მხოლოდ დაზიანების მიყენების მომენტისათვის, ამჟამად ამასთან ერთად გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობა შეიქმნება არა დასაწყისშივე, არამედ შემდგომში, დაზიანების ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში. სამედიცინო დახმარებით თავიდან აცილებული სახიფათო მდგომარეობა და სიკვდილი ამ მდგომარეობის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება. გაიზარდა სახიფათო მდგომარეობის შემქმნელ დაზიანებათა რიცხვი. უკვე არსებულს დაემატა ზოგი დაზიანება, ზოგი კი უფრო დაკონკრეტდა. სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობად ითვლება, როცა დაზიანება თავისთავად სახიფათოა, ან ნებისმიერი დაზიანება, რასაც თან ახლავს მძიმე ხარისხის შოკი, დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვა, ცხიმოვანი ან ჰაეროვანი ემბოლია და სხვ.

თავისთავად სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებებია: თავის ქალის, გულმკერდის და მუცლის ღრუში და ხერხემლის არხში შემღწევი ჭრილობები, მიუხედავად იმისა, დაზიანებულია თუ არა ამ ღრუში არსებული ორგანოები; ქალა-სარქველის და თავის ქალის ფუძის ნებისმიერი მოტეხილობები, მიუხედავად თანმხლები მოვლენების გამოხატვის ხარისხისა, თავის ტვინის მძიმე დაჟეჟილობა; კისრის მალეების ზოგიერთი მოტეხილობა და ამოვარდნილობა ზურგის ტვინის ფუნქციის დაურღვევლად; ხახის, ხორხის, სასულეს და საყლაპავის შემღწევი ჭრილობა; გრძელი ლულოვანი ძვლების — ბარძაყის, მხრის, დიდი წვივის ღია მოტეხილობა; მსხვილი სისხლძარღვების — აორტის, საძილე, ლავიწქვეშა, ილიის, მხრის, თეძოს, ბარძაყის. მუხლქვეშა არტერიების ან მათი თანმხლები ვენების დაზიანება და სხვ. ხოლო სხვა დაზიანებები — გულმკერდის ან წელის მალეების მოტეხილობა, ზურგის ტვინის დაზიანება კისრის ნაწილის ქვემოთ, გრძელი ლულოვანი ძვლების დახურული და სხვა ლულოვანი ძვლების მოტეხილობა, მენჯის ძვლების მოტეხილობა, გულმკერდის, მუცლის და მენჯის ღრუს ორგანოების დახურული დაზიანებები, სხვა სისხლძარღვების დაზიანებები, ხორხის და სასულეს ხრტილების დახურული მოტეხილობები და სხვა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებებად ითვლება იმ შემთხვევაში, როცა მათ თან ახლავს ზემოთხამოთვლილი მოვლენები — მძიმე ხარისხის შოკი, დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვა და სხვ. რაც სახიფათოა სიცოცხლისათვის.

დაზიანების შედეგის ანუ გამოსავლის მიხედვით მძიმე ხარისხის განსაზღვრა ხდება, მაგალითად, მხედველობის, სმენის, რომელიმე ორგანოს ან ორგანოს ფუნქციის დაკარგვის, სულიერი დაავადების განვითარების, შრომისუნარის ერთი მესამედით და მეტად მყარი დაკარგვის, ორსულობის შეწყვეტის

და სახის წარუხოცელი დამაზიანებლების შემთხვევებში: მხედველობის დაკარგვად ითვლება, როცა პირი ვერც ერთი თვალით ვერ ხედავს, ან მხოლოდ თითების თვლა შეუძლია 2 მეტრამდე მანძილზე; სმენის დაკარგვა არის სრული სიყრუე ან ლაპარაკის მოსმენის შეუძლებლობა ყურის ნიჟარიდან 3-5 სმ დაშორებით; ორგანოს დაკარგვად ითვლება, მაგალითად, ხელის ან ფეხის მთლიანი ამპუტაცია ან ამპუტაცია იდაყვის და მუხლის სახსრის ზემოთ; ორგანოს ფუნქციის დაკარგვა გულისხმობს, მაგალითად, დამბლას ან ისეთ მდგომარეობას, როცა კიდური არ მოქმედებს, მეტყველების უნარის დაკარგვას ანუ გარშემო მყოფთათვის თავისი აზრის გადაცემის შეუძლებლობას, შვილის ყოლის უნარის დაკარგვას და სხვ.;

სახის წარუხოცელი დამაზიანება არ არის სამედიცინო ცნება. ამ დაზიანების განსაზღვრა საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების კომპეტენციას შეადგენს. სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ადგენს მხოლოდ დაზიანების ხარისხს, მისი მიყენების ჩასიათს, იარაღს, ხანდაზმულობას და, რაც მთავარია, უოპერაციოდ დაზიანების შედეგად დარჩენილი კვალის გაქრობის ან შემცირების შესაძლებლობას. ამასთან ექსპერტმა უნდა განსაზღვროს, იწვევს თუ არა ეს კვალი სახის ასიმეტრიას და მიმიკის დარღვევას.


ახალ წესებში ნაკლებად მძიმე და მსუბუქი ხარისხის დაზიანების მიმართ მოცემულია მხოლოდ ნიშნები ხარისხის განსაზღვრისათვის. არ არის ჩამოთვლილი ცალ-ცალკე, სახელდობრ, თუ რომელი დაზიანება არის ნაკლებად მძიმე, როგორც ეს მანამდე მოქმედ წესებში იყო მოცემული. დაზიანების ნაკლებად მძიმედ განსაზღვრისათვის ორი მაჩვენებელია: ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა 3 კვირაზე (21 დღეზე) მეტი ხნის განმავლობაში და შრომის უნარის მყარი დაკარგვა ერთ მესამედზე ნაკლები პროცენტით. ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის დადგენის დროს მხედველობაშია მისაღები მხოლოდ ისეთი ვადები, რომლებიც გაპირობებულია ობიექტური აუცილებლობით და არა შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნის ფაქტით. ერთ მესამედზე ნაკლები პროცენტით შრომის უნარის დაკარგვად იგულისხმება, როცა დაზიანების შედეგად ან გამოსავლის მიხედვით აღამიანმა საერთო შრომის უნარი სამუდამოდ დაკარგა 33 პროცენტზე ნაკლებად, მხოლოდ არანაკლებ 10 პროცენტისა.

მსუბუქი ხარისხის განსაზღვრაც ორი ნიშნის მიხედვით ხდება: ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა და შრომის უნარის მყარი, მაგრამ უმნიშვნელო დაკარგვა. ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა გულისხმობს ასევე ობიექტური აუცილებლობით გაპირობებული ჯანმრთელობის მოშლას 3 კვირაზე (21 დღეზე) ნაკლები დროით, მხოლოდ არანაკლებ 6 დღისა. შრომის უნარის მყარი უმნიშვნელო დაკარგვა გულისხმობს საერთო შრომის უნარის დაკარგვას 10 პროცენტამდე.

ახალ წესებში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ორგანიზაციულ-მეთოდურ საკითხებს, რომელთაგანაც ყურადღასღება: იმ შემთხვევაში, როდესაც დაზიანების ხარისხის განსაზღვრა ხდება სამედიცინო საბუთის საფუძველზე. ეს საბუთი წარმოდგენილი უნდა იქნეს დედანში და შეიცავდეს ამისათვის საჭირო დეტალურ, ობიექტურ მონაცემებს. დაზიანების ხარისხის განსაზღვრა საბუთის ასლის ან ამონაწერის საფუძველზე დაშვებულია მხოლოდ გამონაკ-

ლის შემთხვევაში, როცა ექსპერტი დარწმუნებულია, რომ მასში მოტანილია ყველა საჭირო მონაცემი. როდესაც სამედიცინო საბუთი არ არის საკმარისი დაზიანების ხარისხის განსაზღვრისათვის, ექსპერტი მოითხოვს დამატებით საბუთებს, დამატებითი გამოკვლევის ჩატარებას, სპეციალისტების კონსულტაციას; თუ მიყენებულმა დაზიანებამ გამოიწვია მანამდე არსებული დაავადების გამწვავება ან სხვა შედეგი, რაც წარმოიშვა სხვა შემთხვევითი გარემოების შედეგად, ან გაპირობებულია ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებებით ან არასრულფასოვანი სამედიცინო დახმარებით, ეს დაზიანების ხარისხის განსაზღვრისას არ მიიღება მხედველობაში. დაზიანებასა და სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენისას სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა არ უნდა განსაზღვროს დაზიანება როგორც უსათუოდ ან პირობით სასიკვდილო, ვინაიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობა ასეთ დაყოფას არ ითვალისწინებს. სხეულის დაზიანების ექსპერტიზის დროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ვალდებულია დაზიანების ხარისხის განსაზღვრისას აღნიშნოს ხარისხის მაკვალიფიცირებელი ნიშანი — სიცოცხლისათვის სახიფათო, შრომის უნარის მყარი დაკარგვა ერთ მესამედზე ნაკლებით, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა და ა. შ., და სხვა.

რთვა საქმე გიყვარს



ქუთაისის პროკურორის სამუშაო ოთახში უაღრესად საქმიანი ატი-
მოსფერო სუფევდა — აქ ათასნა-
ირი ქალაქდებით და საქალაქდე-
ებით უწყვეტ ნაკადად შედიოდნენ
და გამოდიოდნენ, ყველას თავისი
საქმე და საზრუნავი გასჩენოდა.
სხვანაირად ვერც წარმოვიდგენდი
— ქუთაისი ხომ მეორე მსხვილი
ქალაქია და მის პროკურორსაც
საქმე გამოუღეველი აქვს.

პროკურორი როგორც იქნა, და-
ვიმარტოხელე.

— გულწრფელად უნდა გითხ-
რათ, — მეუბნება პროკურორი ია-
კობ მახარაძე, — ბევრი კარგი მუ-
შაკი გყავს. მაგრამ არ შევცდები
და ვიტყვი, რომ ყველას ძალზე
გაგვახარებს, თუ თქვენი ჟურნალი
მეშვეობით მკითხველებს გააცნობთ
ახალგაზრდა გამომძიებელს ელ-

დარ ქირიას. მართალია, იგი სულ
ორიოდე წელია, რაც პროკურა-
ტურაში მუშაობს. მაგრამ, ხომ
მოგეხსენებათ, როცა საქმე გუ-
ლით გიყვარს... თუმცაღა, ნათქვა-
მია. ექვას ნახვა სჯობსო, ახლავე
გაგაცნობთ. — დასძინა მან და სა-
ტელეფონო აპარატურის ერთ-ერთ
ღილაკს თითი დააჭირა...

წამსვე კაბინეტის კარები შემოა-
ლო საშუალო ტანის, ჯანმრთელი
გარეგნობის სრულიად ახალგაზრდა
კაცი. სწორედ აქედან დაიწყო ჩვე-
ნი ნაცნობობაც...

მის ბიოგრაფიაში, ერთი შეხედ-
ვით, განსაკუთრებული თითქოს
არაფერია — ბავშვობა, სკოლა,
უნივერსიტეტი... მაგრამ, როცა დე-
ტალურად გაეცნობით ელდარ
ქირიას წარსულს და ჩასწვდებით
მის სულიერ სამყაროს, თვალწინ
წარმოგიდგებათ ტიპური საბჭოთა
ახალგაზრდა კაცი თავისი სისხლ-
სავსე და უაღრესად აქტიური ცხოვ-
რებით.

1970 წელს დაამთავრა ზუგდი-
დის რაიონის სოფელ ოქტომბრის
საშუალო სკოლა. აქ მიღებულ
ქების სიგელებს ელდარი სათუთად
ენახავს როგორც მშობლიურ
სკოლაში გატარებული ტკბილმო-
საგონარი ბავშვობის უძვირფასეს
რელიკვიას.

ზოგი თავის პროფესიას რაიმე
შემთხვევასთან დაკავშირებით ირ-
ჩევს, ზოგი უფროსების უაყლენითა
და შთაგონებით, არიან ისეთებიც,

ვინც სხვათა მიბაძვით საზღვრავს თავისი ცხოვრების მომავალ გზას, მაგრამ ზოგთათვის მთავარია მოწოდება — შინაგანი სულიერი სამყაროს იდუმალი ძახილი, ქვეშეცნული ოცნება საყვარელ პროფესიაზე. ელდარ ქირიასაც ბავშვობიდანვე იტაცებდა იურისტის რთული და მეტად პასუხსაგები სპეციალობა, მაგრამ ღრმად სწამდა, რომ ჯერ საჭირო იყო ცხოვრებისეული გამოცდილება. შრომითს კოლექტივში მიღებული წრთობა. ჰოდა, მანაც არ დააყოვნა — იგი ჯერ მშობლიური კოლმეურნეობის წევრი გახდა, შემდეგ კი ენგურჰესის მშენებლობაზე გაუწია გულმა და შრომის პარალელურად 1973 წელს ფრიადზე ამთავრებს სოფელ საბერიოს 46-ე პროფტექნიკურ სასწავლებელს. ახლა კი დადგა დრო, ხორცი შეესხა თავისი ოცნებისათვის. იმავე წელს წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება.

— რას გრძნობდით მაშინ? — ვეკითხები ელდარს.

— ამის გადმოცემა შეუძლებელია, ერთს კი ვიტყვი, უბედნიერესი ვიყავი და სიხარულის ცრემლს ვერ ვიოკებდი, სხვათა შორის, ყოველი გამარჯვების შემდეგ, თუნდაც უმნიშვნელო იყოს იგი, სულ ასე მემართება.

სტუდენტობის პირველი დღეებიდანვე ხარბად დაენათა იურიდიულ ლიტერატურას, ცდილობდა შეუსწავლელი და შეუცნობელი არაფერი დარჩენოდა. მალე მის ჩათვლის წიგნაკში პირველი ფეხბედნიერი „ფრიადი“ გაჩნდა.

ელდარ ქირიას არც საზოგადოებრივი საქმიანობისათვის უქცევია

მხარი, პირიქით, აქაც პირველთა შორის იყო და მისი სტუდენტური ბიოგრაფია თანდათან ივსებოდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის ბიუროს წევრი, საშეფო სექტორის ხელმძღვანელი, სასწავლო-აღმზრდელობითი კომისიის წევრი; ხოლო 1975 წელს მასობრივ კონფერენცია-კონკურსში — „გადავაქციოთ თბილისი კომუნისტური კულტურის, შრომისა და ყოფის სანიმუშო ქალაქად“ — აქტიური მონაწილეობისათვის თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორადი, პარტიული კომიტეტი და ალკკ კომიტეტი ელდარ ქირიას აჯილდოებს სიგელითა და პირველი ხარისხის პრემიით.

ქირიების ოჯახს სოფელ ოქტომბერში ბევრი ნათელი და ბედნიერი დილა გასთენებია, მაგრამ ის ერთი ყველასაგან გამორჩეული და მარად დაუფინყარი იქნება — თბილისიდან მიღებული ოფიციალური „მადლობის ფურცელი“ იუნყებოდა: „ძვირფასო მშობლებო! თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი მადლობას გითვლით თქვენი შვილის — ელდარ კუკურის ძე ქირიას საუკეთესო სწავლის, ყოფაქცევისა და საზოგადოებრივი მუშაობისათვის“. არა მარტო მშობლები, მთელი სოფელი ხარობდა.

ელდარ ქირიამ, როგორც მომავალმა პრაქტიკოსმა იურისტმა, პირველი წარმატებული ნათლობა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, საწარმოო პრაქტიკის გავლისას მიიღო. ამაზე მეტყველებს ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს, პროკურა-

ტურისა და შინაგან საქმეთა რაიონული საგამოძიებო ქვეგანყოფილების მიერ მის სახელზე გაცემული დახასიათებები: „ე. ქირია არის დისციპლინებული, შრომისმოყვარე და იურისტის პროფესიით მეტად დაინტერესებული, რის გამოც იგი დადებითს შეფასებას იმსახურებს“; „აქტიურად მონაწილეობდა საგამოძიებო საკითხების გადაწყვეტაში, იჩენდა საქმისადმი დიდ ინტერესს, დამოუკიდებლად ასრულებდა ცალკეულ დავალებებს, გამოამყვანა თეორიული ცოდნის მაღალი დონე. პრაქტიკის მოკლე დროის მანძილზე თავისი მომზადებით, თავაზიანი ქცევით ე. ქირიამ ქვეგანყოფილების თანამშრომელთა პატივისცემა დაიმსახურა“; „ე. ქირიამ პირველი დღიდანვე გამოამყვანა საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება და პროფესიის სიყვარული. იგი უქმე დღეებშიც კი, პირადი სურვილით, ცხადდებოდა პროკურატურაში და აქტიურად მონაწილეობდა საგამოძიებო პროცესში. ეცნობოდა წარმობაში არსებულ საქმეებს და გამოთქვამდა შინაარსიან, საინტერესო და საყურადღებო მოსაზრებებს“.

და აი, დადგა უნივერსიტეტთან გამოთხოვების დღეც...

— სიმართლე უნდა გითხრათ, გული მწყდებოდა, უნივერსიტეტი ხომ სისხლხორცეულად შევიყვარე, უმისოდ ცხოვრება ვერც წარმომედგინა. მაგრამ ამ განცდას ნაწილობრივ ის მიჩნელებდა, რომ თითქოს ესტაფეტა გადავეციო. სწორედ იმ წელს ჩემი უმცროსი ძმა ჩაირიცხა იურიდიულ ფაკულტეტზე.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის კადრების მიმართ ვით ახალბედა იურისტი ქუთაისის

პროკურატურაში მიდის სამუშაოდ.

— თავდაპირველად შევცბი, შიშმა შემიპყრო, ნუთუ შევძლებმეთქი. სხვა გარემო, სხვა ხალხი, ერთი კარგი ნაცნობიც კი არ მყავდა ქუთაისში, მაგრამ ქალაქის პროკურორი იაკობ მახარაძე მამაშვილურად ამომიდეგა მხარში, არც სხვების ყურადღება დამკლებია და მეც მალე დამიბრუნდა რწმენა საქუთარი თავისადმი.

საატესტაციო სტაჟირების პერიოდში ელდარ ქირიამ გამოიძია და დაასრულა 31 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის რამდენიმე განზრახ მკვლელობის, გაუპატიურების, ბოროტი ხულიგნობის, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების და სხვ. უნივერსიტეტში მიღებული ღრმა თეორიული ცოდნა უნარიანად შეახამა პრაქტიკულ საქმიანობას. ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის პროკურორმა რ. ლალიძემ სტაჟირების დამთავრების შემდეგ ასეთი ატესტაცია მისცა ელდარ ქირიას: „ინიციატივიანია, გამოირჩევა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. მან წარმატებით შეასრულა სტაჟირებისათვის გათვალისწინებული პროგრამა და სრულყოფილად აითვისა საპროცესო და საგამოძიებო ტექნიკა და მეთოდოლოგია. დისციპლინებული, შრომისმოყვარე, ენერგიული მუშაკია. განსაკუთრებულად უყვარს პროფესია, აღაშინებთან ურთიერთობაში მეტად კულტურული. თავაზიანი და გულსხმიერია: თანამშრომელთა შორის კარგი ავტორიტეტი აქვს“.

ე. ქირიას სტაჟირების პერიოდში ქ. ქუთაისში მძიმე დანაშაული მოხდა. მოქალაქე დ. ყ.-მ თავის საცხოვრებელ ბინაში შეიტყუა 18

წლის ქალიშვილი ლ. ტ. და ფიზიკური ძალადობის გამოყენებით შეეცადა მის გაუპატიურებას. მაგრამ ქალიშვილი ხელიდან გაუსხლტა და აივნებიდან გადახტა. იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ამ საზარელი დანაშაულის გამოძიება ახალბედა გამომძიებელს მიანდევს.

-- ამ საქმის გამოძიების პერიოდში, — ამბობს ე. ქირია, — ლემეებს თეთრად ვათენებდი, ვცდილობდი სულ უმნიშვნელო ნიუანსიც არ გამომპარვოდა. დაზარალებულის მშობლები, ახლობლები კი პირდაპირ შეტევაზე გადმოდიდნენ, კაბინეტში მიცვივდებოდნენ და ილანძლებოდნენ. ყველაფერს უდრტივინველად ვითმენდი, ერთხელაც არ დამიკარგავს წონასწორობა. ვამშვიდებდი, ვარწმუნებდი, რომ გამოძიება ობიექტურად ტარდებოდა. აბა, რა იცოდნენ მათ, რომ დაზარალებულის გვამის გაკვეთის დროს საკუთარ თავს მტკიცე ფიცი მივეცი — მთელი ჩემი საგამომძიებო მუშაობის მანძილზე ვყოფილიყავი მხოლოდ და მხოლოდ სიმართლის მსახური.

ყურადღებით ვუსმენდი ელდარ ქირიას და მჯეროდა მისი, მჯეროდა, რომ იგი ამ ფიცს არასოდეს უღალატებდა.

— გამომძიებლის პროფესიის სპეციფიკა ისეთია, რომ იგი ყოველდღიურ კონტაქტშია დანაშავეთა სამყაროსთან. რეციდივისტებთან, კაცისმკვლელებთან, თავზეხელაღებულებთან ხშირმა შეხვედ-

რამ, თუ ნერვები მაქსიმალურად არ დაძაბე, მორალური სიმტკიცე არ შეინარჩუნე, შეიძლება კაცთმოდულე, ყველაფრისადმი ინდიფერენტული გაგხადოს. მე ვფიქრობ, რომ ნამდვილი გამომძიებელი ის არის, ვისაც დანაშაული, მისი წარმომშობი მიზეზები სძულს, და არა თვით დამნაშავე — ადამიანი. ემოციური სულის, მხურვალე გულის გარეშე, გამომძიებელი არ მწამს. — აი, ასე მსჯელობს ახალგაზრდა გამომძიებელი.

ადამიანი დამნაშავედ როდი იბადება — საჭიროა მისი სწორად აღზრდა და ცხოვრების ჭეშმარიტ გზაზე დაყენება. — ასეთია ელდარ ქირიას საგამომძიებო საქმიანობის კრედი.

საქმე ე. ქირიამ უზადოდ გამოიძია, დამნაშავემ ბოლოს და ბოლოს გულწრფელად აღიარა დანაშაული. ხოლო დაზარალებულის ჭირისუფალნი პროკურატურაში ახლა უკვე მოსანანიებლად და ბოდიშის მოსახდელად მოდიოდნენ, ელდარი კი ალალი ღიმილით ეგებებოდა მათ.

მრავალი ასეთი საქმე გამოუძიებია ელდარ ქირიას გამჭრიახ, ანალიზურ აზროვნებას, იგი მუდამ ძიებაშია, დროის ფასიც კარგად იცის და ამიტომ წუთს არ კარგავს უქმად. იკვლევს, აზუსტებს, აჯერებს, და ასეა ყოველდღე, რადგან ღრმად სწამს, რომ ესაა ერთადერთი გზა ჭეშმარიტების დადგენისაკენ...

გალა ბერძენიშვილი.





მასწავლებლის გახსენება

მ. გამყრალ'იძე

პროფესორი თინათინ წერეთელი, როგორც მეცნიერი, სიცოცხლეშივე იყო საყოველთაოდ აღიარებული. მისმა მეცნიერულმა შემოქმედებამ ფართო აღიარება პოვა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. ამ წერილში მინდა ზოგი რამ გავიხსენო განსვენებული პროფესორის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან. რაც მეცნიერისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წმინდა კვლევითი საქმიანობა.

თინათინ წერეთელი პირადად 1963 წლის გაზაფხულზე გავიცანი. მაშინ თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ვიყავი. ქალბატონი თინათინი ამ დროს უკვე სახელმწიფოებრივი მეცნიერი იყო და, ცხადია, სტუდენტთა შორისაც სიკვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. მაშინ იგი, ძირითადად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა, იურადიულ ფაკულტეტზე კი მხოლოდ სპეცკურსს — დანაშაულის მოძღვრებას — კითხულობდა. მეხუთეკურსელები მოუთმენლად ველოდით ეგზომ განთქმული მეცნიერის აუდიტორიაში შემოსვლას. მაგრამ მოულოდნელად შევიტყვეთ, რომ სასწავლო გეგმის შეცვლის გამო იგი ჩვენს კურსზე ლექციებს აღარ წაიკითხავდა. ამ ცნობამ შეტიმბეტად დაგვაღონა და აღარ ვიციოდით, რა გვექნა. ბოლოს გამოსავალი მაინც მოიხანა. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემმა მეგობარმა მინდია უგრეხელიძემ მირჩია, ქალბატონი თინათინი ლექციებს მომდევნო კურსს უტარებს და იქ დავესწროთო. გადავწყვიტეთ შესაძლებლობა ხელიდან არ გავგეშვა და დანიშნულ დროს დათქმულ აუდიტორიას მივაშურეთ.

ქალბატონი თინათინი მანამდე არასოდეს მენახა. ამიტომ მე იგი რატომღაც ყოველგვარ ქალღურობას მოკლებულ, უფრო მამაკაცური გამომეტყველების ადამიანად მუყავდა წარმოდგენილი. ჩემი შეხედულებით, იურისტი ქალი, ისიც მეცნიერი, საქართველოში რომ სამართლებრივი აზრის მეთაურად იყო აღიარებული, დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო გარეგნულად. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა აუდიტორიაში შემოვიდა მოხდენილი გარეგნობის მანდილოსანი, რომელიც ქალური მომხიბვლელობის სრული განსახიერება აღმოჩნდა. სამოც წელს მიღწეულს უკვე კალარაც შერეოდა, რაც მის სახეს უფრო დარბაისლურ იერს ანიჭებდა. საშუალოზე მაღალი იყო და კიდევ კარგად შერჩენოდა სპორტული აღნაგობა. ახალგაზრდობაში თინათინ წერეთელი შესანიშნავი ტანმოვარჯიშე ყოფილა და სკოლაშიც ასწავლიდა თურმე ტანვარჯიშს. მას ლამაზი და მეტად პროპორციული სახის ნაკვთები ჰქონდა, ხოლო საოცრად მეტყველი თვალებიდან მხოლოდ სიკეთე და სითბო იღვრებოდა. მისი ეს თვისება არ შეიძლება მნახველს მაშინვე თვალში არ სცემოდა. ამ რამოდენიმე წლის წინათ ცნობილი პოლონელი მეცნიერი ი. ანდრეევი უფრონად „პანსტოვ ი პრავოს“ ფურცლებზე წერდა: „თ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ცნობრებაშიც. მათი კეთილშობილებით აღსავსე, ელვგანტური სილუეტი ამშვენებდა სისხლის სამართლის მეათე საერთაშორისო კონგრესს რომში (1969), მეთერთმეტე კონგრესს ბუდაპეშტში (1974)“. მიუხედავად ყოველივე ამისა, ერთი შეხედვითაც ადვილად შეიძინებოდა, რომ იგი მტკიცე ხასიათის და ძლიერი ნებისყოფის ადამიანი იყო.

პირველი ლექცია დანაშაულის ცნებას შეეხებოდა და უჩვეულოდ საინტერესო გამოდგა. ლექციიდან აშკარად ჩანდა პროფესორის დიდი ინტელექტი და მისი ევროპული განსწავლულობა. მასსოც, რამდენიმე ლექციის შემდეგ ქალბატონმა თინათინმა პრაქტიკული მეცადინეობა ჩაგვიტარა. გამოაცა მისმა უშუალოდამ და ახალგაზრდებისადმი გულისხმიერმა დამოკიდებულებამ. პრაქტიკულ მეცადინეობას იგი თავისებურად და საინტერესოდ ატარებდა. დავისვამდა კითხვას და გვეტყუოდა: ვინ უპასუხებსო! როცა პასუხს გავცემდით, მუსივე შეგაგებებდა, დამისაბუთეთო! უნდა გამოვტყუდე, პასუხს სწრაფად წამოვიხსროდიო. მაგრამ დასაბუთებას მაინცდამაინც მიჩვეული არ ვიყავით და ამის გამო ძლიერ გვიჭირდა. როგორც შეზღუდვში შევიტყვე, ამ მეთოდით იგი სტუდენტობას ლოგიკური აზროვნების უნარს უფითარებდა და ამავე დროს ამოწმებდა მათს შესაძლებლობებს, რათა ნიჭიერი ახალგაზრდობა შეერჩია: მომავალი სამეცნიერო მუშაობისათვის. ამ ხერხით მან არერთი უნარიანი ახალგაზრდა გამოავლინა და ბევრ მათგანს გაუყვალა გზა სამეცნიერო სარბიელზე.

მრავალ კარგ თვისებასთან ერთად, ქალბატონ თინათინს იშვიათი პრინციპულობა და პირ-
დაპირი ახასიათებდა. ამავე დროს იგი საკუთარი თავის მძმარაჯ დიდად მომთხოვნი იყო.
ასე რომ, თუ საჭირო გახდებოდა, საკუთარი შეცდომის საჭაროდ აღიარებასაც არ ერიდებოდა.
როგორც მასსოვს, 1968 წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტის პირველ კორპუსში უფროსი „საბ-
ჭოთა სამართლის“ მკითხველთა კონფერენცია გაიმართა. უფროსის წინა წლის ნომრების გან-
ხილვა რომ დაიწყო, ტრიბუნაზე ასულმა ერთმა პროფესორმა ავღებულად განაცხადა, უფრო-
სის ფურცლებზე ვიდაც ადვოკატებს სტატიებს უბეჭდავენო. საქმე ის გახლდათ, რომ „საბ-
ჭოთა სამართალი“ იმ წელიწადს მართლა გამოაქვეყნა ერთი ადვოკატის წერილი, რომელშიც
იმ პროფესორის უმართებულო და მცდარი მოსაზრება დამაჯერებლად იყო გაკრიტიკებული.
ამ სტუციების გაგონებისთანავე ქალბატონმა თინათინმა, რომელიც სხდომის პრეზიდიუმში
ინსუფერბოდა, აღშფოთება ვერ დაფარა, უეცრად წამოიწია ადგილიდან და ორატორს მოულოდ-
ნელად ესროლა რეპლიკა: როგორ, ადვოკატს არა აქვს უფლება გამოთქვას თავისი მოსაზრე-
ბა!.. თქვენი წერილი მე მქონდა რედაქციისაგან დასკვნისათვის გამოგზავნილი. გულახდილად
ვღიარებ, ვერ შევინწყე თქვენს მიერ დაშვებული შეცდომა, რაზეც სწორად და დროულად
გაამახვილა უფრადლება იმ ადვოკატმა!..

ამ სიტუცებმა ჩვენზე, იქ დამსწრე სტუდენტ ახალგაზრდობაზე, დიდი მორალური გავლენა
მოახდინა და აღბათ. ამიტომაც არის, რომ ახლაც, თვრამეტი წლის გასვლის შემდეგაც, ისე
მკაფიოდ ჩამსმის ყურში ქალბატონ თინათინის ხმა, თითქოს ყოველივე ეს გუშინ მომხდა-
რიყოს.


თინათინ წერეთელი, როგორც სწავლული იურისტი, მაღალი პროფესიონალიზმით გამო-
ირჩეოდა. ეს ბუნებრივიც არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ მან ახალგაზრდობაში სამართ-
ლის, კერძოდ კი, სისხლის სამართლის ჩინებული სკოლა გაიარა გამოჩენილი იურისტის პრო-
ფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით. იურისტის მაღალი პროფესიონალიზ-
მი, დახვეწილი სამართლებრივი კულტურა იგრძნობოდა ქალბატონ თინათინის არა მარტო მეც-
ნიერულ შრომებში, არამედ საჭარო გამოსვლებსა და პირად ურთიერთობებშიც კი.

ამ ათიოდე წლის წინათ ერთი საკმაოდ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის მოწ-
მენი გავხდით. საზოგადოებრიობა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით ბრალდებულის უსას-
ტიკეს დასჯას მოითხოვდა. ინტელიგენციის ერთ ჯგუფს საგანგებო წერილიც კი შეეღვინა,
სადაც მოცემული იყო ჩადენილი მოქმედების იურიდიული კვალიფიკაცია და სასჯელის ზომად
დახვრეტა განესაზღვრათ. წერილს კარდაკარ დაატარებდნენ ხელმოსაწერად. ხელმოსწერთა
სიაში, სხვა ცნობილ პირთა გვერდით, ქალბატონი თინათინის გვარიც შეეტანათ. კარგად მან-
სოვს. როგორი აღელვებით გვიამბობდა იგი ამ წერილის ამბავს: (წოდესაც კარი გავაღე და
შევიტყვე, რაც უნდოდათ ჩემგან, მაშინვე განვუცხადე წერილის მომტანს, რომ უფლება არა
მაქვს დასტური მივცე კაცის დახვრეტის მოთხოვნას, მით უმეტეს, როცა საქმე სასამართლო-
შია და ჯერ კიდევ განაჩენი გამოტანილი არ არის. ეს მოახდენს ზეგავლენას სასამართლოზე,
რასაც შეიძლება კანონიერების დარღვევა მოჰყვეს. მოსულს სახეზე აშკარა განცვიფრება გა-
მოესხატა. ეტყობა, იურისტისაგან ამგვარ პასუხს არ მოელოდა. მაშინ მე იგი შინ შემოვიპატი-
ე, სავარძელში ჩავსვი და მთელი ნახევარი საათის განმავლობაში გულმოდგინედ ვუხსნიდი,
თუ რატომ არ შემეძლო ხელი მომეწერა ხსენებულ დოკუმენტზე. საბოლოოდ ჩემი სტუმარი
წავიდა იმ განწყობილებით, რომ მე ერთი ახირებული ადამიანი ვყოფილვარ, რომელსაც რაღაც
ფანტაზიები მაწვალებდა.

თინათინ წერეთელი, როგორც ბუნებით დემოკრატი და ჰუმანური ადამიანი, სხვისი პი-
როვნული ღირსების შელახვას მიუტყებელ ცოდვად თვლიდა და მიაჩნდა, რომ ადამიანს
ყოველგვარ სიტუაციაში ესაჭიროება თბილი და სათუთი მოპურობა. საქმარისა გავხსენოთ
სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტისათვის მიცემული
ინტერვიუ, სადაც იგი ამბობს: „მაშინაც კი, როცა გამოძიებული დანაშაულს იკვლევს, ან მო-
სამართლე ბოროტმოქმედს სასჯელს ადებს, იგი უნდა გრძნობდეს, რომ მის წინაშე ადამიანია,
და რომ ამ ადამიანს ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება, სიბო და სიყვარული“².

სიცოცხლის ბოლო წლებში ქალბატონ თინათინს თანდათან მიერია ავადმყოფობა. ჩვეუ-
ლებრივზე უფრო მეტად გახდა და სახეზეც სიყვითლემ გადაჰკრა. ეტყობოდა მომქამცველმა
შრომამ და საზოგადოებრივმა საქმიანობამ, რაც ხშირად დიდ ნერვულ დამახულობასთან იყო

² გაზეთი „კომუნისტი“, 1980 წ. № 8.



დაკავშირებული, მაინც თავისი ქნა. მიუხედავად ამისა, იგი სიკვდილამდე თითქმის არ გამოთიშვია მჩქეფარე შემოქმედების მუშაობას.

უკანასკნელ ხანებში თინათინ წერეთელი უურნალ „პრავოვედენიეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრად აირჩიეს, საიდანაც უამრავი მასალა მოხდილია სარეცენზიოდ ამ მასალების რეცენზირებას იგი დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა. მართალია, სამეცნიერო მუშაობით ძალზე გადატვირთული იყო და ავადმყოფობასაც თანდათანობით თავისი გაჰქონდა. ქალბატონი თინათინი საკუთარ მოწოდებას მაინც არ დალატობდა და იშვიათი კეთილსინდისიერებით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. აი, რას ამბობს ამის თაობაზე „პრავოვედენიეს“ პასუხისმგებელი მდივანი გ. პანოვა თინათინ წერეთლის მეუღლის ვ. მაყაშვილისადმი გამოგზავნილ ოფიციალურ წერილში: „თუმცა თანამშრომლობა ცოტა ხანს გაგრძელდა, მან მაინც დრმა კვალი დატოვა უურნალის მუშაობაში. თინათინ ვასილის ასულის რეცენზიებიც უოველმხრივ სანიმუშო იყო რედაქციის თანამშრომელთათვის. იგი ერთნაირი კეთილმოსურნეობითა და ობიექტურობით აფასებდა მასალებს განურჩევლად იმისა, თუ ვის მიერ იყო ისინი დაწერილი — წამყვანი მეცნიერის თუ დამწყები ასპირანტის მიერ. მუშაობაში თინათინ ვასილის ასულს უოველთვის ახასიათებდა ოპერატულობა, დაკისრებული საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, მაღალი მეცნიერული დონე“.

თინათინ წერეთელი, რასაკვირველია, კარგად გრძნობდა, რომ უჭურნებელი სენით იყო დაავადებული და დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა, მაგრამ სულით მაინც არ დაცემულა და სიცოცხლის ხალისი არ დაუპარავს. მოახლოებულ სიკვდილს ის ვუჟაკურად ებრძოდა და ცდილობდა კალამი ხელიდან არ გაეგდო. სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე მან დაწერა და „პრავოვედენიეს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ძალზე საუბრადებო ნაშრომი, რომელიც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს შეეხებოდა და პრობლემის ახლებურად გადაწყვეტის ცდას წარმოადგენდა. განზრახული ჰქონდა დაეწერა მეორე წერილიც, რომლის დასრულება, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა.

თუმცა თინათინ წერეთელი სამსახურშიც დადიოდა და მუშაობასაც არ წყვეტდა, მოახლოებული კატასტროფა მაინც უკვე იგრძნობდა. სწორედ იმ ხანებში აკადემიის გამომცემლობა მისი თანავტორობით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარს ბეჭდავდა. ვინაიდან ამ წიგნს მე ვრედაქტორობდი, თითქმის უოველდღიურად მიხდებოდა თინათინ წერეთელთან შინ ყოფნა, სადაც მე და მისი მეუღლე ვლადიმერ მაყაშვილი დიდიდან გვიან დამემდე წიგნის ბოლო კორექტურას ვკითხულობდით და უოველ დეტალს, რომელიც კი საეჭვოდ მოგვეჩვენებოდა, ერთხელ კიდევ დაკვირვებით ვამოწმებდით. ქალბატონ თინათინს შეგნებულად არ ვტვირთავდით. იგი ცალკე ოთახში იჯდა და შეძლებისდაგვარად თავის სამუშაოს უძღვებოდა. მხოლოდ დროდადრო, როცა რაიმე დაგვიკრებოდა, შევეხმიანებოდით ხოლმე და ისიც პასუხს არ დაუყოვნებდა.

შესვენების დროს ქალბატონი თინათინი თავისი სამუშაო ოთახიდან გამოვიდოდა და ჩვეულებისამებრ გაშლიდა სუფრას, რომლის გარშემო საინტერესო საუბარიც გაიმართებოდა ხოლმე. უველაზე პირველი, რაც ადამიანის პიროვნების შეფასებისას უნდა მივიღოთ მხედველობაში, — მომართა მან ერთი ასეთი საუბრის დროს, — ის არის, თუ რა დამოკიდებულება აქვს მას ეროვნულ საკითხთან. ვისაც თავისი ერი არ უყვარს, ის ადამიანდაც არ ვარგა და არავითარ საქმეში არ გამოდგება.

ამ საუბრის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია. რამდენიმე დღეში ძლიერი ტკივილები დაეწყო. იმავე დღეს საავადმყოფოში გადავიყვანეთ, სადაც მოვლა-პატრონობას არ აკლებდნენ. უკანასკნელად ქალბატონი თინათინი ხუთშაბათ დღეს ვინახულე. როგორც კი თვალი მომერა, მყისვე წიგნის ამბავი მკითხა, ეს ზეში უკანასკნელი წიგნია და მომისწრებს თუ არაო. მე შეძლებისდაგვარად დავამშვიდე და აღუთქვი, რომ წიგნს მალე მივუტანდი. საავადმყოფოდან პირდაპირ გამომცემლობას მივაშურე. იქ ეს ამბავი უკვე გაეგოთ და შემპირდნენ, რომ სასაგნალო ცალს ორშაბათს გამატანდნენ. მაგრამ ორშაბათამდე მას სიცოცხლე აღარ ეწერა, კვირას დილის ცხრა საათზე გარდაიცვალა.

წელიწადი შესრულდა თინათინ წერეთლის გარდაცვალებიდან. ერთი წელია, რაც იგი ჩვენ შორის აღარ არის, შესანიშნავი მოქალაქე და მეცნიერი, ვინც ესოდენ დრმა კვალი დააჩნია ჩართული სამართლებრივი აზრის განვითარების საქმეს.



ინჟინერია

სსკ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები და იურიდიული სამსახურის კომისიები

თანამედროვე ეტაპზე უოველდღიურად იზრდება იურიდიული სამსახურის როლი სახალხო მეურნეობაში. იურისტები მოვლენი არიან იზრუნონ სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის. შტიციე ბრძოლა გამოუცხადონ უყარათობას, ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკებთან ერთად მიადწიონ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ეკონომიკური მაჩვენებლებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. ახლა, როდესაც მკვეთრად იზრდება ხელშეკრულების როლი და მატულობს პასუხისმგებლობა მისი დარღვევისათვის, საპრეტენზიო-სახელშეკრულებო მუშაობის სწორად წარმართვა წარმოუდგენელია უიურისტისკონსულტორად. ამხთან ერთად მათ უნდა გააუმჯობესონ საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა.

ამის თაობაზე იყო ლაპარაკი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში მ. წ. 24 ივნისს გამართულ თათბირზე, რომელმაც განიხილა საკითხი: იურიდიული სამსახურის ამოცანები სსკ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

თათბირს ესწრებოდნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ობიექტების იურიდიული სამსახურების უფროსები, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების იურიდიული განყოფილების გამგეები, ქ. თბილისში მომუშავე იურისტკონსულტები, სახელმწიფო არბიტრაჟის პასუხისმგებელი მუშაკები.


შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ბ. აბესაძემ. მან აღნიშნა, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში საზოგადოებრივმა პროგრესმა თავისი კორექტივები შეიტანა ადამიანთა ეკონომიკურ, სოციალურ და სულთერ ცხოვრებაში. ეს შეეხო სამართალმცველი ორგანოების საქმიანობასაც. სსკ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე გამოიკვეთა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების ძირეულ პრობლემათა წრე, რომელთა რეალიზაცია აღმინისტრაციული ორგანოების საბრძოლო ამოცანაა. ყრილობის გადაწყვეტილებებმა ახალი პასუხისაგები ამოცანები დაუსახა სახალხო მეურნეობაში მომუშავე იურისტებსაც.

მოხსენებით სსკ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მომუშავე იურისტების ამოცანების შესახებ გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი თ. საბნიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ იურისტებმა თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სახალხო მეურნეობის განვითარების იმ პროგრამის შესასრულებლად, რომელიც სსკ XXVI ყრილობამ დაამტკიცა. ეს პროგრამა კანონია, ჭანონი კი უნდა შესრულდეს.

სსკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა: „კარგი კანონები ჩვენ საქმოდ გვაქვს მიღებული. ახლა საქმე უწინარეს უოვლისა ის არის, რომ მათ ზუსტად და განუზრგად ვახორციელებდეთ. უოველი კანონი ზომ მამინ ცოცხლობს. როცა იგი სრულდება, სრულდება უველას მიერ და უველგან“. სახალხო მეურნეობაში მომუშავე იურისტები მოვალეა არა მარტო თვითონ ასრულებდეს კანონს, არამედ უველაფერი იღონოს, რათა ჭანონის მოთხოვნა ზუსტად დაიცავს უველამ. იგი უნდა დაეხმაროს თანამდებობის პირებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

მომხსენებელმა თქვა, რომ რესპუბლიკის იურიდიული სამსახურის ავტორიტეტი ბოლო ხანს ამაღლდა, გაიზარდა მისი როლი, იურისტი სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის ეფექტიანობაზე. კარგად ართმევე თავს დაკისრებულ მოვალეობას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის, „საქსანსოფლტექნიკის“, „ცეკავშირის“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საწარმოო გაერთიანება „ბორჯომისა“ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის იურიდიული სამსახურები. იურისტკონსულტების დახმარებით აქ მოწესრიგდა საუწყებო ნორმატიული აქტები.

ამასთან ერთად მოხსენებაში დიდი ადგილი დეთმო ჩერ კიდევ არსებულ გადაუჭრელ პრობლემებს.



ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებებს დღემდე არ შეუქმნია იურიდიული განყოფილებები. სახალხო მეურნეობის მრავალ ობიექტს არ გააჩნია იურიდიული მომსახურება. სათანადოდ არ არის გამოყენებული ქალაქებისა და რაიონების იურიდიული კონსულტაციების მომსახურება სახელმწიქრულებო საწყისებზე.

სამართლებრივი საშუალებები ჯერ კიდევ სრულად ვერ გამოიყენება სახელმწიფო ქონების დაცვის, სახელმწიქრულებო ვალდებულებათა დროული და ზუსტი შესრულების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. იურისკონსულტები ნაკლებად ზრუნავენ შრომითი უფლებრივი ურთიერთობის მოსაწყისრიგებლად, აქტიურად ვერ ეხმარებიან პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებს, ამხანაგურ სასამართლოებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ბევრი ნაკლოვანებებია აგრეთვე იურისტთა კადრების მომზადების საქმეში. ჯერჯერობდა არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 თებერვლის № 78 დადგენილება „იმი თანამდებობათა ნომენკლატურის გაფართოების შესახებ, რომლებიც უნდა ეკავოთ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირებს“. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იურისკონსულტთა წახალისებისა და დაწინაურების საქმეს. მომხსენებელმა ილპარაკა იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების საქმიანობაზე ქვემოთაა რომ საპირობა მან გაააქტიუროს მეთოდოლოგიური სტრუქტურისა და რაობის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულმა იურისტებმა თავისი წვლილი შეიტანონ პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არხიტექტურის მთავარმა არხიტრმა ვ. მბინსპრამმა, რომელმაც ილპარაკა სახელმწიქრულებო-საპრეტენზიო მუშაობის სწორად წარმართვაში იურიდიული სამსახურის ამოცანების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საარხიტრო დავათა შესამცირებლად უნდა აღიკვეთოს კონტრაგენტთა „ამინისტრირების“ ფაქტები. იურიდიული სამსახური მოვალეა არა მარტო დროულად მოახდინოს რეაგირება სახელმწიქრულებო ვალდებულებათა დარღვევაზე, არამედ წინასწარი პროფილაქტიკური ღონისძიებებით აღმოფხვრას ასეთ დავათა მიზეზები.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო სა-

ხალხო მეურნეობისათვის იურისტთა კადრების მომზადების საკითხს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა რ. შინგელიამ აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე სპეციალიზაციის გაუქმების ერთ-ერთი მიზეზი იყო უწყისრიგობა მომზადებული კადრის დასაქმებაში. ამჟამად IV და V კურსებზე შემოდებულია გამსხვილებული სპეცურსები, რომლებშიც გაერთიანებულია სპეციალიზაციისათვის აუცილებელი ცალკეული სპეცურსებით გათვალისწინებული საკითხები. ამგვარად, ერთი სპეციალობის შინგით ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა პროფილირება. ამიტომ მიზანშეწონილია მომავალში მეორე სპეციალობის — სამეურნეო სამართლებრივის შემოღება, მით უმეტეს რომ ამის კარგი გამოცდილება კავშირის მამასტაბით უკვე არის. ეს ზედს შეუწყობდა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგებისათვის იურისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

საქართველოს სსრ პროკურორის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა ლ. ქუთაბაძემ აღნიშნა, რომ პროკურატურის მუშაობის პრაქტიკა სახალხო მეურნეობის ობიექტებზე ვგვიჩვენებს, რომ დღეს იურისტი წარმოებაში აუცილებელი პირი გახდა. მას ეთათბირებიან, ეკითხებიან, რჩევას თხოვენ, ანგარიშს უწყვენ მის აზრს. ეს უპირველესად იუსტიციის სამინისტროს დაძაბული, დიდი ორგანიზატორული, მიზანდასახული და მრავალმხრივი მუშაობის ლოგიკური შედეგია. თუმცა ჯერ კიდევ ვხვდებით სტრუქტურულ პრობლემებს, რომლებიც სამართლებრივი ხასიათის ბრძანებებს და სხვა ნორმატიულ აქტებს გამოსცემენ იურისტების ვიზის გარეშე, რაც, საბოლოო ანგარიშით, ზიანს აყენებს სამართლებრივ მუშაობას.

თათბირის მონაწილეებს თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობისა და „ეკავშირის“ იურიდიული განყოფილებების უფროსებმა პ. მებუაძემ და ი. იაშვილმა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ პ. აბნასძემ, რომელმაც თქვა, რომ იუსტიციის სამინისტრო ძალახა და ენერგიას არ დაიშურებს, სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იურისტების მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის, საპირო მეთოდოლოგიის დახმარების გაწევისათვის იმ დაბრკოლებათა დასაძლევად, რომლებსაც იურისკონსულტები ჯერ კიდევ აწყუდებიან თავიანთ რთულ და საპრობლემო საქმიანობაში.



სისხლის სამართლის კრიმინალურ საქმეებზე სამართლებრივი სხდომა დ. რიახანაშვილი

1981 წლის 19-20 მაისს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს რიახანის უმაღლესი სკოლის შენობაში (ბაზაზე) გაიმართა სისხლის სამართლის პრობლემათა საკოორდინაციო ბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელმაც შეაჯამა საბჭოთა კრიმინალისტიკის მუშაობა განვლილი ხუთწლიდის მანძილზე და შეიმუშავა კვლევა-ძიების შემდგომი მიმართულებანი სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ დადგენილებათა შესაბამისად. სხდომას უძღვებოდა საკოორდინაციო ბიუროს თავმჯდომარე პროფ. ბ. ანაშკინი, რომელმაც გახსნა და შეაჯამა იგი. მანვე წარმოადგინა ვრცელი მოხსენება — „სკკპ XXVI ყრილობა და სისხლის სამართლის მეცნიერების ამოცანები“.

სისხლის სამართლის კარდინალურ პრობლემებზე მოხსენებები წაითხნეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ვ. პულერაშვილმა, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ი. პარპაძემ, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის სოციოლოგიისა და თეორიის სექტორის გამგემ პროფ. პ. იაკოვლევამ, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნ. კუნცოვამ, სარატოვის იურიდიული ინსტიტუტის სისხლის სამართლის კათედრის გამგემ პროფ. ი. ნიმი, ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგემ პროფ. ბაბრი-შხმატაძემ, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის სისხლის სამართლის სექტორის ხელმძღვანელმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ა. სმელტოვამ, პროფ. ი. ბალპარინმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატებმა ბ. პრინარმა, ვ. კლ. ბანმა, ე. კობეგალიძემ და სხვებმა. მათს მოხსენებებში სამართალშემოქმედებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის უზოგადეს ასპექტებს დაეთმო ძირითადი ყურადღება.


დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს რიახანის უმაღ-

ლესი სკოლის წარმომადგენლების პროფ. მკურტოვიას და დოც. ელენსკის მოხსენებებმა. პირველი შეეხებოდა სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებს, ხოლო მეორე — ე. წ. „პოლიტიური პასუხისმგებლობის“ ცნებას. ქართველი კრიმინალისტიკის მხრივ მოხსენეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის მინდია უბრაშელიძის მოხსენება „ობიექტური და სუბიექტური მომენტების გავალისწინება სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის“.

მეცნიერული დისკუსიის დროს, რომელიც ერთობ საინტერესო და კონსტრუქციული გამოდგა, ნათლად გამოიკვეთა ის სტრატეგიული მიმართულება, რომლითაც საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერება უნდა განვითარდეს. ამის შესაბამისად შემუშავდა 1981-1985 წლებში სისხლისსამართლებრივ გამოკვლევათა ძირითადი მიმართულებებისა და აქტუალური პრობლემების რეკომენდაციათა პროექტი, რომელიც სხდომას გააცნო დოც. ჯ. ხან-მაგომეძემ. იგი მოიწონეს და გადაწყდა, რომ სათანადო სარედაქციო დამუშავების შემდეგ, ტიპოგრაფიული წესით გამრავლებული, დაეგზავნება იურიდიული პროფილის ყველა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებას. საკოორდინაციო ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ დაადგინა აგრეთვე წაკითხულ მოხსენებათა ტექსტების ცალკე კრებულად გამოცემა.

რიახანელმა მასპინძლებმა სტუმრებს გააცნეს ადგილობრივ მშრომელთა მიღწევები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგში, დაათვალიერებინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს რიახანის უმაღლესი სკოლის სანიმუშოდ აღჭურვილი კაბინეტები და ლაბორატორიები.

ღონისძიებების მონაწილეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა კონსტანტინოვმა, სადაც ისინი ეწვივნენ სერგეი ესენინის სახლ-მუზეუმს და ახლოს გაეცნენ დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამაღლებებელ ეპიზოდებს.



საპარტოლო მოღვაწეობის სახალხო უნივერსიტეტი მოქალაქე

მერვე წელია, რაც ლენინის რაიონის აღმასკომთან შექმნილია საპარტოლო მოღვაწეობის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანებულია 200-მდე მსმენელი.

1980-1981 სასწავლო წელს სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებისათვის ბევრი საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიება გაიმართა: წაიკითხეს ლექციები თემებზე: სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტის შესახებ, ვ. ი. ლენინი სოციალისტური კანონიერების შესახებ; სსრ კავშირის კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობა; სოციალიზმი და პიროვნების უფლებები; ალკოჰოლი და დანაშაული; სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცება თითოეული ჩვენგანის მოვალეობა; რა უნდა ვიცოდეთ შრომის კანონმდებლობის შესახებ; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 მაისის ბრძანებულება — სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ; არასრულწლოვანთა დამნაშავეობა და ა. შ. სახალხო უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხეს აღმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელმა მუშაკებმა და სწავლულმა იურისტებმა, აქ ლექციები წაიკითხეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა ვ. შაღდურმა და ს. პაპსაძემ, იუსტიციის მინისტრის მოადგილეებმა ზ. რბიანიამ და ა. აბასაძემ, იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსმა გ. ლილუაშვილმა, პროფესორებმა ნ. შერათელმა, ვ. აბაშიძემ, ა. ფალიაშვილმა, მეცნიერებთა კანდიდატმა რ. ციციუაშვილმა, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსმა პ. ნარმანიამ და სხვებმა. მოეწყო შეხვედრები მწერლებთან გურამ ფანჯიკიძესთან, გიორგი ხუბაშვილთან, გურამ ბათიაშვილთან, იორამ ჩაუშენელთან და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესო იყო სახალხო უნივერსიტეტის ღია კარის დღე, რომელმაც

მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მრგვალ მაგიდასთან მსმენელებს შეხვედნენ და ესაუბრნენ რაიონის პროკურორი გურამ პაპსაძემ, სასამართლოს თავმჯდომარე ოტარ ლლონტი და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე კორნელი შუბაძემ, მათ მსმენელებს მოუთხრეს, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ რაიონში სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში ის სამსახურები, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ. საუბარში მონაწილეობდა ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მდივანი ე. ლელაშვილი.


ახლახან გაიმართა საპარტოლო მოღვაწეობის სახალხო უნივერსიტეტის საზეიმო დახურვა. მსმენელების წინაშე გამოვიდა ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. შლენტი.

სამარ ალმოდენოვის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებს მიესალმნენ და სიტყვა წარმოთქვეს მე-10 საშუალო სკოლის დირექტორმა შ. მანჯაბაძემ, რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდემზორდენოვითი მუშაობის დარგში პ. შუბაძემ, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრმა ი. ტაბუცაძემ, კიროვის სახელობის ჩარხაშენიელი ქარხნის მუშამ, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა ა. მირზოიანმა, ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლე მ. საბაღიანიამ, № 1 ავტოსარემონტო ქარხნის ზეინკალმა, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა გ. სიჭინავამ.

მომავალი სასწავლო წლიდან სახალხო უნივერსიტეტი განაგრძობს თავის მუშაობას.

ზ. მესხაშვილი.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის აღმასკომთან არსებული საპარტოლო მოღვაწეობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.



პროკურატურის ვაჟბრუნთა სამართლებრივი

გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის ვეტერანთა კრება, რომელმაც მოისმინა ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის ვ. ხმალაძის მოხსენება „პროკურატურის ვეტერანთა ამოცანები სსკპ XXVI ყრილობის და საქართველოს უკომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

კამათში მონაწილეობდნენ: დ. დგებუაძე, მ. შამუჩაშვილი, თ. კვარაცხელია, ც. სიმონიშვილი, შ. ჭანტურია და სხვები.

კრებაზე ითქვა, რომ პროკურატურის ვეტერანები უფრო აქტიურად უნდა ჩაებან სამართლის პრობლემების საქმეში, შეუთანხმონ თავიანთი საქმიანობა შესაბამის პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიქმნას იური-

სტა საზოგადოება, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლულ და პრაქტიკოს იურისტთა კავშირის გენერალიზაციას, სამართლის პრობლემების კმედიოების ამალღებას და სამართლებრივად ვევათა თავიდან აცილებებისათვის მუშაობის გაუმჯობესებას.

კრებამ დაადგინა, რომ თითოეულმა ვეტერანმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საბჭოთა სამართლის პრობლემებში. გაუზიაროს თავისი გამოცდილება, ახალგაზრდა სპეციალისტებს, ხელი შეუწყოს მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის რესპუბლიკაში გაჩაღებულ უკომპარტიოსო ბრძოლას.

მ. ზანბური,

პროკურატურის ვეტერანთა საბჭოს წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი.

დაჯილდოება

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ლამბარე იონას ასულის ჩორგოლაშვილი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

Handwritten notes and stamps at the bottom of the page, including a date stamp '1966' and various illegible markings.



საბჭოთა იურისტების რიგებს სახელოვანი წევრი გამოაკლდა: გარდაიცვალა ბორის სერბის ძე ნიკიფოროვი. ორასწლეული მეტი მეცნიერული მუშაობა, საბჭოთა სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების კანონმდებლობაში გაზიარებული მრავალი წინადადება, უცხოურ ენებზე თარგმნილი წიგნები. მოწაფეები, რომლებიც ცნობილი მეცნიერები და პასუხისმგებელი პრაქტიკული მუშაკები გახდნენ — ასეთია პროფესორ ბ. ნიკიფოროვის სამეცნიერო-პრაქტიკული მემკვიდრეობის მოკლე ნუსხა. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის სფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების წევრი, ედინბურგის უნივერსიტეტის სამართლის საპატიო დოქტორი, სსრ კავშირ-დიდი ბრიტანეთის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი — ასეთია ბორის ნიკიფოროვის აღიარება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ მოხვეჭა.

ბორის ნიკიფოროვი დაიბადა 1913 წელს ქ. ტაშკენტში, იურისტის ოჯახში. 1940 წელს მან წარჩინებით დაამთავრა საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტი, ხოლო 1945 წ. — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა. იმავე წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი კი გახდა 1957 წელს; 1968 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1945-1957 წლებში მუშაობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1957-1968 წლებში იურიდიულ მეცნიერებათა საკავშირო ინსტიტუტში განაგრძობდა სექტორს. 1968-დან 1968 წლამდე ბ. ნიკიფოროვი იყო სისხლის სამართლის სექტორის ხელმძღვანელი სსრ კავშირის პროკურატურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1968 წლიდან სიკვდილამდე იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის იურიდიული სექტორის გამგე გახლდათ.

ბ. ნიკიფოროვის დიდი ღვაწლი მიუძღვის მოქმედი სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორებითი კანონმდებლობის შემუშავებაში: აქტიურად მონაწილეობდა სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების სამუშაო ქვეკომისიების მუშაობაში, აგრეთვე სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის იურიდიულ განყოფილებათა საქმიანობაში.

ბ. ნიკიფოროვი შთაგონებითა და ქეშმარიტი პროფესიული არტისტიზმით კითხულობდა ლექციებს საგარეო ვაჭრობის ინსტიტუტში, საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში, მოსკოვის იურიდიულ ინსტიტუტში და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში. მისი ლექციების კურსს დიდი ინტერესით უსმენდნენ პარვარდისა და ედინბურგის უნივერსიტეტების სტუდენტები.

ბ. ნიკიფოროვის შემოქმედებაში უაღრესად ნაყოფიერად შეერწყა ერთმანეთს ღრმა სოციოლოგიური მიდგომა და ნატიფი ლოგიკურ-იურიდიული ანალიზი, შედარებითი სამართალმცოდნეობისადმი დაუცხრომელი ინტერესი და ბურჟუაზიული თეორიებისა თუ დანაშაულობისთან ბრძოლის პრაქტიკის შეურთავებელი კრიტიკა.

ბ. ნიკიფოროვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეცნიერული მიღწევაა მისი მონოგრაფია „დანაშაულის ობიექტი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით“ (მოსკოვი. 1960). ამ წიგნში მან შესანიშნავად წარმოაჩინა დანაშაულის ობიექტი როგორც ფოკუსი, რომელშიც თავს იყრის მთელი საზოგადოებისა და მასში შემავალი ცალკეული ინდივიდების ინტერესები, მათი დაკმაყოფილების საშუალებათა ძიება. ავტორისეულ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის რაციონალური პოლიტიკის, კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის მეცნიერული საფუძვლების შემუშავებისათვის.

ასეთივე უცილობელ მიღწევას წარმოადგენს ბ. ნიკიფოროვის წიგნი „განზრახვა და მისი ფორმები“ (მოსკოვი. 1972), რომელიც მან თავის მეგობარ გ. ზლობინთან თანავტორობით დაწერა. თეორიის, კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ღრმა ანალიზის საფუძველზე ამ წიგნში შემუშავებულია კონკრეტული წესები, რათა განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილ ცალკეულ დანაშაულთა მიმართ ზუსტად იყოს მომარჩვეული.

ბ. ნიკოფოროვის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული სასაქელის ეფექტიანობის სოციოლოგიური შესწავლა ჩვენს ქვეყანაში. 1968 წელს მოსკოვში მისი ხელმძღვანელობით გამოვიდა კოლექტიური მონოგრაფია „დანაშაულობასთან სისხლისსამართლებრივი საშუალებებით ბრძოლის ეფექტიანობა“. ამ წიგნში ნათლად არის ნაჩვენები სასაქელთა ეფექტიანობის შესწავლის აუცილებლობა სამართლებრივი ნორმებისა და მათი გამოყენების პრაქტიკის სრულყოფისათვის. უზარმაზარ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული სისხლის სამართლის ძველისძველი და ურთულესი პრობლემა — შესწევს თუ არა სისხლის სამართალს უნარი რეალურად შეაფერხოს დანაშაულობის პროცესი და, თუ შესწევს, მაშინ რამდენად მნიშვნელოვანია მისი შემოქმედების ძალა.

განსაკუთრებული და უაღრესად მნიშვნელოვანი ახალი ბ. ნიკოფოროვის შემოქმედებაში უკვე ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის შესწავლას. მანვილი პოლიტიკური გუმანისა და ფართო ერუდიციის წყალობით მას ხელეწიფებოდ. მარტო ის კი არ განეჭვრიტა, თუ რა სახეს მიიღებს დანაშაულობა კაპიტალისტურ სამყაროში, არამედ ისიც უცდომლად განესაზღვრა, თუ როდის რა პოლიტიკური სპეკულაციისათვის გამოიყენებდა ესა თუ ის ბურჟუაზიული პარტია კანონმდებლობაში თუ დანაშაულობის სფეროში მომხდარ ცვლილებებს.

თანამედროვე საბჭოთა იურისტს საკმაოდ ნათელი წარმოდგენა აქვს უცხოური სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის შესახებ. ამას დიდად შეუწყობდა ბ. ნიკოფოროვის ინიციატივი და მისი დაუცხრომელი სარედაქციო თუ მთარგმნელობითი მუშაობის შედეგად გამოცემულმა არაერთმა წიგნმა, ესენია კენის „სისხლის სამართლის საფუძვლები“, არჩერის „ინგლისის სამართლო სისტემა“, კლარკის „დანაშაულობა ამერიკის შეერთებულ შტატებში“, ფოქსის „კრიმინოლოგიის შესავალი“, ანდენსის „სასაქელი და დანაშაულობის თავიდან აცილება“, „ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსი“, „დანაშაულობის სოციოლოგია“ და სხვა.

ბურჟუაზიული იურისპრუდენციისა და „შეკლასობრივი“ იუსტიციის ნამდვილ სოციალურ არსს რომ ამხილებდა, ბ. ნიკოფოროვი მზრუნველად ეკიდებოდა ყოველგვ დადებითს, რასაც უცხოური გამოცდილების სახით მოუღწევია ჩვენამდე და რომლის კანონიერი მეგვიდრე, მისი ღრმა რწმენით, ჩვენი საზოგადოებაც უნდა იყოს. უწინარეს ყოვლისა ეს ტერმინოლოგიასა და კატეგორიალურ აპარატს შეეხება. ამიტომ ბ. ნიკოფოროვმა ხანგრძლივი და დაუცხრომელი შრომა შეაღია დიდი სიყვარულითა და რუდუნებით შექმნილ თავის ნაწარმოებებს: „ინგლისურულ იურიდიულ ლექსიკონს“ (მოსკოვი, 1965) და „ლათინურ-იურიდიულ ფრაზეოლოგიას“ (მოსკოვი, 1979).

ბ. ნიკოფოროვის სახით საბჭოთა ინტელიგენციამ მარტო გამოჩინილი მეცნიერი კი არ დაკარგა, არამედ ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის მებრძოლი რაინდიც, რომელიც მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, უშიშრად და უჭკობანოდ მიჰყვებოდა ერთხელ არჩეულ გზას. ამიტომ იყო, რომ 1981 წლის 15 აპრილს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის შენობაში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე მრავალრიცხოვანი თავანისმცემლები სალცარი გულისტკივილით ეთხოვებოდნენ ბ. ნიკოფოროვის ნეშტს. ყველას თვალიწინ ედგა მუდამ მომღიმარი სახე გულითადი, კეთილისმოსურნე, მხიარული, გონებამანვილი და ყოველმხრივ მომზიბლავი ადამიანისა, ნამდვილი ჰუმანისტის და ინტერნაციონალისტისა, რომელიც ასე მიუშადლებლად მიაგებდა ხოლმე პატივს ყველა ერისა თუ ეროვნების წარმომადგენელს.

ბორის ნიკოფოროვის ამ თვისებებს კარგად იცნობენ და დიდად აფასებენ მისი ქართველი კოლეგები, რომლებთანაც მას ძველისძველი მეგობრობა, თანამშრომლობა და გულწრფელი სიმპათიები აკავშირებდა. დაუციწყარია ახალგაზრდა ქართველ იურისტებზე გაწეული მისი ამაკა მოსკოვში და მის მიერ გაწეული შრომა თბილისში, სადაც მას მრავალჯერ მოუხიბლავს მსმენელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოებაში, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსა თუ საქართველოს სსრ პროკურატურაში წყაიხული ლექციებით.

ქართველი სწავლული და პრაქტიკოსი იურისტები სათუთად შეინახავენ პროფესორ ბორის ნიკოფოროვის ნათელ სსოვნას და უერთგულდებენ მის ოჯახს, რომელშიც მისი ვაჟი და შვილი-წვილი აგრძელებენ ღირსეული მამისა და პაპის სახელოვან პროფესიულ ტრადიციებს, ემსახურებიან საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარების საქმეს.

შურნალ „საბჭოთა სამართლის“ საკრედიტო კოლეგია.

ცნობები ავტორთა შესახებ

ლევან ანდრიას ძე ალექსიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოთა სამართლის საფუძვლებისა და საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 40-მდე შრომისა და 5 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ჯემალ ლევანის ძე ლომიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილების უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, ოთხი მეცნიერული შრომის ავტორი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.


ალექსანდრე მირიანის ძე ქლენტი — საქართველოს სსრ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, 30 შრომის და 5 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

გურამ ისაქიძე ძე ნაჭუშიაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის მასწავლებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 6 მეცნიერული შრომის ავტორი, მეხუთედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

კობი თეოდანის ძე ნარმანიძე — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, 10 შრომისა და 2 ბროშურის ავტორი, მეექვსედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

რუსუდან აბაზოს ასული შველიძე — შრომის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

რამაზ რაშვიანის ძე გვებაძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასანატოლო-სამედიცინო ექსპერტი, დოცენტი, 42 შრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.



«САВЧОТА САМАРГАЛИ» («Советское право»), № 4, 1981 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103. Тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

9876 50 333.

09/107

05 R 33 10 70185



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԱՆՎՈՐՈՒՄԻ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԱՆՎՈՐՈՒՄԻ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ